# ლელო

**№026** (12 403)

**2 თებერვალი შაბათი 2008**
გამოდის 1934 წლიდან

ფასი **50 თეთრი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, მიხეილ მესხზე. 16:00. საქართველო-პორტუგალია, ევროპის ერთა თასი

# ახალი სეზონი, ახალი მწვრთნელი და ხუთი ახალბედა

ერთა თასის ორჯერ გადადებული შეხვედრა საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს შორის, დღეს მიხეილ მესხის სტადიონზე, 16 საათზე დაიწყება. პორტუგალიელები თბილისში გუშინ, გამთენიისას ჩამოვიდნენ და საღამოს მატჩისწინა ბოლო ვარჯიშიც გამართეს. ნაშუადღევს მატჩის არენის კონფერენცდარბაზში ორივე გუნდის მწვრთნელები და კაპიტნები ჟურნალისტებს შეხვდნენ




გუშინდელ პრესკონფერენციაზე. ჟოაო კორეია, ტომაშ მორაეში, ტიმ ლეინი, ირაკლი აბუსერიძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ტიმ ლეინი,** *საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:*

- გუნდთან სულ რალაც სამი დღეა, ვმუშაობ. ვინაიდან მორაგბეებს ფაქტობრივად, არ ვიცნობ, ძალიან გამიჭირდა. ვეცადეთ, ახალი ელემენტები შეგვეტანა თამაშში. რამდენად მოვახერხეთ ეს ამ მოკლე დროში, თამაში გვიჩვენებს. უნდა აღინიშნოს, რომ სავარჯიშო პირობებიც ძალიან ცუდი გვქონდა. თუმცა, ერთი რამ უდავოდ მახარებს - მორაგბეები უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. უამრავი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშე ვნახე. ორივე გუნდში, როგორც ჩემთვის ცნობილია, ბევრი ახალი მოთამაშე იქნება, ამიტომაც ამ მატჩში ბევრი ახალი რამ შეიძლება ვნახოთ...

საქართველოს ნაკრებს პოტენციალი უდავოდ დიდი აქვს, თუმცა მის გამოვლენას საკმაო დრო დასჭირდება. ჩვენ გუნდში ვქმნით თამაშის ახალ სტრუქტურას, სტილს, რაც დიდ დროს მოითხოვს. თუმცა გარწმუნებთ, რომ თუ თითოეული მორაგბე მთლიანად, 100 პროცენტით დაიხარჯება, პროცესი ბევრად უფრო დაჩქარებული და უმტკივნეულო იქნება.

საქართველოს ნაკრების უკანა ხაზის თამაშის დახვეწა ასე ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით არ მოხერხდება. ამას ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივაღწიოთ. მაგალითად პორტუგალიის ნაკრებს ისეთი თამაშის სტილი აქვს, რომ თხუთმეტივე მოთამაშე აქტიურადაა ჩართული ხელდახელ თამაშში. ჩვენ კი შერკინებისა და უკანა ხაზის თამაში უნდა დავაბალანსოთ. არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ ჩვენი გუნდის ძალა შერკინებაა. ეს არაფრით არ უნდა დაიკარგოს. პირიქით, კიდევ უფრო გავვითარდეთ ამ მიმართულებითაც.

**ირაკლი აბუსერიძე,** *საქართველოს ნაკრების კაპიტანი:*

- პორტუგალიის წინააღმდეგ ცუდი ამინდისა და იმის გამო, რომ ბევრი ახალი მოთამაშე გვყავს, ალბათ მაინც ისევ შერკინებით ვითამაშებთ. მართალი გითხრათ, იმის გამო, რომ შეთამაშება გვაკლია, ძალიან ვნერვიულობ. პორტუგალიასთან თამაში ყოველთვის ძნელია, მაგრამ მაინც დარწმუნებულები ვართ, რომ მოვიგებთ.

ტიმ ლეინმა ამ სამ დღეში დაგვანახა, რომ მართლაც შესანიშნავი სპეციალისტია. ცოტაოდენი სიახლეების დანერგვა უკვე შეძლო. თუმცა სერიოზული შედეგის მიღწევას, ცხადია, დრო დასჭირდება. თავად განსაჯეთ, გუნდში ამჟამად ისეთი მოთამაშეები არიან ლეინი კი არა, მეც არ ვიცნობდი.

**ტომაშ მორაეში,** *პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი:*

– უწინარესად მინდა მოგილოცოთ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ბრწყინვალე თამაში მსოფლიო თასზე. ჩვენც ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს, ცხადია მათი გამოცდა საქმეში კარგია, თუმცა მეორე მხრივ ამას სირთულეებიც ახლავს. ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვქონდა მათთან სამუშაოდ და ამიტომ ჯერ სრულად არც კი ვიცი მათი შესაძლებლობები. მიუხედავად ამისა, გარწმუნებთ მაყურებელი ძალიან კარგ, ჯიგრიან თამაშს იხილავს.

დღესდღეობით გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ხუთი მორაგბეა ისეთი, რომელთაც მსოფლიო თასზე უთამაშიათ. უმრავლესობამ წამოსვლა იმიტომ ვერ შეძლო, რომ კლუბები არ უშვებენ. ამ ეტაპზე ამას შევეგუებით, მათი ყოფნა გუნდში უფრო მნიშვნელოვანი მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე იქნება. ახლა კი მნიშვნელოვანი ახალი გუნდის შენებაა.

**ჟოაო კორეია,** *პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი:*

– ჩვენ ნაკრებში დღესდღეობით ძალიან ბევრი ახალი მოთამაშეა. ბევრი ჩემი თანაკლუბელია, ბევრის წინააღმდეგ პორტუგალიის ჩემპიონატშიც მითამაშია და კარგად ვიცნობ. კარგი, ნიჭიერი, მებრძოლი ბიჭები არიან. ვფიქრობ ამ თვისებებს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშიდაც გამოავლენენ.

და ბოლოს - საქართველოს ნაკრების ძირითად თხუთმეტეულში სამი დებიუტანტია - ირაკლი ყიასაშვილი (15), დავით ქუბრიაშვილი (3) და დიმიტრი ბასილაია (8). ორნიც თადარიგში არიან - ანტონ ფერიქრიშვილი და ლაშა მალაღურაძე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველო: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ბესიკ ხამაშურიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. რევაზ გიგაური, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. გოდერძი შველიძე, 2. დავით დადუნაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კახა უჩავა, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. რატი ურუშაძე, 8. დიმიტრი ბასილაია / *16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. ანტონ ფეიქრიშვილი, 18. ზვიად მაისურაძე, 19. გიორგი ჩხაიძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. ოთარ ბარკალაია*

პორტუგალია: 15. ვასკუ გასპარი, 14. ადერიტო ესტევეში, 13. უგო მელო, 12. ფრანსისკო მირა, 11. გონსალო ფორო, 10. პედრო კაბრალი, 9. ფრანცისკო მაგალიაეში; 1. როდრიგო აგილარი, 2. ჟოაო კორეია (კაპ), 3. ჟუან მურე, 4. ედუარდო აკოსტა, 5. სებასტიაო კუნია, 6. ჟუან სევერინო, 7. ანტონიო დუარტე, 8. ტიაგო ჟირაუ */16. გუსტავო დუარტე, 17. დიოგო ფიალიო, 18. მანუელ რიბეირო, 19. ფრანსისკო ფრაგატეირო, 20. ლორენცო კადოში, 21. ბერნარდო დუარტე, 22. დიოგო მირანდა*



# ცინცაძე NBA-ს დრაფტის მეორე რაუნდში უნდა აირჩიონ

NBA-ს დრაფტზე წელს შეიძლება ქართველთა უპრეცედენტო რაოდენობა ვიხილოთ. მანუჩარ მარკოიშვილს შარშან მაისში ტრავმა რომ არ მიეღო, ამერიკაში ჩავიდოდა და იქაურ კლუბებში წინასადრაფტოდ მოემზადებოდა. მას, ალბათ, წელს მოუწევს დრაფტზე დადგომა. გიორგი შერმადინის სანახავად საქართველოში უკვე არაერთი სკაუტი ჩამოვიდა და წინასწარ ცნობილია, რომ ისიც 2008 წლის NBA-ს დრაფტზე დადგება.

მესამე ქართველი, რომლის მიმართაც ოკეანისგაღმელები დიდ ყურადღებას იჩენენ ესტონურ „ტარტუ როკში“ მოთამაშე გიორგი ცინცაძეა. მას ინტერნეტგამოცემა „დრაფტექსპრესში“ ვრცელი სტატია მიეძღვნა, რომლის ავტორი NBA-ს საერთაშორისო სკაუტინგის დირექტორი ლუის ფერნანდესია. პუბლიკაციის სათაურია „ცინცაძე საუკეთესო კუთხით“.

მაშ ასე, მოვუსმინოთ ბატონ ლუისს.



სანდრო კობახიძე

ლეგიონერები

# დნეპრი: კობახიძე ოთხი წლით ჩვენია!

## სანდრომ, ჯერ არ მომიწერია, კვიპროსში გავაფორმებო

**სანდრო კობახიძე** დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ სრულუფლებიანი ფეხბურთელი გახდა. გუშინ უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განცხადება გამოაქვეყნეს.

*„დღეს „დნეპრში“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი სანდრო კობახიძე ჩაირიცხა. გასინჯვის დროს, ფეხბურთელმა მწვრთნელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და კლუბმა მას ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ის ზამთარში „დნეპრის“ მეშვიდე ახალწვეულია.“*

გუშინ სანდროს დავუკავშირდით და აღმოჩნდა, რომ კვლავ თბილისშია.

*„ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ ეს უკვე ფორმალური მხარეა. კვიპროსში ხვალ გავფრინდები და ალბათ, იურიდიულ მხარეს იქ მოვაწესრიგებთ. ძალიან მიხარია ასეთ ცნობილ კლუბში გადასვლა. სხვათაAშორის, ჯერ ზუსტად ისიც არ ვიცი, კონტრაქტი ოთხწლიანი იქნება თუ რამდენწლიანი. მთავარია, რომ საკითხი გადაწყვეტილია... სხვა ვარიანტებზეც მესაუბრნენ, მაგრამ ყველა დანარჩენი არასერიოზული იყო და ჩამოთვლას აზრი არ აქვს. სხვათაშორის, ჩემსავით, არგენტინელზეც (ოსმარ დანიელ ფერეირაზე) წინასწარ დაწერეს, რომ კონტრაქტი გააფორმა. როცა საკითხი წყდება, ეტყობა, ინფორმაციას პრესას მაშინვე აწვდიან.“*

„დნეპრმა“ ზამთარში სერიოზული ცვლილება განიცადა: **ოლეგ პროტასოვმა** გადაიბირა მოსკოვის ცსკა-ს და რუსეთის ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველი **როლან გუსევი, ოსმარ დანიელ ფერეირა**, ჩეხი **მარიო ხოლეკი**, რუმინელი ფორვარდი **იონუც მაზილუ**. თითოეული მათგანი დიდი სახელით ჩავიდა უკრაინაში. ამასთან პროტასოვმა გუნდიდან უკრაინის ნაკრების წევრი **ვიაჩესლავ სვიდერსკი** დაითხოვა. ასეთ კომპანიაში სანდრო კობახიძის გამოჩენა სასიამოვნოცაა და მის დიდი პერსპექტივაზეც მეტყველებს.

სავარაუდოდ, უკრაინულ კლუბში სანდროს დებიუტი 3 თებერვალს, უნდა შედგეს ჩეხეთის „ლიბერეცის“ წინააღმდეგ, საერთაშორისო ტურნირზე.

**მერაბ მამულაშვილი**

# იმედაშვილმა პაოკში გაიტანა

**კიევის** „დინამოს“ მცველი **დავით იმედაშვილი** სალონიკის პაოკში ისინჯება. კლუბის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა, დათოს ჩასვლისთანავე, 29 იანვარს გაავრცელა ინფორმაცია.

პაოკის პრეს-სამსახური იტყობინება, რომ 30 იანვარს ქართველ მარცხენა მცველს, დავით იმედაშვილს შეამოწმებენ და თუკი ის კლუბის მწვრთნელს თავს მოაწონებს, ასეთ შემთხვევაში, 31 იანვარს გუნდთან კონტრაქტს გააფორმებს.“

გუშინ 1 თებერვალს კიდევ ერთი ინფორმაცია გამოქვეყნდა.

*„დღეს გუნდთან დავით იმედაშვილმა და იაჰაიამ ივარჯიშეს, გასასინჯი ფეხბურთელებიდან კი, მწვრთნელმა მხოლოდ დე გრიგირიო გაუშვა.“*

ერთი სიტყვით, დათო კლუბის ვარჯიშზე გამოჩნდა მაშინ, როდესაც დაწუნებულ მოთამაშეს მწვრთნელმა კარისკენ მიუთითა. როგორც შევიტყვეთ, გუშინ დაბალი ლიგის გუნდთან საკონტროლო შეხვედრაც ითამაშა და თავით გოლიც გაიტანა. დათო საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩა. ახლა ჯერი პაოკის მწვრთნელზეა. მართალია კლუბის ვებ-გვერდი იმედაშვილთან კონტრაქტის გაფორმებაზე არაფერს იუწყება, მაგრამ ფაქტია, რომ დატოვეს, საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, ბურთიც გაიტანა და გასაშვებ ფეხბურთელებში არ ეწერა.

სხავათაშორის, ახლახანს პაოკმა ცნობილი ნახევარმცველი **სერჟიო კონსეისაო** დაიმატა, კიევის „დინამო“ კი მცველ **გორან გავრანჩიჩის** ექვსთვიან იჯარაზე დაითანხმა. სხვათაშორის, გავრანჩიჩთან დამოკიდეულება გასაგებს ხდის, რომ კიევური გრანდიდან აჩრდილილა დარჩა - სერბეთის ნაკრების მცველი „დინამოს“ დუბლებში პრეზიდეტ **იგორ სურკისთან** შარშანდელი კონფლიქტის გამო გადაიყვანეს.

სალონიკის პაოკი საბერძნეთის ჩემპიონატში 23 ქულით მერვე ადგილზეა. მცირე ხნის წინათ კლუბი ბერძენმა მილიონერმა, **იანის კამბანისმა** შეიძინა და პაოკის გაძლიერება გადაწყვიტა. მანამდე სალონიკური კლუბის შეძენას რუსეთში მცხოვრები წარმოშობით ბერძენი მილიარდელი, **ივან სავიდი** უმიზნებდა, საფეხბურთო კლუბ „როსტოვის“ ყოფილი პრეზიდენტი და სიგარეტის მაგნატი.

**მერაბ მამულაშვილი**

## ლოკომოტივი სპორტულს დაუზავდა

**თურქეთის** ქალაქ ქემერში მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. რკინიგზელთა მეტოქე ამჯერად ბუქარესტის „სპორტული“ იყო. რუმინელები შეხვედრის დებიუტშივე, მე-10 წუთზე დაწინაურდნენ, „ლოკომოტივმა“ ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაათანაბრა.

თურქულ შეკრებაზე ეს **გიორგი კიკნაძის** გუნდისთვის მეოთხე მატჩი იყო. „ლოკომოტივს“ ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებია. თბილისელებმა აქამდე ალბანურ „ტირანასა“ და გერმანულ „ემდენთან“ წააგეს, თურქულ „ქექეროვა-2“-თან კი ფრედ ითამაშეს.

## ჯორჯია თურქეთისკენ

**ხვალ** „ვიტ ჯორჯია“ ამხანაგურად თბილისის „სპარტაკს“ გაეჯიბრება, ზეგ კი თურქეთისკენ აიღებს გეზს. ვეტერინარები ტრაბზონამდე ავტობუსით ჩავლენ, იქიდან კი ანთალიაში გადაფრინდებიან. ქართული სეზონი 17 თებერვალს განახლდება თასის მეოთხედფინალური მატჩებით, მაგრამ ამ ტურნირს „ჯორჯია“ უკვე გამოეთიშა და თბილისში მოგვიანებით დაბრუნდება. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე 23 თებერვალს განახლდება, ნესტორ მუმლაძის გუნდი „ზესტაფონს“ უმასპინძლებს.

გუნდს თურქეთში არ გაყვება **პავლე დათუნაიშვილი**, რომელსაც „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი ამოეწურა და ახალი კლუბის მოძებნა სურს. **ალექსანდრე კვახაძე** კი ალბათ, მეორე წრესაც ვეტერინართა შემადგენლობაში ჩაატარებს.

## ამერი სიმურგთან დამარცხდა

**თბილისურ** შეკრებაზე მყოფი „სიმურგი“ „ამერს“ უკვე მეორედ შეხვდა. პირველი მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა, გუშინ კი თითო ტაიმში გატანილი თითო ბურთით აზერბაიჯანელებმა 2:0 გაიმარჯვეს. შეგახსენებთ, ორი დღის წინათ „სიმურგს“ „ამერის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **დავით ბოლქვაძემ** მიაშურა. აქამდე გლდანელებს აზერბაიჯანულ კლუბებთან 7-ჯერ ჰქონდათ ნათამაშები და და მარცხის გემო არ იცოდნენ.

ამერელთაგან ორი რეალური საგოლე მომენტი **გიორგი დეკანოსიძეს** ჰქონდა, მაგრამ ჯერ მისი მაკრატელა მოიგერია ზაქათალელთა მეკარემ, შემდეგ კი ჯარიმა მეტოქის კარის ძელს გაარტყა.

გუშინ „ამერმა“ შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: **ნადირაშვილი (46. ქვაჩახია), მესხი (83. ხატიაშვილი), დიდავა, დავითნიძე (46. კაკაშვილი), ჩიკვილაძე (46. ელბაქიძე), დეკანოსიძე (83. ხუციძე), სილაგავა, ა. ალავიძე (46. შალამბერიძე), დობროვოლსკი, რ. გოცირიძე (83. ჩიმაკაძე), დავითაშვილი (46. ტატანაშვილი).**

## გაგრა ქაირათთან განადგურდა

**მორიგი** წარუმატებელი შეხვედრა ჩაატარა „გაგრამ“, რომელიც სეზონის მეორე ნახევრისთვის თურქეთში ემზადება. მუხრანელები ალმა-ათის „ქაირათს“ გაეჯიბრნენ და 1:5 განადგურდნენ. „გაგრამ“ პრესტიჟის გოლი მატჩის მიწურულს, 0:5-ზე გაიტანა.

## შანსი მხოლოდ კორღალიძეს აქვს

**მოლდოვურ** „დაჩიაში“ სამი ქართველი ფეხბურთელი გადიოდა სინჯებს - **ლევან კორღალიძე, დიმიტრი პარამონოვი** და მეკარე **კოხრეიძე**. კიშინიოვური კლუბის სამწვრთნელო შტაბმა სამეულიდან მხოლოდ ერთი დაიტოვა. **ლევან კორღალიძე** „დაჩიასთან“ ერთად თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება და მისი საკითხი იქ გადაწყდება.

კორღალიძემ უკვე ითამაშა საკონტროლო მატჩი უკრაინული „ვორსკლას“ წინააღმდეგ, ამავე შეხვედრაში მონაწილეობა „დაჩიას“ ქართველმა ფორვარდმა **ჯაბა დვალმაც** მიიღო. შეგახსენებთ, მის გარდა, ამ გუნდის ღირსებას **ვიტალი დარასელიაც** იცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ძოძუაშვილი ჩემპიონობას უმიზნებს

**ყაზახური** პრესა ქართველი სპეციალისტის მუშაობას დადებითად აფასებს. ყარალანდის „შახტიორს“ ქვეყნის ჩემპიონობის არცთუ ურიგო შანსი აქვს. ძოძუაშვილის ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

**- თქვენი მოსვლის შემდეგ, „შახტიორის“ საუკეთესო ბომბარდირი ანდრეი ფინონჩენკო ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. იმასაც ამბობენ, რომ თქვენს შორის კონფლიქტია...**

- ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ - ანდრეის „ვარსკვლავური სენი“ შეეყარა. უნიჭიერესი ფეხბურთელია, მაგრამ შრომა ეზარება. მას გაცილებით მეტი შეუძლია, ამიტომ უნდა დაამტკიცოს, რომ ძირითადში თამაშის ღირსია.

**- ყველზე მეტად რომელ სათამაშო რგოლს სჭირდება გაძლიერება?**

- კარგი გუნდი მყავს, მაგრამ გაძლიერება არც ერთ ხაზში არ გვაწყენდა. ამ პრობლემებს თურქულ შეკრებაზე მოვაგვარებთ.

**- „შახტიორი“ ლატვიელმა მეგოლემ, მიხაილ მიხოლაპმა დატოვა...**

- ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია. მიხაილს „შახტიორისთვის“ მომავალშიც უდიდესი სარგებლობის მოტანა შეეძლო, მაგრამ ყარალანდაში დარჩენა აღარ ისურვა. „რიგაში“ მას წარმატებებს ვუსურვებ.

**- სამაგიეროდ, დავით ლორიას დაბრუნება გაგახარებდათ...**

- დიახ, ეს ჩვენს გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს. ბოლო პერიოდში დავითი უმაღლეს დონეზე ასპარეზობს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მან შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. დარწმუნებული ვარ, მისი წყალობით ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაცილებით გაგვიადვილდება.

**- ახალ წელს თბილისში შეხვდით. თქვენი საახალწლო ოცნება „შახტიორთან“ თუ იყო დაკავშირებული?**

- ეს ჩემი ოცნებების სამეულში შევიდა (იცინის). რაღა თქმა უნდა, ყაზახეთის ჩემპიონობა ჩავიფიქრე!

*P.შ. გუშინ ყარალანდის „შახტიორი“ „ზესტაფონს“ გაეჯიბრა. მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა.*

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დადგმა;
CDN კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

მეტოქე. ლატვია

# დაბრუნება წარსულთან მომავლისთვის

2003 წლის ბოლოს ლატვიამ პლეიოფში 2002 წლის მუნდიალის ბრინჯაოსან თურქეთს მოუგო და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

ლატვიამ 2004 ნელი იმითაც აღნიშნა, რომ ევროკავშირის და ნატოს წევრი შეიქნა. ევროპის ჩემპიონატს კი ამაყად გამოემშვიდობა - ჯგუფში რუდი ფიოლერის განვრთნილ გერმანიასთან ერთად ჩარჩა, რომელთანაც 0:0 ითამაშა.

ლატვია 1940 ნელს დაიპყრო რუსეთმა, მანამდე ლატვიელებს ასკაციანი პარლამენტი ჰყავდათ, რომელიც ირჩევდა პრეზიდენტს. ლატვიაში ახლაც ასეთი სახელისუფლებო მოდელია. მოსახლეობა 2,7 მილიონს შეადგენს, რომლის ერთ მესამედს ეთნიკური რუსები ნარმოადგენენ. ლატვიის ეკონომიკა ნინ მიინევს.

ლატვიის მოკლე დახასიათებას იმასაც დავურთავთ, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში რიგის „დაუგავათი" იყო წარმოდგენილი, „დაუგავა" ხშირად პირველ ლიგაშიც ყურყუტებდა.

სწორედ „დაუგავას" ფორვარდი იყო ლატვიის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი **ალექსანდრს სტარკოვსი**. 1977-78 ნლებში ის მოსკოვის „დინამოში" ირიცხებოდა, თუმც იქ ფეხი ვერ მოიკიდა და ისევ „დაუგავაში" დაბრუნდა, სადაც დაასრულა კიდეც ფეხბურთელის კარიერა.

სტარკოვსმა მნვრთნელობაც „დაუგავაში" დაინყო მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ, მერე მას ლატვიის ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარეს, პარალელურად რიგის „სკონტოც" მიანდეს, ხოლო 2001 ნელს ლატვიის ეროვნული გუნდის თავკაცი გახდა და ნაკრები 2004 ნლის ნარმატებამდე მიიყვანა, რის შემდეგაც მოსკოვის „სპარტაკის „ დამრიგებელი შეიქნა.

რუსთა სახალხო გუნდში მას მუშაობა გაუჭირდა. „სპარტაკი" 2005 ნელს რუსულ ვერცხლს შესნვდა, მომდევნო სეზონში კი სტარკოვსს ობსტრუქცია მოუნყვეს - გუნდის კაპიტანი **დმიტრი ალეინიჩევი** დაუპირისპირდა და სტარკოვსი „სპარტაკის" ფანებმაც მოიძულეს. ლატვიელი რუსეთიდან აიბარგა და შარშან ისევ თავის ქვეყნის ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში.

ევრო 2008-ის შესარჩევში ლატვია ესპანეთს, შვედეთს, ჩრდილოეთ ირლანდიასა და დანიას ჩამორჩა, გადაასწრო ისლანდიას და ლიხტენშტეინს.

სტარკოვსის ნაკრებში დაბრუნებას, რა თქმა უნდა, დიდი ოპტიმიზმით შეხვდნენ ლატვიაში, თუმცა მისგან გუნდის მუნდიალზე გაყვანას როდი ითხოვენ - ნაკრები უნინდელზე უკეთესი უნდა იყოს - ასეთია მისი ამოცანა.

ლატვიის ნაკრების კაპიტანი **ვიტალის ასტაფიევსია**, ვისაც ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი კეპი მოუხვეჭია - 129 თამაში.

ვენის „აუსტრია", ყაზანის „რუბინი", ინგლისის მესამე დივიზიონის „ბრისტოლი'' - სად აღარ უთამაშია ამ ნახევარმცველს, ახლა კი მშობლიურ „სკონტოშია".

ლატვიის ეროვნული გუნდის მთავარმეგოლე **მარის ვერპაკოვსკისია** 64 მატჩში გატანილი 23 გოლით. ხუთი ნლის ნინათ ის კიევის „დინამომ" აიყვანა, შარშან კი ესპანურ „ხეტაფეში" გაანათხოვრა, სადაც მისი საქმეები კარგად ვერ აეწყო და ვერპაკოვსკისი ახლა სპლიტის „ჰაიდუკშია".

ყველაზე პოპულარული ლატვიელი ფეხბურთელი კი **მარიან პახარსი** გახლავთ. მან შვიდი ნელი ითამაშა ინგლისში და „საუთჰემპტონში" ბევრი პრემიერლიგური გოლიც გაუტანია. 2006 ნლიდან ის **თემურ ქეცბაიას** „ანართოსისში" გადავიდა და კონტრაქტით ახლაც იქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტრავმიანობამ მისი და ჩვენებური მწვრთნელის გზები გაჰყარა. ცხადია, პახარსი 6 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებული არ არის. ის 31 წლისაა და იმედი აქვს, რომ თამაშს კიდევ შეძლებს.

ერთიც: ევრო 2000-ის შესარჩევში ლატვიამ რიგაში საქართველოს 1:0 რომ მოუგო, ბალტიისპირელებს მაშინ **რევაზ ძოძუაშვილი** წვრთნიდა. თბილისში ლატვიას 2:0-ს უგებდა **იოჰან ბოსკამის** განვრთნილი საქართველო, თუმცა უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ და 2:2 - სტუმრებს მაშინ ბრიტანელი **გარი ჯონსონი** მოძღრავდა.

**დავით თავართქილაძე**




ლატვიის ნაკრების კაპიტანი ვიტალის ასტაფიევსი






# წარმომადგენლობითი პრეზიდენტი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა ნარმომადგენლობითი თანამდებობაცაა - ფიფაში და უეფაში უნდა მიგესვლებოდეს, სიტყვა უნდა გეთქმოდეს, ერთი-ორი უცხო ენაც უნდა იცოდე და განათლებაც უნდა გქონდეს - ნოდარ ახალკაცს ამ მხრივ არაფერი დაენუნება.

ახალკაცი ყველაფერ ამას კარგად იყენებს - ამხანაგურ მატჩებს უჩარხავს ჩვენს ეროვნულ გუნდს და ეს ძალიან კარგია. გუშინწინ, აგერ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას მოურიგდა და ევროპის ჩემპიონატის ნინ საქართველოს ნაკრები პორტუგალიელებს ესტუმრება.

ახალკაცი მაშინაც ნარმატებული იყო ამ საქმეში, როცა ფეხბურთის ფედერაციის ახალბედა პრეზიდენტი იყო. 2005 წლის შემოდგომაზე საქართველოს ნაკრები ბულგარეთისას ესტუმრა. ის თამაში 2:6 ნააგო გაიოზ დარსაძის განვრთნილმა გუნდმა, რამაც ხელისუფლებას იმისკენ უბიძგა, ახალკაცისთვის ამ მწვრთნელის მოხსნისკენ მიეთითებინა.

დარსაძე ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა განათლებას და ლიცენზირებას ხელმძღვანელობდა. თითქმის ორი ნელიწადი ამ საქმეს თავი არ ჰყავდა ფეხბურთის ფედერაციაში და ანი ამ მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ფედერაციის მომავალი ტექნიკური დირექტორი რალფ მინგე იკისრებს.

აქეთ ამხანაგური მატჩები, იქით სახელმწიფოსგან ფულადი დახმარება - დამდეგ შესარჩევს ჩვენი უპირველესი გუნდი კარგად აღჭურვილი ხვდება, მაგრამ...

ძალიან ცუდია, როცა მწვრთნელი ბოლომას გულში იტოვებს, ვერ იცილებს მას. ზურაბ ხიზანიშვილმა თქვა, თუ იმის მიზეზს არ მეტყვიან, ლიტვასთან სასტარტოში რატომ არ დამაყენეს, კლაუს ტოპმიოლერის განვრთნილ ნაკრებში აღარ ვითამაშებო.

ჰოდა, ტოპიმ 6 თებერვალს ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის ხიზანიშვილი ნაკრებში არ გამოიძახა. ზურამ ამაზე გვითხრა, გაუგებარი აქ არაფერიაო...

მწვრთნელის ვალდებულებაა, ბოლომას მოერიოს და ისე იმოქმედოს, როგორც ეს საქმეს სჭირდება. კახა კალაძის შემდეგ ხიზანიშვილის დონის მცველი საქართველოს ამ დროისთვის არ მოეპოვება - ვფიქრობ, ეს არ უნდა იყოს საკამათო - საქართველოს ევროპული დონის დასაკარგი ფეხბურთელი ნამდვილად არ ჰყავს.

ახალკაცმა ასე შეულამაზა ტოპის გადაწყვეტილება - ახლა გვაქვს ექსპერიმენტების დრო, ნაკრებში ახალი ფეხბურთელები უნდა გამოვცადოთ, ზურას შესაძლებლობები კი მწვრთნელთა შტაბმა ისედაც კარგად იცისო.

ტოპიმ და საქართველოს ნაკრებთა მთელმა სამწვრთნელო შტაბმა მართლაც კარგად იციან, რა შეუძლია ხიზანიშვილს, მაგრამ განა ისიც კარგად არ უწყიან, თუ რა გაქანების ფეხბურთელები არიან კალაძე, ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი... რატომ მაინცდამაინც ხიზანიშვილს მიუხურეს კარი, როცა ნაკრებში ჯერაც ფეხვერმოკიდებული ფეხბურთელების გამოცდას აპირებენ?..

კარგი ამბავი ვერ დაემართა ლევან ცქიტიშვილს - ბრიტანელმა ბიუროკრატებმა მას სამუშაო ვიზაზე უარი უთხრეს და ლევანს ალექს მაკლიშის „ბირმინგემიდან" ნამოსვლა მოუნია. უცნაურია, ასეთი ფეხბურთელი ნახევარი ნელი უგუნდოდ რომ არის, მაგრამ



## ერთი კვირის ათასი წვრილმანი

ფაქტს ვერსად ნაუვალთ. იღბალიც ძალიან აუცილებელია ფეხბურთელისთვის. ცქიტიშვილს სწორედ ეს დააკლდა, თორემ „ბირმინგემის" რანგის გუნდი მისთვის მიუნვდომელი სულაც არ არის - ცქიტიშვილი, ალბათ, მართლაც მოუხდებოდა „ბირმინგემს"და პრემიერლიგასაც.

კარგი ამბავი თორშიც არ მოხდა. „ბორჯომს" თურმე სპონსორი ჰყოლია, პროკურორს კი მისთვის კლუბში ფულის გადარიცხვა აუკრძალავს, გიჯობს, ფული სხვაგან გადარიცხოო. ითქვა ეს „სხვაგან" ბორჯომის გამგეობააო. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა გოგა ხაჩიძემ კი გვითხრა, არ ვიცი, ვინ არის ბორჯომის პროკურორი და საერთოდაც, გამგეობის საქმეებში ვერ ჩავერევიო.

ყოველივე ამის შემდეგ განსაკუთრებულად მომენატრა ამერიკული ტელეპროექტი „60 წუთი". იყო დრო, ეს გადაცემა საქართველოშიც გადიოდა, თანაც ქართველების მიერ მომზადებული.

**დავით თავართქილაძე**



მამუკა კვარაცხელია და ბობი ჩარლტონი

ინტერვიუ მამუკა კვარაცხელიასთან

# სფფ დილეტანტების უძირო ქვევრია

**ახალი** წელი და მამუკა კვარაცხელიას ანტიფედერაციული გამოსვლები ერთად დაიწყო. ცოტა ხნის წინათ პრესკონფერენციაც გამართა. ამჯერად მან ფედერაციას გერმანელ მწვრთნელთა მონაგარი სულ მარცვალ-მარცვალ, შემოსავალი კი –კაპიკ-კაპიკ დაუთვალა...

**- ელოდით რომ ფედერაცია ამჯერად მაინც გიპასუხებდათ?**

- რა უნდა მიპასუხონ, შედეგებიც წვრილად ჩამოვუწიკწიკე და უვიც გერმანელებში გადაყრილი ფულიც. მე იმან უფრო დამალონა, ჩემმა კოლეგებმა რომ ჩაიგუბეს პირში წყალი და არავითარი ანალიზი არ გააკეთეს ჩემს მიერ მოტანილი ციფრებისა. არადა, ყველა ობიექტური ჟურნალისტი ვალდებულია, თავად დაეთვალა ეს ციფრები, ანალიზი გაეკეთებინა და შეეფასებინა სფფ-ის ნამოღვაწარი. მე გავაკეთე მათ მაგივრად ეს საქმე და მაინც არ შეიბერტყეს ყური, თითქოს ჩვენი სახელმწიფოს კი არა, ბურკინა ფასოს ფული იხარჯებოდეს...

**- ტელევიზიით ხომ გიპასუხათ სფფ-ის ვიცე პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ?**

- რა მიპასუხა, კარგად მოისმინეთ? ციფრები ნამეტნავად გაბერილიაო! კი ბატონო, თუ ასეა, თავად თქვას სწორი ციფრები, მაგრამ რა უნდა თქვას: ჩვენ ვიგებთ და კვარაცხელია კი ნაგებებს გვითვლისო? ვაიმწვრთნელ გერმანელებში გადაყრილი ფულიც მათივე პროგრამიდან მოვიყვანე. თუ არ ეშინია ბატონ გოგის, პირდაპირ ეთერში მესაუბროს და განახებთ ფედერაციის ნამდვილ სახეს. კლაუსმა 3 მილიონზე მეტი აილო და შვიდ გუნდში მეექვსე ადგილზე გაგვიყვანა! მინგემ 800 000 დოლარი ჩაიჯიბა და სამგუნდიან ჯგუფში მესამეზე გავედით! ჰაინცმა 400 000 დოლარი აგვაფრცქვნა და უნიჭიერესი თაობით ოთხი შესარჩევიდან მხოლოდ ერთხელ გავიდა მეორეზე, ისიც კობა ჟორჟიკაშვილის დახმარებით, თბილისში კი სულაც ბოლო ადგილი დაიკავა!!! ცანკერმა 200 000 აგვალლიტა და ორჯერ დაიკავა ოთხგუნდიან ჯგუფში მესამე ადგილი! ალბათ, სეგრტი ამათზე ნაკლებს არ აილებს და ხუთგუნდიან ჯგუფში მეოთხეა...

**- ხომ ხედავთ, რა ხანია იგნორირებას უკეთებენ თქვენს მიერ წარმოდგენილ ყველა ფაქტს, არ დაიღალეთ?**

- რა დამღლის, მე ახალკაცისა და მისი გარემოცვისგან განსხვავებით ქართული ფეხბურთი მიყვარს და არა ჩემი თავი ქართულ ფეხბურთში. მოვა დრო და პასუხს აგებენ.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს საფეხბურთო საზოგადოებაც ჩუმადაა. ეს არის დაშინებული საზოგადოება, რომელსაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. არადა სასაცილო ისაა, ჩემთან პირად საუბრებში უშვერი პირით რომ აგინებენ ფედერაციას და საქმე საქმეზე რომ მიდგება, თბილისური თოვლივით იპარებიან. მე მათ საქმეს ვაკეთებ, ისინი კი ჩუმად არიან. ასევე შეშინებულია მედიაც - სულ ცალი ხელის თითზე ჩამოითვლებიან ის ჟურნალისტები, რეალურად რომ ასახავენ ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს...

**- ამდენმა იმედგაცრუებამ ხომ არ გაგაბოროტათ?**

- არა, უფრო მემატება სტიმული, რადგან მართალი ვარ და ბრძოლას მეტი ენერგიით განვაგრძობ...

**- ვთქვათ, მოხდა სასწაული და გახდით სფფს პრეზიდენტი, რას გააკეთებთ 4 წელიწადში?**

- იმას, რასაც არჩევნებზე დაგპირდით: საქართველოს ექნება ძალზე ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი, კლუბები სამარცხვინოდ აღარ გამოვარდებიან ევროთასებიდან და იბრძოლებენ უეფას თასის ჯგუფებში მოხვედრისთვის, მათხოვრად ქცეულ ქართველ მსაჯებს პირველ წელს გაუსამმაგდებათ ანაზღაურება, ყოველ მომდევნო წელს კი გაუორმაგდებათ, საქართველოში ყველა ბავშვი მივა ფეხბურთზე და მოვარჯიშეთა რიცხვი მინიმუმ გაორმაგდება, ხოლო ყველა ნაკრები იბრძოლებს ჯგუფიდან გასასვლელად, ეროვნული კი 50 საუკეთესოში მოხვდება, რაც შეეხება ქალალდზე არსებულ რეგიონულ ფედერაციებს - ყველა მიიღებს საკუთარ ოფისს და მართვის რეალურ ბერკეტს.

**- კი, მაგრამ, როგორ, რანაირად? სახელმწიფოს დახმარების გარეშე თუ შეგიძლიათ ზემოთთქმულის გაკეთება?**

- სახელმწიფომ მინიმუმ ხელი არ შემიშალოს და ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა მიილოს.

**- განა არ მიილო სახელმწიფომ პროგრამა?**

- ეტყობა, თქვენ არ წაგიკითხავთ...

**- ის სფფ-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. ამას გარდა, სახემწიფო ფეხბურთის დამხმარე ბიზნესმენებს შეღავათებს პირდება. არაა პატარა საქმე.**

- რაც გამოქვეყნებულია და რასაც ეგენი პროგრამას ეძახიან, საფეხბურთო სპეციალისტისთვის ღიმილის მომგვრელი უნდა იყოს. ლაპარაკია 7 სტადიონის აშენებაზე და სფფ-ისთვის ფულის გამოყოფაზე, ამას ეძახით პროგრამას?

**- მეტი რაღა ქნას სახელმწიფომ?**

- 15 წელია ვმუშაობ სახელმწიფო პროგრამაზე და 22 პუნქტიანი დოკუმენტი შევქმენი, სადაც სტადიონების აშენება მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფო დიალაც ვალდებულია სტადიონები ააშენოს. მეტიც, კომუნისტებმა საკმაო რაოდენობით ააშენეს სტადიონები და იმას მაინც ნუ დაანგრევენ... სფფ-ისთვის ფულის მიცემა კი წყალში გადაყრაა და მალე თავადაც დარწმუნდებით...

**- მოკლედ, ფეხბურთისთვის კარგია თუ ცუდი სახელმწიფოს მხარდაჭერა?**

- დიდი მიზნების დაძლევაში სასიცოცხლოდ აუცილებელია, მაგრამ არა ამ ფორმით, თანაც ორივე მხრიდან პროფესიონალები უნდა მუშაობდნენ ამ საკითხზე...

**- იქნება გეცადათ ახალკაცთან დალაპარაკება, ნუთუ არ შეიძლება კონსტრუქციული დიალოგი?**

- ქართული ფეხბურთის მტერთან ლაპარაკს რა აზრი აქვს? სცადეთ და ჩემი და მისი ტელედებატების ინიციატორად გამოდით, გნებავთ თქვენს რედაქციაში შევხვდეთ და ნახავთ, ვინ მართავს ქართულ ფეხბურთს...

**- თქვენი აზრით, იმოქმედებს თუ არა გოკა გაბაშვილის პოსტიდან წასვლა სფფ-ის კეთილდღეობაზე?**

- წასვლის წინ გაბაშვილმა მოასწრო და მსუყე ლუკმა გამოუყო ფედერაციას, არნახული და დაუჯერებელი თანხა - 11 მილიონი დოლარი! ამასწინათ წავიკითხე, შესაძლოა თანხა 20 მილიონამდე გაიზარდოსო!!! თუ ეს მოხდა, ახალკაცი გინესების წიგნში იქნება შესატანი – 4 წელიწადში 35 მილიონ დოლარს აითვისებს (ფიფასა და უეფას წლევანდელი გრანტებისა და ტელეჩვენებების შემოსავლების ჩაუთვლელად!), ანუ წელიწადში მინიმუმ 8-9 მილიონს! (ჩემს დროს სფფ-ს წელიწადში 1 მილიონიანი ბიუჯეტი ჰქონდა).

გაბაშვილის წასვლისა არ მჯერა, იგი ჩრდილში დარჩება და მაინც სფფის რეალური მეპატრონე იქნება...

**მერაბ მამულაშვილი**

## რუსი ქართველების ამბები

**თურქულ** ბელექში რუსეთის პირველი დივიზიონის „ბალტიკა“ ყაზახურ „ჟეტისუს“ შეხვდა და 2:0 მოუგო. „ბალტიკაში“ შარშან **ლავრენტი (ლევან) მიქაძე** ირიცხებოდა, ხოლო „ჟეტისუში“ ფორვარდი **გიორგი მეგრელაძე**. სეზონის დასრულების შემდეგ „ბალტიკას“ მწვრთნელად რუსეთის მოქალაქე ქართველი, ყოფილი გოლკიპერი **ზურაბ სანაია** დაუნიშნეს. 40 წლის სანაიამ ერთ-ერთი პირველი მიქაძე გაუშვა გუნდიდან, რომელსაც ბოლოს საქართველოში „ლოკომოტივის“ რიგებში უთამაშია, ხოლო ბოლო სეზონი ტრავმების გამო თითქმის მთლიანად გაუცდა. თურქულ შეკრებაზე სანაიამ **მიქაძე** წაიყვანა, ოღონდ **გიორგი**, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი. გიორგი მიქაძე ჯერ მხოლოდ სინჯებზეა, ისევე როგორც **ანზორ სანაია**, „ბალტიკას“ თავკაცის ვაჟი. „ჟეტისუსთან“ მატჩში დუბლი სწორედ ანზორ სანაიამ შეასრულა, რომელიც მამის მსგავსად რუსეთის მოქალაქეა.

**ნ.ნ.**

### მილოცვა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო 50 წელს ულოცავენ ქუთაისის „ტორპედოს“ ვეტერან ფეხბურთელს ალექსანდრე კვერნაძეს.**



მარცხნიდან მარჯვნივ: ლადო ხარაიძე, თორნიკე ჩიხრაძე, ნიკო პატარქალიშვილი, გიორგი გოგოლაშვილი და გიორგი კიკნაძე.

## ოთხი ფეხბურთელი არგენტინაში მიდის ედუარდო დელგადოსთან

## პროექტი „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014

საფეხბურთო დონის ასამაღლებლად ხვიჩა მურღულიას, ვასილ აფციაურს, გიგი თარყაშვილსა და ვალერი აგაჯანოვს, არგენტინაში კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაემატებათ:

1. გოგოლაშვილი გიორგი, დაბადებული 1990 წლის 1 იანვარს. ცენტრალური მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო 10 წლისამ საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“. მისი მწვრთნელი იყო თამაზ სამხარაძე;

2. კიკნაძე გიორგი, დაბადებული 1991 წლის 22 სექტემბერს. მარჯვენა ნახევარმცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო, საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსში“ 9 წლისამ. მისი მწვრთნელი იყო რევაზ გვარაკიძე;

3. ხარაიძე ლადო, დაბადებული 1988 წლის 4 ივლისს. ცენტრალური ნახევარ მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“, ნოდარ ხიზანიშვილის მწვრთნელობით.

4. ჩიხრაძე თორნიკე, დაბადებული 1992 წლის 8 ივლისს. ნახევარმცველი. 9 წლის ასაკიდან თამაშობს ფეხბურთს. მისი მწვრთნელები იყვნენ მამუკა მურჯიკნელი და კახა ბექაური.

ამ ფეხბურთელებმა ამა წლის 23 იანვარს, მიიღეს არგენტინის ვიზები და 2 თებერვალს გაემგზავრებიან არგენტინაში.

პროექტი „Argent-Georgia“ 2010-2014 ითვალისწინებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ნაკრები გუნდების გაძლიერებას და წარმატებით მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში.

მიმდინარე წლის მარტსა და მაისში ედუარდო დელგადო კიდევ მიიწვევს ფეხბურთელებს მოსამზადებლად.

ნიკო პატარქალიშვილი

პროექტის „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014ხელმძღვანელი

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge


ელგუჯა გუგუშვილი

დიალოგი ლელოსთან

## ელგუჯა გუგუშვილი:

# ტოპმიოლერს არც არაფერი გაუფუჭებია და არც არაფერი გაუკეთებია

იშვიათად, მაგრამ მაინც, არიან ადამიანები, რომლებიც რამდენიმე სფეროში ერთნაირი წარმატებით მოღვაწეობენ და წარუშლელ კვალს ტოვებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა ეს სფეროები ზოგჯერ დიამეტრულად განსხვავებულია ერთმანეთისგან. ელგუჯა გუგუშვილმა სოფლის მეურნეობასა და სპორტში პარალელური მოღვაწეობით გამოირჩინა თავი. მის ბიოგრაფიაში, უმაღლესი სამეცნიერო ტიტულების გვერდით ამოიკითხავთ, რომ იგი არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, ამასთან, მინიჭებული აქვს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. ამჟამად სათავეში უდგას ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის აკადემიას. საფეხბურთო პრობლემებზე მუდამ საინტერესოა მასთან საუბარი. არასდროს გაურბის ჟურნალისტებს. ამჯერადაც „ლელოსთან" დიალოგზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

**- თქვენ და ფეხბურთი! რამდენი ხანია, ერთად მოაბიჯებთ?**

- 35 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ფეხბურთი ჩემი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. დაიჯერებთ? ამ ხნის განმავლობაში ჩემთვის უსაყვარლეს საქმეს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვემსახურები საქართველოში.

**- და რა იყო ამ გზაზე უფრო მეტი სიხარული თუ სასოწარკვეთა?**

- იყო იმედის გაცრუება, სიხარულიც, რომელიც ჭარბობდა სასოწარკვეთას. მაინც ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ ჩემი შრომა ჩემ შეგირდებს ანიჭებდა სიხარულს, რიგ შემთხვევაში, ბედნიერებას.

**- ანუ, რაც გსურდათ ის სჭარბობდა არასასურველს?**

- დიახ.

**- თავიდანვე იცოდით თუ არა, რომ მწვრთნელობა, მით უმეტეს, ფეხბურთში, უმადური საქმეა?**

- ვიდრე საკუთარ თავს არ გამოცდი, დასკვნას ვერ გამოიტან. ვისთვის ძნელია, ვისთვის გამოწვევა, ანუ შინაგანი ძალების გამოცდა. საერთოდ კი, მწვრთნელის პროფესია დაკავშირებულია რისკთან, უსაზღვრო ემოციებთან, ყოველ წამს უნდა ელოდე უსიამოვნებას - პროფესიულსაც და ეკონომიურსაც. მწვრთნელს დღეს ადმერთებენ, ხვალ შეიძლება განკიცხვის ობიექტად იქცეს. მწვრთნელობა ბედნიერებაა, მაგრამ იშვიათია, რომ მწვრთნელი ბედნიერი იყოს.

**- ფიქრობთ, რომ ეს გამოცდა წარმატებით გაიარეთ?**

- თვითკმაყოფილება ღირსებას ვერ შემატებს ადამიანს. მაგრამ იმის თქმა კი შემძლია, რომ მოცემულ ვითარებასა და პირობებში ის გავაკეთე, რაც შევძელი, 44 საპრიზო ადგილი მაქვს მოპოვებული ჩემს სამწვრთნელო ბიოგრაფიაში.

**- ანუ, თავი არ დაგიზოგავთ...**

- ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი.

**- ჯდება თუ არა თვითრეალიზაციის ჩარჩოში თქვენი გადაწყვეტილება გემუშავათ უცხოეთის საფეხბურთო კლუბებში?**

- ყველა სპეციალისტი ცდილობს განსხვავებულ გარემოში გამოსცადოს თავი და ამაში დასაძრახი არაფერია. მეც გადავდგი ეს ნაბიჯი. ვფიქრობ არ შევმცდარვარ.

**- და რა მიიღეთ?**

- მივიღე ჩემი შესაძლებლობებისა და საქმეში მხარდაჭერის ადეკვატური შედეგი. პროფესიული თვალსაზრისით - უდიდესი გამოცდილება, მეორე მხრივ - ეკონომიკური სიძლიერე.

**- მოდით შეახსენეთ მკითხველს, სად იმუშავეთ საზღვარგარეთ და რას მიაღწიეთ.**

- ვიყავი პირველი ქართველი, რომელიც უცხო ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დავინიშნე. ეს იყო თურქმენეთში. 22 ჩატარებული მატჩიდან 17 მოვიგეთ, 3 ფრედ ვითამაშეთ, მხოლოდ 2-ჯერ დავმარცხდით. აშხაბადში „კოპეტდაღის" მთავარ მწვრთნელად ვმუშაობდი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონი გახდა. დსთ-ის პირველობაზე მოსკოვის „სპარტაკთან" ფინალში დავმარცხდით, მაგრამ დამატებით დროში, თერთმეტმეტრიანი დარტყმებით. მოვიგეთ რუსეთის პრეზიდენტის თასი, სადაც პორტსაბჭოური და აზიის ქვეყნების ჩემპიონები მონაწილეობდნენ.

საბერძნეთში, როცა „იანინა" ჩავიბარე, გუნდს ლიგიდან გავარდნის საშიშროება ემუქრებოდა, 5 მატჩიდან 4 მოვიგეთ და ხუთეულს მივუახლოვდით. ვიყავი საბჭოთა კავშირის სპორტ-საზოგადოებათა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შ. ჭეიშვილთან და ვ. კოპალეიშვილთან ერთად ჩვენი პირველი ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელად ვმუშაობდი. საუდის არაბეთიდან კლიმატურ პირობებთან შეუგუებლობის გამო, მოსამზადებელ პერიოდშივე სამშობლოში დავბრუნდი.

**- ფეხბურთში დღესაც რჩებით ერთ-ერთ გამორჩენილ სპეციალისტად. რას გვეტყვით იმ ნოვაციებზე, რაც თქვენ სახელს უკავშირდება?**

- მწვრთნელის საქმიანობაში ყველაზე დიდი ნოვაცია, ნიჭის მიგნებაა, ალბათ ამ მხრივ, რაღაც გამომდის.

**- როდის მიიღეთ, ფეხბურთში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებებიდა რა დამსახურებისთვის?**

- საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მომენიჭა დაახლოებით 20 წლის წინათ, როდესაც ჩემი ხელმძღვანელობით საქართველოს სტუდენტთა ნაკრებმა საბჭოთა კავშირის უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვა, საქართველოს სპორტ-საზოგადოებათა ნაკრები საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო საქართველოს ნაკრები ამიერკავკასიის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი გახდა. იმავდროულად ჩემი აღზრდილები ქვეყნის სპორტულ ღირსებას, სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში იცავდნენ. თბილისის ჩემპიონატში მონაწილე ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდიდან უმაღლეს ლიგაში 14-მა ფეხბურთელმა ითამაშა. ეს იმ პერიოდისთვის დიდი მიღწევა იყო. სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება კი სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის 5 წლის წინათ მომანიჭეს.

**- თქვენ ხელში თაობებმა გაიარა. ბევრი კარგი ფეხბურთელი დადგა ბევრმაც ადამიანური ღირსებებით დაიმკვიდრა ცხოვრებაში ადგილი. ერთი სიტყვით, თქვენთვის, როგორც ჩანს, თვითმიზანი არ არის, მხოლოდ სპორტსმენის აღზრდა. აშკარად ჩანს, რომ პიროვნების ფიზიკური და სულიერი ფორმირების ჰარმონიაში ხედავთ სპორტის დანიშნულებას. ასეა თუ არა?**

- ნამდვილი მწვრთნელი, უწინარეს ყოვლისა, პედაგოგი უნდა იყოს, ზრუნავდეს არა მარტო ფეხბურთელების საერთო ფორმაზე, არამედ დაინტერესებული უნდა იყოს მათი ცხოვრებითაც, იყოს მათი უფროსი მეგობარი. თუ ფეხბურთელი რჩევას მთხოვს, მზად ვარ, ვეხმარები, გამოცდილება ამის საშუალებას მაძლევს. ყოველთვის სუფთა ვარ საკუთარი სინდისის მიმართ. იგივეს ვითხოვ სპორტსმენებისგან. ჩემ სამწვრთნელო ბიოგრაფიას არ ახსოვს, როდესმე „ჩაწყობილი", წინასწარ გარიგებული თამაში მეთამაშოს. მუდამ ვცდილობ, ჩემი სიყვარული ფეხბურთისადმი მოთამაშეებსაც ჩავუნერგო, ისევე წმინდად, როგორც ეს მე მესმის.

**- თავის დროზე თქვენ გამოგითქვამთ არაერთი კრიტიკული შენიშვნა ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, მათ შორის „ლელოს" ფურცლებზე. თუ შეიძლება, მოკლედ შეახსენეთ მკითხველს რა არ მოგწონდათ და რა შეიცვალა თქვენი კრიტიკული შენიშვნების შემდეგ.**

- არ მომწონდა, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელები საქართველოში რომ არ ცხოვრობდნენ. თუ რატომ ეს სხვა თემაა. ვნახოთ შედეგი. წინა ტურნირში 5 გუნდიდან ბოლოსწინა მე-4 ადგილი, წლეულს 7 გუნდიდან კვლავ ბოლოსწინა მე-6 ადგილი, ანუ 4-წლიანი სრული სტაგნაცია. ვწერდი, რომ შექმნილიყო გამოცდილი სპეციალისტებისგან სელექციონერთა ჯგუფი. ვითხოვდი ნაკრებისთვისყ უახლოესი რეზერვის - მეორე ნაკრების ჩამოყალიბებას, მწვრთნელთა საბჭოს ფორმირებას, ბავშვთა ფეხბურთში მომოუშავე მწვრთნელებისთვის ატესტაციას და ა.შ. ხომ გაგიგიათ, ქარავანი მიდის... მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, მსიამოვნებს, რომ ჩვენთან ტალანტები მაინც გამოდიან დიდ ასპარეზზე, იკაფავენ გზას არა მარტო საკუთარი კარიერის, არამედ ქართული ფეხბურთის პროგრესისთვის.

**- ფეხბურთის ფედერაცია ბოლო ხანებში საზოგადოებას არწმუნებს, რომ ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა და ამაში დიდია ტოპმიოლერის დამსახურება. მომავალში მისგან უფრო მეტ სიკეთეს გვპირდებიან, გჯერათ რომ ასეა?**

- ჩემი აზრით, გერმანელ მწვრთნელს ქართული ფეხბურთისთვის არც არაფერი გაუფუჭებია და არც არაფერი გაუკეთებია; გული მწყდება, რომ მერამდენე წელია ნაკრები გზაჯვარედინზეა გახერგილი. ჩვენი გუნდი ათასგზის ანათემასაა გადაცემული, მაგრამ მაინც ფეხმოკიდებული დაცვითი სისტემით თამაშობს, თუ შემდეგში ასე გაგრძელდა, თავს ამოვყოფთ უსიერ ტყეში, საიდანაც არც ხსნა იქნება და არც გამოსავალი. ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, სანახაობაა, წარმოუდგენლად მიმაჩნია წავიდეთ ჩვენი გულშემატკივარის მოთხოვნის წინააღმდეგ, ანუ ზურგი ვაქციოთ შემტევ ფეხბურთს. რაც შეეხება წარმატებას, მოთმინებით დაველოდოთ თუ როდის გაგვიღიმებს ბედი. სხვისი არ ვიცი, მაგრამ, რატომღაც სასწაულების არ მჯერა.

**- თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთის უკეთესი ხვალინდელი დღე რამ შეიძლება განაპირობოს?**

- შევეცდები ზოგიერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. პირველი - ესაა ფეხბურთის ფედერაციის გამართული მუშაობა და სწორი სტრატეგია. მეორე - ნაკრებში და საკლუბო გუნდებში მომუშავე მწვრთნელების მაღალი პროფესიონალიზმი, მესამე - მოზარდთა და ბავშვთა ფეხბურთში საწვრთნელი პროცესის და ორგანიზაციული საკითხების გეგმაზომიერი პოლიტიკის შემუშავება, მეოთხე და ერთ-ერთი მთავარი, სახელმწიფოს დახმარებაა, ურომლისოდ ვერც ერთი ზემოხსენებული საკითხი ვერ გადაიჭრება. მდგომარეობა მკვეთრად უნდა შეიცვალოს თორემ ხვალ, უკვე გვიან იქნება - უფრო გაიზრდება მანძილი ჩვენსა და წინ წასულებს შორის.

**- რაც მართალია, მართალია, მრავალი საბავშვო საფეხბურთო მოედანი გაკეთდა საქართველოში ბოლო წლებში. ეს კარგია, თბილისში, მაგალითად, ყოველთვის იძლეოდა შედეგს ე.წ. ქუჩის ფეხბურთი. ახლა ბევრგან, ზემოხსენებული სათამაშო მოედნების წყალობით, ეს პროცესი უფრო ცივილური გახდა, მაგრამ დამეთანხმებით, ალბათ, არც ასე თვითდინებაზე შეიძლება საქმის კეთება, წამლისა არ იყოს: გადაჭარბებული დოზით, სპორტიც საზიანოა, ვინ უნდა აგოს პასუხი „დოზირებაზე"?**

- ბუნებრივია, კვალიფიციურმა სპეციალისტებმა, რომელთაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დიპლომი აქვთ და არა ორკვირიანი კურსების მსმენელებმა.

რაც შეეხება ქუჩის ფეხბურთს, მე მას „ველურ ფეხბურთს" დავარქმევდი. აქ ბავშვებს მწვრთნელი ნამდვილად არ სჭირდებათ. ბავშვებმა უნდა ითამაშონ რამდენიც სურთ, თავისუფლად, ლაღად. ითამაშონ უფროსებთან, თანატოლებთან, უმცროსებთან. ქუჩის ფეხბურთის ყველაზე დადებითი ის არის, რომ ფეხბურთს ბავშვი ბავშვს ასწავლის და არა მწვრთნელი ბავშვს.

**- როგორ ფიქრობთ, განა ურიგო იქნებოდა ჩატარდეს მოკლევადიანი კურსები ინსტრუქტორთა მოსამზადებლად? ახალგახსნილ მოედნებს ხომ პატრონი უნდა.**

- საკითხი მეტად აქტუალურია. საჭირო და აუცილებელია გააზრებული და გამიზნული მოქმედებით, უსწრაფესად ამოიფხვრას გარღვევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**- მინდა გავაგრძელო ბავშვთა ფეხბურთის თემა. მოედნების მომრავლებამ ხელი შეუწყო მასობრიობას. ბუნებრივია,' ბევრი ნიჭიერი მოზარდი იქნება მათ შორის. ვინ მიხედავს მათ, ვის გამოავლენს და რა გზით, ვინ მისცემს სწორ გეზს შემდგომში მათ დაოსტატებას, სად უნდა გაგრძელდეს ეს პროცესი?**

- ნიჭიერ ბავშვებს მხოლოდ ნიჭიერი მწვრთნელები მისცემენ სწორ მიმართულებას. გვყავს თუ არა ნიჭიერი მწვრთნელები? გვყავს და თანაც მრავლად. ოღონდ მათ თვითრეალიზაციის საშუალება უნდა მიეცეს, საჭიროა ახალგაზრდა მწვრთნელების უფრო თავისუფალი, უფრო თამამი მოწვევა, როგორც საკლუბო, ისე სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში. კვალიფიკაციის ამაღლება უნდა მოხდეს სტაჟირებით, როგორც ქვეყნის წამყვან საკლუბო გუნდებში, ისე საზღვარგარეთ. მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოს ფეხბურთის ფეერაციასთან ერთად ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სპორტის აკადემიაში შეიქმნას მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

**- რაკი სიტყვა ნიჭიერებაზე ჩამოვარდა, მინდა გავიხსენო ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის სიტყვები. ერთხელ მან თქვა: „უნიჭო ფეხბურთელებთან სრულიად უძლური ვარ", - ეთანხმებით?**

- სავსებით ვეთანხმები. პრაქტიკამ დამანახა, რომ უნიჭო ფეხბურთელთან მუშაობა წყალში გადაყრილი შრომაა. ასეთი ფეხბურთელი საშუალო დონეს ვერ გასცდება. ნიჭიერი ფეხბურთელი მწვრთნელისთვისაც სიხარულია, უნიჭო - სასოწარკვეთა. სხვათა შორის, უნიჭო ფეხბურთელთან მუშაბაც ერთობ საინტერესო პროცესია.

**- ისე, ნონსენსია, - როგორ უნდა ხვდებოდნენ უნიჭოები კლუბებში, ნაკრებში. თანაც, მწვრთნელები ხომ გაცილებით მეტს მოითხოვენ ამა თუ იმ ფეხბურთელისგან, ვიდრე მათ უნარი შესწევთ?**

- უნიჭოც არის და უნიჭოც, გააჩნია რა ხარისხით. გუნდში მათი არსებობა, თქვენ წარმოიდგინეთ, საჭიროა, თორემ თერთმეტი გენიოსი ფეხბურთელისგან შემდგარი გუნდი დამარცხებისთვის განწირულია.

**- სპორტის აკადემიის ოპტიმიზაციის პროცესი უარყოფით გავლენას ხომ არ იქონიებს ჩვენში საფეხბურთო კადრების მომზადებაზე. და კიდევ, მიმდინარე სასწავლო წელს რამდენი აბიტურიენტი ჩაირიცხა აკადემიაში ფეხბურთის სპეციალობით?**

- კადრები, რომლებიც ფეხბურთის კათედრაზე მუშაობდნენ სრულიად არის შენარჩუნებული, კადრებთან დაკავშირებით პრობლემა არ არის. საჭიროა საფეხბურთო მინდვრის რეკონსტრუქცია, რომელიც მალე დაიწყება. გასულ წელს 160-ზე მეტი აბიტურიენტი ჩაირიცხა ფეხბურთის სპეციალობით. ვფიქრობ, ეს ციფრი პროფესორ-მასწავლებლების მაღალ კვალიფიკაციაზე და ახალგაზრდებს შორის ფეხბურთისადმი სიყვარულზე მიგვითითებს.

**- ხომ არ ისურვებდით დამატებით რაიმე საკითხის წამოწევას წინა პლანზე, იქნებ რომელიმე თქვენთვის საინტერესო თემას ვერ შევეხე...**

- სათქმელი ბევრი მაქვს, შემდეგისთვის გადავდოთ.

**- დიდი მადლობა დიალოგისთვის.**

- მეც მადლობელი ვარ.

ესაუბრა
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXI ტურის წინ

# ახალი ვიეირა: სისოკო ეგრევე ძირითადში?

## გატუზო ერთი თვე დაისვენებს

| დღეს |
|---|
| პალერმო-ლივორნო |
| ნაპოლი-უდინეზე |
| **ხვალ** |
| ჯენოა-კატანია |
| ინტერი-ემპოლი |
| იუვენტუსი-კალიარი |
| ლაციო-სამპდორია |
| პარმა-ატალანტა |
| რეჯინა-ტორინო |
| სიენა-რომა |
| ფიორენტინა-მილანი |

"უდინეზე"-"ნაპოლი" 0:5 - ეს კოშმარი ფრიულელებს არასოდეს დაავიწყდებათ. ჩვენც გავიხსენოთ, რომ ჩემპიონატის მეორე ტურში ნეაპოლიტანელებმა უდინური კრებული სწორედ ამ ანგარიშით დაამარცხეს. **პასკუალე მარინოს** ბიჭებს რევანში სწყურიათ. ალბათ, ეს რევანში ისეთი ვერ გამოუვათ, მაგრამ "სან პაოლოზე" 3 ქულის აღებაც რეალურია. ორივე გუნდს სერიოზული დანაკლისი აქვს და მხოლოდ ტრავმირებულების სახით. მაგალითად, "ნაპოლის" არ ეყოლება ძირითადი მეკარე **ჯენარო იეცო**, არ იქნებიან ასევე მცველები - **მაურიციო დომიცი** და **მირკო სავინი**. მარინოსაც მოუწევს თავის მტვრევა ძირითად შემადგენლობაზე. ხუმრობა საქმე არ არის ნახევარდაცვაში **ჯანდომენიკო მესტოს**, **ჯამპაოლო პინცისა** და **კრის ობოდოს** არყოფნა?

მანამდე "პალერმო"-"ლივორნო" იქნება. მასპინძლებს 2008 წელს გამართული სამივე მატჩი წაგებული აქვთ. პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** მოთმინება კი უსაზღვრო არ გახლავთ. მან სამჯერ გაუშვა პოსტიდან **ფრანჩესკო გვიდოლინი** და არც მეოთხედ იტყვის უარს. არადა, "ლივორნო" უკეთეს ფორმაშია, ვიდრე თუნდაც ორი თვის წინ. გავიხსენოთ ისიც, რომ ანალოგიური პროგრამით შარშან "პალერმომ" 3:0 მოიგო, თუმცა ვეჭვობთ, მსგავსი შედეგი დღესაც განმეორდეს. გუნდებს თითო დისკვალიფიცირებული ჰყავთ. მასპინძლებს არ ეყოლებათ მცველი **ლეანდრო რინაუდო**, სტუმრებს კი ნახევარმცველი **ანტონიო დე ვეცე**. სხვა, მნიშვნელოვანი დანაკლისი არ ჩანს, თუ არ ჩათვლით ტრავმირებულ **ჯულიანო ჯანიკედას**, რომელსაც "ლივორნოში" პრაქტიკულად არ უთამაშია.

კვირას ყველაზე საინტერესო, და შეიძლება ითქვას, ტურის ცენტრალური მატჩი ფლორენციაში გაიმართება, სადაც "ფიორენტინა" "მილანს" უმასპინძლებს. სტუმრებს ჰაერივით სჭირდებათ გამარჯვება, რათა სტრატეგიულ მეოთხე ადგილთან სხვაობა ოთხ ქულამდე შეამციროს. თავის მხრივ, "ვიოლას" გამარჯვება იმის მომასწავებელი იქნება, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად "როსონერის" კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა მოუწევს. მასპინძლებს დააკლდებათ წამყვანი ნახევარმცველი **მარკო დონადელი**, რომელიც დისკვალიფიცირებულია, და ნახევარდაცვის კიდევ ერთი ბურჯი **ფაბიო ლივერანი**, რომელიც ტრავმას იშუშებს. "მილანში" კვლავ სამკურნალონი არიან **ფილიპო ინძაგი**, **რონალდო**, **მარეკ იანკულოვსკი** და **სერჟინიო**. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ოთხშაბათს "რეჯინასთან" მატჩში მიღებული ტრავმა **ჯენარო გატუზოს** თითქმის ერთთვიან პაუზად დაუჯდება. სხვა მხრივ, მნიშვნელოვანია, დააყენებს თუ არა **კარლო ანჩელოტი** ორ თავდამსხმელს. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, კარლეტოს ერთადერთი ფორვარდი ეყოლება და ისიც **ალბერტო ჯილარდინოს** სახით. სხვა წყაროები კი ვარაუდობენ, რომ "ფიორენტინის" რისხვა **ალეშანდრე პატო** იქნება.

ლიდერი "ემპოლის" მასპინძლობს. **ლუიშ ფიგუ**, **ოლივიე დაკური** და **ვალტერ სამუელი** "ინტერის" ლაზარეთში რჩებიან, განაპირა ნახევარმცველი **სეზარ აპარესიდო** კი სასჯელს იხდის. ტრავმის შემდეგ ბრუნდება **დავიდ სუასო**, რომელმაც, შეიძლება, ეგრევე ძირითად შემადგენლობაში ამოჰყოს თავი, რადგან **ხულიო კრუსს** მცირე ტრავმა აწუხებს, ბოლო მომენტში ცნობილი გახდა, რომ **ერნან კრესპოს** თამაშიც საეჭვოა. არ არის გამორიცხული, **რობერტო მანჩინიმ** გარკვეული დრო დაუთმოს 17 წლის **მარიო ბალოტელის**, რომელმაც "იუვენტუსთან" სათასო მატჩში დუბლი გაახერხა. "ემპოლისთვის" უმნიშვნელოვანესი დანაკლისია ცენტრალური მცველის **ფრანჩესკო პრატალის** ტრავმა.

"რომა", რომელმაც ერთი კვირის წინ ლიდერთან ჩამორჩენა ხუთ ქულამდე დაიყვანა, "სიენას" სტუმრობს. ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობითაა, თუ არ ჩავთვლით **ტომას ლოკატელის**, რომელმაც ტრავმა მიიღო. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ **მარიო ბერეტა** სასტარტოში დააყენებს ვეტერან ფორვარდ **კრისტიან რიგანოს**, რომელიც ცოტა ხნის წინ ესპანური "ლევანტესგან" ითხოვეს.

"იუვენტუსის" მეტოქე აუტსაიდერი "კალიარი" იქნება. სარდინიელებს სერია A-ში დარჩენის იმედი ჯერ არ დაუკარგავთ, შესაბამისად, მათთვის თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეჭვგარეშეა, რომ **დავიდე ბალარდინის** შეგირდები "ოლიმპიკოზე" თავს გადადებენ. "იუვესაც" არ აქვს დასაკარგი ქულები. ახლა ყოველი ნაფორხილება ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილის დაკავებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. ტურინელებს ძირითადი შემადგენლობის ნახევარი არ ეყოლებათ. **კრისტიან ძანეტი** და **ვინჩენცო იაკუინტა** დისკვალიფიცირებულნი არიან. ამავე მიზეზით არ შედგება "ლაციოდან" მოსული მცველის **გილერმო სტენდარდოს** დებიუტი (თუმცა მან უკვე ითამაშა "ინტერთან" სათასო მატჩში). ამას გარდა, კვლავ ვერ დაიცავს კარს **ჯანლუიჯი ბუფონი**, ტრავმები აქვთ **ჯორჯო კიელინის**, **მარკო მარკიონისა** და **ჟორჟე ანდრადეს**. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აბსოლუტურად რეალურია, რომ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდეს ექსლივერპულელი **მოჰამედ სისოკო**, რომელიც კლუბმა ოფიციალურად გუშინ წარადგინა. რაც შეეხება "კალიარის", დისკვალიფიკაციის გამო სტუმრებს მცველი **დავიდე ბიონდინი** არ ეყოლებათ.

ტრადიციულად დიდ ინტერესს იწვევს "ლაციოსა" და "სამპდორიის" დაპირისპირება. რომაელები თასის ნახევარფინალში დამაჯერებლად გავიდნენ და წესით, ამან დადებითი ფსიქოლოგიური გავლენა "ლაციალეს" საჩემპიონატო განწყობაზეც უნდა იქონიოს, მით უფრო, რომ გუნდი გასავარდნი ზონის სიახლოვესაა. **დელიო როსის** ძალიან გაუჭირდება ძირითადი შემადგენლობის შეკოწიწება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუთი ფეხბურთელი თამაშგარეშეა: **ფაბიო ფირმანი**, **ლუჩანო ძაური**, **ლორენცო დე სილვესტრი** და **კრისტიან მანფრედინი** ტრავმებს იშუშებენ, მცველი **ალექსანდრ კოლაროვი** და ფორვარდი **როლანდო ბიანკი**, რომელსაც ერთი კვირის წინ ხუთწუთიანი დებიუტი ჰქონდა, დისკვალიფიცირებულნი არიან. არც **ვალტერ მაძარია** კარგ დღეშია. "სამპს" ორი წამყვანი მცველი აკლია, **პიეტრო აკარდის** და **სტეფანო ლუკინის** სახით, ასევე ვერ ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველი **პაოლო სამარკოც**.

"პარმისა" და "ატალანტის" შეხვედრაში გუნდებს თითო წამყვანი მოთამაშე დააკლდებათ. მასპინძელთა შორის არ იქნება ნახევარმცველი **სტეფანო მორონე**, რომელიც დისკვალიფიცირებულია, ხოლო სტუმრებს, ამავე მიზეზით, არ ეყოლებათ არგენტინელი შუახაზელი **ფერნანდო ტისონე**.

"რეჯინასთან" გასვლით მატჩს "ტორინო" ლამის განახევრებული შემადგენლობით ხვდება. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ფორვარდები - **ნიკოლა ვენტოლა** და **ალვარო რეკობა**, ხოლო ნახევარმცველებს - **სიმონე ბარონესა** და **პაოლო ძანეტის**, ასევე მცველ **პაოლო ერნან დელაფიორეს** დისკვალიფიკაცია აქვთ მოსახდელი.

წამყვანი მოთამაშეები იქნებიან დისკვალიფიცირებულნი "ჯენოა"-"კატანიის" მატჩშიც. მასპინძლები მოკლებულნი არიან მცველ **ომარ მილანეტოსა** და მეკარე **რუბინიოს** სამსახურს, "კატანიას" კი დანაკლისი აქვს ნახევარდაცვაში, **ხუან ვარგასისა** და **მარკ ედუსეის** სახით.



მოჰამედ სისოკო უკვე იუვენტუსელია და დებიუტისთვის ემზადება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 20 | 15 | 5 | 0 | 43-13 | 50 |
| 2. რომა | 20 | 13 | 6 | 1 | 38-19 | 45 |
| 3. იუვენტუსი | 20 | 11 | 7 | 2 | 39-17 | 40 |
| 4. ფიორენტინა | 20 | 10 | 7 | 3 | 32-18 | 37 |
| 5. უდინეზე | 20 | 9 | 6 | 5 | 23-22 | 33 |
| 6. მილანი | 19 | 8 | 6 | 5 | 31-16 | 30 |
| 7. სამპდორია | 20 | 8 | 4 | 8 | 26-24 | 28 |
| 8. ატალანტა | 20 | 6 | 8 | 6 | 29-28 | 26 |
| 9. პალერმო | 20 | 6 | 7 | 7 | 27-34 | 25 |
| 10. ჯენოა | 20 | 6 | 7 | 7 | 20-27 | 25 |
| 11. ნაპოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 30-31 | 24 |
| 12. კატანია | 20 | 5 | 8 | 7 | 18-22 | 23 |
| 13. ლივორნო | 19 | 5 | 6 | 8 | 23-31 | 21 |
| 14. ლაციო | 20 | 4 | 8 | 8 | 22-29 | 20 |
| 15. პარმა | 20 | 4 | 7 | 9 | 22-29 | 19 |
| 16. ტორინო | 20 | 2 | 12 | 6 | 17-24 | 18 |
| 17. რეჯინა | 20 | 3 | 9 | 8 | 17-29 | 18 |
| 18. სიენა | 20 | 3 | 8 | 9 | 22-31 | 17 |
| 19. ემპოლი | 20 | 3 | 7 | 10 | 15-28 | 16 |
| 20. კალიარი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-37 | 13 |

იტალიის ნაკრები

# დონადონი დელ პიეროს შეურიგდა?

**როზერტო დონადონი** პორტუგალიის ნაკრებთან ოთხშაბათის ამხანაგური მატჩისთვის **ალესანდრო დელ პიეროს** გამოიძახებსო, ამტკიცებს პოპულარული ტურინული გამოცემა "ლა სტამპა". "პინტურიკიოს" იტალიის ეროვნულ გუნდში საფრანგეთთან მილანური დაპირისპირების (2007 წლის სექტემბერი, 0:0) შემდეგ არ უთამაშია. ალბათ გახსოვთ, რაც მოყვა ამ თამაშს. დელ პიერომ მკაცრად გააკრიტიკა "აძურის" მწვრთნელი, რაკი ამ უკანასკნელმა უჩვეულო პოზიციაზე ათამაშა. დონადონიმ დელ პიერო მარცხენა ფლანგზე გაამწესა, თუმც ვეტერანმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ აღარ ითამაშებს ეროვნულ გუნდში, თუკი მეორე ფორვარდად არ დააყენებენ...

კრიტიკის საპასუხოდ, "დონმა" 33 წლის ფეხბურთელს საკვალიფიკაციო ეტაპის დარჩენილ შეხვედრებში აღარ უხმო. ბევრმა ჩათვალა, რომ დელ პიეროს სანაკრებო კარიერა დასრულებული იყო. ალექსს კი ნათქვამი აქვს, საკუთარი ნებით "სკუადრა აძურაზე" უარს არასოდეს იტყვის. მაშ რა ხდება? რა გაუჭირდა დონადონის ამისთანა? შესაძლოა, თავი და თავი დელ პიეროს პოზიტიურ კონდიციებშია. ბოლო ხანებში ის მართლაც კარგ ფორმაშია. ბოლო-ბოლო, სტატისტიკას გადავხედოთ: უკანასკნელ 8 შეხვედრაში ალექსმა 6 გოლს მოუყარა თავი. აქვე შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრების მაისურით მას 25 გოლი აქვს გატანილი. ეროვნულ გუნდში ჩატარებული 85 მატჩით კი "აძურის" ისტორიაში ჯერჯერობით მეხუთე შედეგის მფლობელია.


ალესანდრო დელ პიეროს ნაკრებში ეძახიანო...

მწვრთნელი

# ლიპი ისევ იუვენტუსში?

## ...ოღონდ, ტექნიკურ დირექტორის როლში. რას იზამს რანიერი? სპორტულ დირექტორ სეკოს კი წყალი შეუდგაო

**მარჩელო ლიპის** დაბრუნება სპეკულაციების საგნად რჩება. ცნობილია, რომ სახელგანთქმული სპეციალისტი მომავალი სეზონიდან მუშაობის განახლებას აპირებს, თუმცა მისი ახალი სამსახურის ადგილმდებარეობა ან გაურკვეველია, ანდაც გასაიდუმლოებული. "ბარსელონა", "მილანი", "ლივერპული"... შესაძლოა, ესპანეთის ან პორტუგალიის ნაკრებებიც - ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ კლუბებისა თუ ეროვნული გუნდებისა, სადაც მაესტროს ახალი სამუშაო შეიძლება შესთავაზონ. თუმცა, პარალელურად, არ წყდება საუბრები "იუვენტუსში" მისი სენსაციური დაბრუნების თაობაზეც.

გუშინ, ბოლონიაში გამომავალი ყოველდღიური გაზეთის "ილ რესტო დი კარლინოს" ფურცლებზე გაჩნდა სტატია, რომელშიც სწორედ "იუვეა" ნახსენები. ლიპი ტურინული გრანდის ლეგენდაა. ის ყოველთვის და ყველაზე მეტად სწორედ "ბებერ ქალბატონთან" ასოცირდებოდა, გამომდინარე იმ ნაყოფიერი წლებიდან, რაც მან "დელე ალპიზე" გაატარა. "იუვენტუსთან" ერთად, ორ სხვადასხვა პერიოდში, მარჩელომ 5 სკუდეტო, იტალიის თასი, ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი მოიგო. "სინიორას" ფანების უმრავლესობა დღესაც ოცნებობს ლიპის დაბრუნებაზე, იმიტომ, რომ ის ყოველთვის წარმატების გარანტი იყო.

"ილ რესტო დი კარლინო" ამტკიცებს, რომ ზაფხულიდან ლიპი "იუვენტუსის" ტექნიკურ დირექტორად დაინიშნება. მის უფლებამოსილებაში შევა სატრანსფერო პოლიტიკა, მოთამაშეების ყიდვა-გაყიდვა, სელექცია და საწვრთნელი პროცესის კონტროლი. გაზეთი გვაუწყებს იმასაც, რომ არაფერი ემუქრება **კლაუდიო რანიერის**, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორით წლით აკავშირებს. როგორც ამბობენ, მის ასისტენტად იტალიის ნაკრებისა და "იუვეს" კიდევ ერთი ლეგენდა **ჩირო ფერარა** მოიაზრება.

თუმცა ექსპერტები და მიმომხილველები ეჭვობენ, რომ რანიერიმ ლიპის მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობა ისურვოს. ასევე საკამათო საკითხია, დარჩება თუ არა პოსტზე სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო**, რომლის მუშაობითაც კლუბის მაღალი უფროსობა უკმაყოფილოა. სეკოს წარუმატებელი ტრანსფერები ბრალდება. ასე მაგალითად, **ჟან-ალენ ბუმსონგი**, რომელიც "ლიონში" გაუშვეს; საფრანგეთს მიაშურა **სერხიო ალმირონმაც**, რომელიც "მონაკოში" ჩაირიცხა. კვლავ გაურკვეველია **ტიაგო მენდეშის** ბედი. სეკოს ადანაშაულებენ იმაშიც, რომ გასულ ზაფხულს **ჯორჯო კიელინის** გაყიდვას ცდილობდა. ამ დროს კი ყველა დარწმუნდა, რომ კიელინი "იუვეს" მომავალია. მან ღირსეულად შეცვალა **ჯანლუკა ძამბროტა**.

მოკლედ, დროა საჭიროა, რათა ყველაფერი გაცხადდეს. მანამდე კი ლიპის კომენტარი იტალიის ჩემპიონატის ახალ ვარსკვლავებზე...

### ლიპი: პატო შევჩენკოს მაგონებს, ბალოტელი ახალი იბრაჰიმოვიჩია...

მარტო ლიპი კი არა, **ალეშანდრე პატომ** უკვე მთელი საფეხბურთო სამყარო აალაპარაკა. 18 წლის ბრაზილიელს "მილანში" ფანტასტიკური სტარტი ჰქონდა. ოთხ მატჩში მან 3 გოლი გაიტანა, მათ შორის, ერთი დუბლიც. 17 წლის **მარიო ბალოტელიმ** კი თავი გამოიჩინა "იუვენტუსი"-"ინტერის" ამასწინანდელ სათასო დუელში, როცა მისმა ორმა გოლმა ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედი "ნერაძურის" სასარგებლოდ გადაწყვიტა.

*"მათ აბსოლუტურად განსხვავებული საფეხბურთო თვისებები აქვთ, - ამბობს ლიპი, - იმდენაც განსხვავებული, რომ ერთმანეთს ვერ შევადარებ. პატო უფრო სწრაფი და შემოქმედია, ბრწყინვალედ აკონტროლებს ბურთს, ბევრს მოძრაობს შეტევის ხაზზე... რაც შეეხება ბალოტელის, ის კარგად გამოჩნდა პირველი ფორვარდის პოზიციაზე, ფიზიკურად ძლიერია, კარგად ფარავს და იცავს ბურთს ოპონენტებისგან... პატო რაღაცით შევჩენკოს მაგონებს, ბალოტელიში კი ახალ იბრაჰიმოვიჩს ვხედავ".*

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტურის წინ

# ლიდერები თითოეული ქულისათვის იბრძოლებენ



კრისტიანო რონალდო, ეშმაკების უმთავრესი იმედი

**დღეს**

ბირმინგემი–დერბი
ბლექბერნი–ევერტონი
ლივერპული–სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი–არსენალი
პორტსმუთი–ჩელსი
რედინგი–ბოლტონი
ტოტენჰემი–მანჩესტერ იუნ.
ვიგანი–ვესტ ჰემი

**ხვალ**

ნიუკასლი–მიდლსბრო
ფულჰემი–ასტონ ვილა

პრემიერლიგის დასრულებამდე 14 ტური რჩება. გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ლიდერებს თითოეული ქულის დაკარგა, შეიძლება, ძვირად დაუჯდეთ.

დღეს "მანჩესტერ იუნაიტედი" "ტოტენჰემს" ესტუმრება. ეს გუნდები ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს. გასულ უქმეებზე, ინგლისის ასოციაციის თასის მესამე რაუნდში "მენიუმ" "მამლები" შინ მიიღო და 3:1 ასიამოვნა. ერთი გოლი **კრისტიანო რონალდომ** გაიტანა. ოთხშაბათს "პორტსმუთთან" შეხვედრაში (2:0) პორტუგალიელმა კიდევ ორი ბურთი მიითვალა (ამ სეზონში ყველაზე ტურნირზე უკვე 27 გოლი აქვს). ის შეუდარებელ ფორმაშია. "იუნაიტედს" **პოლ სქოულზი** გამოუჯანმრთელდა. ის რონალდოს საიმედო ზურგია. "ეშმაკებს" შეტევაში **უეინ რუნი** და **კარლოს ტევესი** ჰყავთ. მათი თავდასხმაში ერთ-ერთი ყველაზე მრისხანეა პემიერლიგაში.

"ტოტენჰემიც" ბევრ გოლს იტანს. განსაკუთრებით შინ. "მამლებმა" "უაით ჰართ ლეინზე" მეტოქეები 32-ჯერ დაამწუხრეს. საკუთარ მოედანზე ამდენი გოლი პრემიერლიგის არცერთკლუბს არ გაუტანია. "ტოტენჰემის" პრობლემა ისაა, რომ ბლომადაც უშვებს - 40 გოლი 24 მატჩში. გასულ სეზონში ამ გუნდების ლონდონურ მატჩში სტუმარმა გაიმარჯვა (4:0). "მანჩესტერს" "ტოტენჰემის" სახლში 2000-01 წლების სეზონის ბოლო ტურის შემდეგ არ წაუგია. მაშინაც იმიტომ წააგო, რომ ჩემპიონობა განაღდებული ჰქონდა.

ლონდონელთა შემადგენლობაში შეიძლება ვიხილოთ ორი ახალწვეული - **ჟილბერტო** და **ალან ჰატონი. ხუანდე რამოსი ლედლი კინგის** პასუხს ელოდება. ფეხბურთელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა მზად მინდორზე დასაბრუნებლად. თითქმის გამოჯანმრთელდა თავდამსხმელი **დარენ ბენტი.**

რაც შეეხება "იუნაიტედს", "პორტსმუთთან" ოთხშაბათის მატჩის გამოტოვების შემდეგ, **რაიან გიგზი, კარლოს ტევესი** და **ოუენ ჰარგრივსი** ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას აპირებენ. **ლუის საა** და **გარი ნევილი** ისევ დაშავებულები არიან, თუმცა ეს ახალი ამბავი არ არის...

"არსენალი" "მანჩესტერ სიტის" ესტუმრება. **სვენ გორან ერიქსონის** შეგირდები შინ ერთხელაც არ დამარცხებულან, მაგრამ ბოლო დროს ცოტა მოუკლეს. ზედიზედ მოგებული 9 საშინაო თამაშის შემდეგ, "სიტიმ" ბოლო სამი მატჩი (შინ) ფრედ დაასრულა. გასულ სეზონში ამ გუნდების მანჩესტერულ შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

"მეთოფეების" წლევანდელი წარმატება მეტწილად ერთი ფეხბურთელის სახელს უკავშირდება. ამ ბიჭს **ემანუელ ადებაიორი** ჰქვია და კარიერის საუკეთესო ფორმაში იმყოფება. "არსენალს" გაუმართლა, რომ ტოგოს ნაკრები აფრიკის ერთა თასზე ვერ გავიდა. ადებაიორმა ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო შვიდ შეხვედრაში 9 გოლი შეაგდო, მათ შორის, სამი "ნიუკასლთან" ორ მატჩში (ინგლისის ასოციაციის თასსა და ინგლისის ჩემპიონატში) ბოლო ერთი კვირის განმავლობაში.

"სიტის" **მიკა რიჩარდსი** უნდა დაუბრუნდეს. მას მუხლი აწუხებდა, თუმცა უკვე განიკურნა. მანჩესტერელთა ეკვადორელი ახალწვეული **ფელიპე კაისადო** ინგლისში მომავალ კვირაში ჩავა. სვენი თავდასხმაში **დარიუს ვასელსა** და **დენიელ სტარიჯს** დააყენებს. "არსენალს" მუხლმტკივანი **ტომაშ როსიცკი** არ ეყოლება. ვარჯიში განაახლა **რობი ვან პერსიმ**, მაგრამ სათამაშოდ მზად არ არის. ვერ ითამაშებენ **დენილსონი** და **იოჰან ჯურუ**...

მესამეადგილოსანი "ჩელსი" პორტსმუთში ჩავა. "არისტოკრატები" ბოლო მატჩებს შესუსტებული შემადგენლობით ატარებენ. **დიდიე დროგბა, მიკაელ ესიენი** და **სალომონ კალუ** აფრიკის ერთა თასზე არიან. **ჯონ ტერისა** და **ფრენკ ლემპარდს** კი იძულებითი შვებულებები აქვთ. ამის მიუხედავად, "ჩელსი" ზედიზედ მე-10 მატჩის (ყველა ტურნირში) მოგებას შეეცდება. თანაც, ის მთელ ინგლისში ერთადერთი კლუბია, რომელიც ამ მომენტისათვის ოთხი ტიტულის მოპოვების შანსს ინარჩუნებს.

ინგლისელმა მიმომხილველებმა საინტერესო პარალელი გაავლეს. "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის რანგში ჩატარებული 29 შეხვედრის შემდეგ, **ავრამ გრანტს** ზუსტად ისეთივე შედეგები აქვს, როგორიც **ჟოზე მოურინიოს** ჰქონდა. არადა, "არისტოკრატები" პორტუგალიელ მწვრთნელს ორჯერ მაღალ ანაზღაურებას უხდიდნენ.

"პორტსმუთში" **ჯერმეინ დეფოს** დებიუტს ელიან. ის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს "ტოტენჰემიდან" შეიძინეს. "პორტსმუთში", შეიძლება, ვიხილოთ ზიმბაბველი თავდამსხმელი **ბენჯამინ მვარუვარიც**, რომელიც ნესით, უკვე "მანჩესტერ სიტის" ნევრი უნდა იყოს. ტრანსფერი გაურკვეველი მიზეზების გამო შეფერხდა, თუმცა მიმომხილველებს მისი ჩაშლის თაობაზე არაფერი უთქვამთ. "სიტის" შემადგენლობაში **სილვენ დესტენის** თამაში თითქმის გამორიცხულია. მის ნაცვლად ძირითადში **ჰერმან ჰრეიდარსონი** ითამაშებს.

გუშინ გაირკვა, რომ ლემპარდს განაცხადში შეყვანას უპირებდნენ. გრანტს სურდა, ის სკამზე ჰყოლოდა. ტერი ისევ დაშავებულია. მას ტერფის ძვალი აქვს გატეხილი. ისვენებს **ანდრეი შევჩენკოც. რიკარდო კარვალიოს** კი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი.

კრიზისში მყოფი "ლივერპული" "სანდერლენდს" მიიღებს. მერსისაიდელებმა ინგლისის ჩემპიონატში ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს. ლივერპულელებს ასეთი რამ 2002-03 წლების სეზონის შემდეგ არ დამართნიათ. მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჟერარ ულიე** იყო. 2002 წლის 9 ნოემბრიდან 2003 წლის 11 იანვრამდე გუნდმა 11 მოუგებელი მატჩი ჩაატარა.

**ხავიერ მასკერანომ** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითადში ბრუნდება. **ალვარო არბელოა** და **ანდრეი ვორონინი** ხანგრძლივ შვებულებებში იმყოფებიან. **დანიელ აგერმა** ვარჯიში განაახლა, მაგრამ მინდორზე დაბრუნებას ხოლოდ თებერვლის მიწურულს შეძლებს. "სანდერლენდს" ნახევარმცველი **კირან რიჩარდსონი** გამოუჯანმრთელდა. **დუიატ იორკს** ბარძაყის კუნთი აწუხებს. ახალწვეულ **ენდი რიდს** მუხლი სტკივა და სადებიუტო მატჩს მოგვიანებით ჩაატარებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 24 | 18 | 3 | 3 | 48-11 | 57 |
| 2. არსენალი | 24 | 17 | 6 | 1 | 49-17 | 57 |
| 3. ჩელსი | 24 | 16 | 5 | 3 | 37-16 | 53 |
| 4. ევერტონი | 24 | 13 | 4 | 7 | 40-23 | 43 |
| 5. ასტონ ვილა | 24 | 11 | 8 | 5 | 43-31 | 41 |
| 6. მანჩესტერ ს. | 24 | 11 | 8 | 5 | 31-25 | 41 |
| 7. ლივერპული | 23 | 10 | 10 | 3 | 37-17 | 40 |
| 8. ბლექბერნი | 24 | 10 | 8 | 6 | 32-31 | 38 |
| 9. პორტსმუთი | 24 | 10 | 7 | 7 | 34-25 | 37 |
| 10. ვესტ ჰემი | 23 | 10 | 6 | 7 | 29-21 | 36 |
| 11. ტოტენჰემი | 24 | 7 | 7 | 10 | 44-40 | 28 |
| 12. ნიუკასლი | 24 | 7 | 6 | 11 | 27-42 | 27 |
| 13. მიდლსბრო | 24 | 6 | 7 | 11 | 21-37 | 25 |
| 14. სანდერლენდი | 24 | 6 | 5 | 13 | 24-42 | 23 |
| 15. ბოლტონი | 24 | 5 | 7 | 12 | 24-34 | 22 |
| 16. რედინგი | 24 | 6 | 4 | 14 | 30-50 | 22 |
| 17. ბირმინგემი | 24 | 5 | 5 | 14 | 23-36 | 20 |
| 18. ვიგანი | 24 | 5 | 5 | 14 | 23-40 | 20 |
| 19. ფულჰემი | 24 | 2 | 10 | 12 | 23-42 | 16 |
| 20. დერბი | 24 | 1 | 5 | 18 | 12-51 | 8 |

ესპანეთის ნაკრები

# არაგონესმა კრკიჩს უხმო

## ბარსელონელი ახალგაზრდა ოცნებობს, სელექსიონთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდეს

ესპანეთის ნაკრები საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან შეხვედრის გასამართად მზადებას იწყებს. **ლუის არაგონესმა** გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო და შემადგენლობის შესახებ ისაუბრა. სასწაული არ მომხდარა, პირენეელთა დამრიგებელი კვლავ ჯიუტობს და **რაულს** არ უხმობს. სამაგიეროდ მან საზოგადოებას სამი სიახლე შეთავაზა. სენიორ არაგონესმა მალიორკელი **ფერნანდო ნავარო** , ლივერპულელი **არბელოა** და, რაც მთავარია, "ბარსელონის" 17 წლის ამომავალი ვარსკვლავი **ბოიან კრკიჩი** გამოიძახა. სენიორ ლუისი ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალების კენჭისყრას დაელოდა. რატომღაც მას მანამდე შემადგენლობის გამხელა არ სურდა.

6 თებერვლის მატჩისთვის არაგონესი 22 ესპანელ ფეხბურთელს მოამზადებს. "სელექსიონის" თავკაცმა **რონალდ კუმანისგან** ათვალწუნებულ **დავიდ ალბელდას** თანადგომა გამოუცხადა და სათამაშო პრაქტიკის არმქონე ნახევარმცველი ნაკრების ღირსი გახადა :"*სამწუხაროდ, დავიდს კლუბში სერიოზული პრობლემები აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანს ყურადღება აღარ უნდა მივაქციო. რონალდ კუმანი ერთია, არაგონესი კი მეორე. დარწმუნებული ვარ, ალბელდა ჩემს მიერ მიცემულ შანსს ასი პროცენტით გამოიყენებს. ჩემი აზრით,სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან დავიდი ნაკრებში თამაშს იმსახურებს. ვნახოთ, ყველაფერი უშუალოდ მატჩისას გამოჩნდება.* "

არაგონესმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ "სელექსიონში" **ჩაბი ალონსო** დააბრუნა. კვლავ გამოჩნდნენ **ლუის გარსია** და **ხუანიტო**.სამაგიეროდ, საფრანგეთთან "ატლეტიკოს" მცველი **პერნია** და ვალენსიელი **ხოაკინი** ვერ ითამაშებენ. ისინი მთავარი მწვრთნელის აზრით, ამ ეტაპისთვის სათანადოდ მომზადებულები არ არიან. ესპანეთის ნაკრებს **რაულ ტამუდო, კარლეს პუიოლი** და **მარკოს სენაც** ვერ დაეხმარებიან. აქ ტაქტიკური ჩანაფიქრი არაფერ შუაშია, რადგან სამივე ფეხბურთელს ტრავმა აწუხებს. "სელექსიონის" სრული შემადგენლობა ამგვარად გამოიყურება:

**მეკარეები:** კასილიასი (რეალი), რეინა (ლივერპული).

**მცველები:** კაპდევილა (ვილიარეალი), მარჩენა (ვალენსია), ფერნანდო ნავარო (მალიორკა), სერხიო რამოსი (რეალი), ხუანიტო (ბეტისი), არბელოა (ლივერპული).

**ნახევარმცველები:** ალბიოლი (ვალენსია), ინიესტა (ბარსელონა), ჩავი (ბარსელონა), ლუის გარსია (ესპანიოლი), ჩაბი ალონსო (ლივერპული), ფაბრეგასი (არსენალი), სილვა (ვალენსია), რიერა (ესპანიოლი), პაბლო (ატლეტიკო).

**თავდამსხმელები:** ვილია (ვალენსია), გუისა (მალიორკა), ბოიან კრკიჩი (ბერსელონა), ფერნანდო ტორესი (ლივერპული).

მთავარი სიახლე მაინც ბოიან კრკიჩის გამოძახებაა. მოგეხსენებათ, "ბარსას" თინეიჯერი ფორვარდი ესპანეთში დაიბადა, დედამისიც ესპანელია,მაგრამ მამა სერბი ყავს და აქამდე არსებობდა საშიშროება იმისა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს სერბეთის ნაკრები წაიყვანდა. მართლაია, ბოიანი ყოველთვის აცხადება, რომ ესპანეთის ნაკრების გარდა არცერთი გუნდის გაგონებაც არ სურდა, მაგრამ ლუის არაგონესმა ჩათვალა, თავის დასაზღვევად უპრიანი იქნებოდა კრკიჩი 6 თებერვლისთვის მოამზადოს, მოედანზე რამდენიმე წუთით მაინც გაიყვანოს და ამით ყოველგვარი საფრთხე გააქროს. როგორც ჩანს, ბოიანი მართლაც ითამაშებს და თუ ამ მოვლენის მომსწრენი გავხდებით, ბარსელონელი ესპანეთის ეროვნული გუნდის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდება. აქამდე ეს რეკორდი ბასკ **ანხელ სუბიეტას** ეკუთვნოდა. მან "სელექსიონში" პირველად 1936 წელს 17 წლისა და 9 თვის ასაკში ითამაშა. კრკიჩი კი 1990 წლის 28 აგვისტოსაა დაბადებული. როგორც ხედავთ, იძ 17 წლისა და 5 თვის გახლავთ.

ბოიანი უზომოდ მადლიერია. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ 17 წლის ასაკში ჯერ "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდებოდა, შემდეგ კი ესპანეთის ნაკრებში გამოიძახებდნენ. გუშინ მან პირენეული მედიისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა: "*თავი ზღაპარში მგონია. ასეთ თავბრუდამხვევ კარიერას ვერცკი წარმოვიდგენდი. ჩემი თანატოლი ბიჭები ჯერ კიდევ საყამაწვილო გუნდებში თამაშობენ, მე კი "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში ვასპარეზობ და ახლა "სელექსიონშიც" მიხმეს. ლუის არაგონესს ულრმეს მადლობას მოვახსენებ. რა თქმა უნდა, ძალიან საამაყოა, რომ ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა სპეციალისტმა ნდობა გამომიცხადა. თუმცა, სიამაყესთან ერთად, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა გაცემული ავანსები გავამართლო. იმედია, 6 თებერვალს წარმატებულ სანაკრებო კარიერას დავიწყებ. ვოცნებობ, "სელექსიონთან" ერთად მსოფლიო ჩემპიონი გავხდე.*"

**ილია ნიკოლაიშვილი**



ნიკოლა ანელკას სანაცვლოდ "ჩელსიმ" 15 მილიონი გირვანქა გადაიხადა

ინგლისური ტრანსფერები

# ახალი რეკორდი: 150 მილიონი

## ნიკოლა ანელკა იანვრის ყველა დროის უძვირფასესი შენაძენია

ინგლისის პრემიერლიგის კლუბებმა იანვრის ტრანსფერებისას 150 მილიონი გირვანქა დახარჯეს - 150 პროცენტით მეტი, ვიდრე ერთი წლის წინ, ამავე პერიოდში. გასული იანვრის ტრანსფერებისას ინგლისელებმა მხოლოდ 60 მილიონი გაიმეტეს. 2006 წლის იანვარში - 70 მილიონი. წლევანდელ სარეკორდო თანხაზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორ გრანდს, "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" ერთი პენსიც კი არ დაუხარჯავთ. იანვრის ტრანფერების უძვირფასესი ფეხბურთელი **ნიკოლა ანელკა** გახლავთ. ის "ბოლტონიდან" "ჩელსიში" 15 მილიონ გირვანქად გადავიდა. შუა სეზონში ფეხბურთელის სანაცვლოდ ამხელა ფული არასოდეს გადაუხდიათ.

ქვემოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ტრანსფერზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. "ფულჰემმა" ნახევარწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ფინელ ვეტერან **იარი ლიტმანენს**. "აიაქსის", "ბარსელონისა" და "ლივერპულის" ყოფილი ვარსკვლავი როი ჰოჯსონმა მიიწვია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ლონდონელთა თავკაცი ფინეთის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. ლიტმანენსაც იმ დროს დაუახლოვდა. "ფულჰემს" უსაფრთხო ზონისაგან ოთხი ქულა აშორებს.

"მიდლსბრომ" "ჰერენვეენის" თავდამსხმელი **აფონსო ალვეში** შეიძინა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, რივერსაიდელებს 27 წლის ბრაზილიელი 12 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. აფონსომ გასულ სეზონში გაითქვა სახელი. ის 38 მატჩში გატანილი 45 გოლით ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ჰერტელი **ჟილბერტო** "ტოტენჰემში" მაინც გადავიდა. ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიელმა მცველმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და ბერლინში დაბრუნდა. გუშინ "მამლებმა" მითქმა-მოთქმას წერტილი დაუსვეს. მათ 31 წლის ფეხბურთელს ორწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს, "ჰერტას" კი 2.6 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ჟილბერტოს ბრაზილიის ნაკრებში 27 მატჩი აქვს ჩატარებული.

"ინტერის" თავკაცის, **რობერტო მანჩინის** 17 წლის ვაჟი, **ფილიპო მანჩინი** "მანჩესტერ სიტიში" ჩაირიცხა. ის **სვენ გორან ერიქსონის** გუნდში სეზონის ბოლომდე, იჯარით დარჩება. ფილიპო მანჩინი "ინტერის" საკუთრებაა. ის "ნერაძურის" შემადგენლობაში პირველად იანვრის დასაწყისში, "რეჯინასთან" სათასო მატჩში გამოჩნდა. მანჩინი და ერიქსონი ძველი მეგობრები არიან. რობერტო სვენის შეგირდი იყო სამპდორიასა და ლაციოში, შემდეგ კი მისი ასისტენტი რომაულ კლუბში მუშაობისას.

ამასობაში, "ბოლტონი" პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელით, **გჟეგოშ რასიაკით** გაძლიერდა (37 მატჩი ეროვნულ გუნდში). 29 წლის ფეხბურთელი "საუთჰემპტონის" საკუთრებაა. ის პრემიერლიგის კლუბში ნახევარწლიანი იჯარით ითამაშებს. რასიაკმა "ჩელსიში" გადასული ანელკა უნდა შეცვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტურის წინ

# თასი ჟურნალი იყო, კინო ახლა იწყება!

## ცენტრალური მატჩი ხვალ, გელზენკირხენში...

**გუშინ**

ჰანზა-ბაიერნი

**დღეს**

კოტბუსი-ლევერკუზენი
კარლსრუე-ნიურნბერგი
დუისბურგი-ბორუსია (დ)
ჰამბურგი-ჰანოვერი
ჰერტა-აინტრახტი
არმინია-ვოლფსბურგი

**ხვალ**

შალკე-შტუტგარტი
ვერდერი-ბოხუმი

გერმანიის თასის მერვედფინალი ჟურნალი იყო. კინო კი, ახლა იწყება! უფრო ზუსტად, გუშინ დაიწყო: ბუნდესლიგის მეორე წრე შემოდგომის ჩემპიონ „ბაიერნისა" და როსტოკის „ჰანზას" მატჩმა გახსნა...

მიუნხენური კლუბის უპირველესი მდევრებიდან დღეს მხოლოდ „ჰამბურგი" თამაშობს. **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები ჩრდილოურ დერბიში „ჰანოვერს" მასპინძლობენ და უნდა აღინიშნოს, რომ HSV-ს ამ გუნდთან საშინაო მატჩებში უახლოეს წარსულში არცთუ ისე კარგი მოგონებები აკავშირებს. თავად განსაჯეთ, ჰამბურგში გამართული ბოლო ოთხი თამაშიდან, „ჰანოვერმა" ორჯერ გაახერხა ფრე. ჰამბურგელთა სასტარტო შემადგენლობაში სავარაუდოდ ახალგაზრდა **ჩუპო-მოტინგს** ვიხილავთ, რომელმაც გერმანიის თასის მერვედფინალში („ესსენთან" 3:0) შესანიშნავად იასპარეზა და რომელსაც HSV-ს ხელმძღვანელებმა გუშინ კონტრაქტი გაუგრძელეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჰამბურგი" მეორე წრისთვის შესანიშნავად მოემზადა და ტესტ-მატჩებს მეტწილად დიდი ანგარიშებით იგებდა. მიუხედავად იმისა, რომ იყო საუბრები **რაფაელ ვან დერ ვაარტის** „იუვენტუსში" გადასვლასთან დაკავშირებით, ეს უკანასკნელი იდეალურ ფორმაშია. HSV-ს არ ჰყავს **ტიმოთი ატუბა** და **მოჰამედ ზიდანი**, რომლებიც აფრიკის თასზე ასპარეზობენ. „ჰანოვერს" ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ უაქტიურია. „წითლებმა" მხოლოდ **ვალერიან ისმაელი** (ბაიერნიდან) გადაიბირეს. ეს უკანასკნელი ახლახან გამოჯანმრთელდა და ცუდ ფორმაშია. ამიტომაც, ფრანგს ძირითად შემადგენლობაში ალბათ ვერ ვიხილავთ.

*„ისეთ გუნდებთან, როგორიც „ლევერკუზენია", როგორც წესი, ძალიან კარგად ვთამაშობთ ხოლმე,"* – ეს სიტყვები „კოტბუსის" კაპიტან **ტიმო როსტს** ეკუთვნის. როგორც მიხვდით, გასავარდნ ზონაში მყოფი „ენერგი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს, რომელმაც პირველი წრე მეოთხე ადგილზე დაასრულა, რაც „ფარმაცევტებს" აუცილებლად წარმატებაში უნდა ჩაეთვალოთ. უცნობია, დაახლოებით რა შემადგენლობას დააყენებს კოტბუსელთა დამრიგებელი **ბოიან პრასნიკარი**, რადგან „კოტბუსში", როგორც ყოველთვის, სრული ქაოსია. თანაც, „ენერგის" თავდამსხმელი **რანგელოვი** (ტრავმა) აკლია. ძირითად შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ ერთ ახალწვეულს, კერძოდ **ვასილიევიჩს** აქვს გარანტირებული – არადა, „კოტბუსმა" 8 ფეხბურთელი გადაიბირა. „ლევერკუზენს" სავარაუდოდ **ბერნდ შნაიდერი** დააკლდება. ეს უკანასკნელი კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფორმის აღდგენა ვერ მოასწრო.

„კარლსრუე" მეექვსე ადგილზე, ხოლო „ნიურნბერგი" მე-16-ზე? სეზონის დაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პირველი წრის შემდეგ ეს გუნდები ასე იქნებოდნენ განლაგებული. საინტერესოა, გააგრძელებს თუ არა ბადენური კლუბი წარმატებულ ასპარეზობას მიუხედავად იმისა, რომ გუნდში სერიოზული დისკუსიები დაიწყო. ზაფხულში „კარლსრუეს" **ტამაშ ჰაინალი** დატოვებს (ბორუსიაში გადავა), საუბარია სხვა ფეხბურთელების აზარგებაზეც – მათ არაერთი მთხოვნელი გამოუჩნდათ. კაპიტანი **მარიო ეგიმანი** ამბობს, რომ ყურადღების მოდუნება დაუშვებელია. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი დორტმუნდის „ბორუსიას" ჰყავს მიზანში ამოღებული. გერმანიის თასის მფლობელმა „ნიურნბერგმა" კი შესვენება ხეირიანად გამოიყენა – რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფრანკებმა ჩეხი **იან კოლერი** შეიძინეს. **ჰანს მაიერის** გუნდის მიზანი ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა. სხვათა შორის, გამოჯანმრთელდა **ხავიერ პინოლა**. საინტერესო გახლავთ ის, რომ დიდი შანსია, „კარლსრუეს" ძირითად შემადგენლობაში თავდამსხმელმა **იოშუა კენედიმ** ითამაშოს, რომელმაც ბადენურ კლუბს ცოტა ხნის წინათ სწორედ „ნიურნბერგიდან" მიაშურა. ამრიგად, კენედი ყოფილ კლუბს დაუპირისპირდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ მიმომხილველები **ალექსანდრე იაშვილს** ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებენ.

ბერლინის „ჰერტამ" პირველი წრე ტრადიციულად ცუდად ჩაატარა და მე-12 ადგილზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, დედაქალაქელებს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე დაემუქროთ. ამიტომაც იყო, „ჰერტას" შეფებმა ჯიბეზე ხელი რომ გაიკრეს და ტრანსფერები გაჩარხეს. უმთავრესი შენაძენი ბრაზილიელი **რაფაელია**, რომელიც „ჰერტამ" „ციურიხიდან" 4.5 მილიონ ევროდ იყიდა. ბერლინელთა ახალწვეულია სერბეთის ნაკრების ფეხბურთელი **კაჩარიც**. დედაქალაქელებს დღეს ტრავმის გამო კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** არ ეყოლებათ. ბერლინში ფრანკფურტის „აინტრახტი" ჩადის და უნდა ითქვას, რომ ფრანკფურტელებიც მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. თავად განსაჯეთ: **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდში **ფენინი** (ჩეხეთი), **მანციოსი** (საბერძნეთი) და **კაიო** (ბრაზილია) მივიდნენ. თანაც, კაიო და ფენინი „აინტრახტს" 9 მილიონი დაუჯდა. „აინტრახტს" მეკარე **პრიოლი** დაუშავდა, რომელსაც დღეს და უახლოეს მომავალში **ოკა ნიკოლოვი** შეცვლის.

თუ გახსოვთ, პირველ ტურში „დუისბურგმა", ყველასათვის მოულოდნელად, დორტმუნდში 3:1 მოიგო. „ბორუსია" შურისძიებას აპირებს! „ზებრებმა" პირველი წრე ბოლო ადგილზე დაასრულეს და ნომერ პირველი აუტსაიდერები არიან. „დუისბურგმა" მხოლოდ ფორვარდი **ნიკულესკუ** და მცველი **ვრუჩინა** დაიმატა. „ბორუსიამ" თასის მერვეფინალში „ვერდერი" 2:1 დაამარცხა და შესაბამისად, **თომას დოლის** გუნდი კარგ ხასიათზეა. შვეიცარიელი თავდამსხმელი **ალექსანდერ ფრაი** სრულ მზადყოფნაშია, მაგრამ ამ უკანასკნელს ფორმა აქვს აღსადგენი და ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასტარტო შემადგენლობაში ვიხილოთ.

დღესვე, ბილეფელდის „არმინია" „ვოლფსბურგს" მიიღებს. ეს გუნდები სატურნირო ცხრილში ახლოს არიან – „მგლები" ბილეფელდელებს მხოლოდ 2 ქულით უსწრებენ, მაგრამ ყველამ იცის, რომ **ფელიქს მაგათის** გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია. სწორედ ამიტომ, მეორე წრეში მთელი საფეხბურთო გერმანია „ვოლფსბურგის" გამოსწორებას ელოდება. აღსანიშნავია, **მიხაელ ფრონტცეკი** „არმინიას" ბუნდესლიგის მატჩში პირველად უთავკაცებს. „მგლების" კარს ახალი მეკარე **დიეგო ბენალიო** იცავს, რომელმაც გერმანიის თასზე უკვე დატოვა შესანიშნავი შთაბეჭდილება.

ტურის ცენტრალური მატჩი ხვალ, გელზენკირხენში გაიმართება: „შალკე" „შტუტგარტს" უმასპინძლებს. მას მერე, რაც შავაბებმა გელზენკირხენში წარმატებას მიაღწიეს, დიდი ხანი გავიდა. მეტიც, VFB-ს „აუფ შალკეზე" ბოლო 9 თამაში წაგებული აქვს და უკანასკნელად 1997/98 წლების სეზონში მოიგო. **ზე რობერტო II**-ს, **ალბერტ შტრაიტისა** და **ვისენტე სანჩესის** გადაბირების შემდეგ, „შალკე" ყველა პოზიციაზე კარგადაა დაკომპლექტებული და ფაქტობრივად, თითო პოზიციაზე ორ-ორი და სამ-სამი ფეხბურთელი ჰყავს. შავაბებს ლაზარეთიდან **მარიო გომესი** დაუბრუნდათ და თანაც, ამ უკანასკნელმა უკვე მოასწრო ფორმაში შესვლა – სუპერმარიომ თასზე ჰეთ-თრიკი შეასრულა. **ოსორიოს, ტასკის** და **პარდოს** დისკვალიფიკაცია აქვთ, **მანინი** ტრავმირებულია, **ბოკა** კი აფრიკის თასზე თამაშობს. „კიკერი" **ლევან კობიაშვილს** ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებს.

ბრემენის „ვერდერმა", თუკი მეორე წრის კარგად დაწყება უნდა, აუცილებლად უნდა დაამარცხოს „ბოხუმი". „მუსიკოსების" მთავარი მწვრთნელი **თომას შაფი დიეგოს** ამჯერად ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს. როგორც იცით, „ვერდერმა" „შალკედან" **მესუთ იოზილი** იყიდა, რომელიც დღეს სავარაუდოდ განაცხადში იქნება. „ბოხუმშიც" ექს-შალკელს ვიხილავთ – საუბარია **მიმუნ აზაუაგზე**. თავდასხმაში კი, მკითხველისთვის კარგად ცნობილი **ბენიამინ აუერი** ბრუნდება, რომელიც **სესტაკის** მეწყვილე იქნება.



ბრძოლის გაგრძელების დრო დადგა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 17 | 10 | 6 | 1 | 31-8 | 36 |
| 2. ვერდერი | 17 | 11 | 3 | 3 | 42-24 | 36 |
| 3. ჰამბურგი | 17 | 9 | 5 | 3 | 24-13 | 32 |
| 4. ლევერკუზენი | 17 | 9 | 3 | 5 | 32-16 | 30 |
| 5. შალკე | 17 | 7 | 8 | 2 | 26-17 | 29 |
| 6. კარლსრუე | 17 | 8 | 4 | 5 | 19-21 | 28 |
| 7. ჰანოვერი | 17 | 8 | 3 | 6 | 27-28 | 27 |
| 8. შტუტგარტი | 17 | 8 | 1 | 8 | 24-25 | 25 |
| 9. აინტრახტი | 17 | 5 | 8 | 4 | 19-23 | 23 |
| 10. ბორუსია (დ) | 17 | 6 | 3 | 8 | 26-30 | 21 |
| 11. ვოლფსბურგი | 17 | 5 | 5 | 7 | 30-30 | 20 |
| 12. ჰერტა | 17 | 6 | 2 | 9 | 19-24 | 20 |
| 13. ბოხუმი | 17 | 5 | 4 | 8 | 25-27 | 19 |
| 14. არმინია | 17 | 5 | 3 | 9 | 19-38 | 18 |
| 15. ჰანზა | 17 | 5 | 2 | 10 | 16-26 | 17 |
| 16. ნიურნბერგი | 17 | 4 | 3 | 10 | 21-28 | 15 |
| 17. კოტბუსი | 17 | 3 | 6 | 8 | 17-27 | 15 |
| 18. დუისბურგი | 17 | 4 | 1 | 12 | 14-26 | 13 |



ოლივერ კანს უნდა, რომ 17 მაისს ანუ კარიერის დასასრულს, ვერცხლის სინი მერვედ აღმართოს...

17 ტურის 17 ფაქტი

# ბოლოს და ბოლოს, ბუნდესლიგაც იწყება!

## რა უნდა ვიცოდეთ მეორე წრისთვის...

1. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე ბუნდესლიგაში ბოლო ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა: „შალკეს" 19 წლის ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ „ვერდერში" გადავიდა.

2. ამ სეზონამდე ბუნდესლიგას სულ 44 შემოდგომის ჩემპიონი, ანუ პირველი წრის ჰყავდა. აქედან, 30 საბოლოოდ გერმანიის ჩემპიონი გახდა, 9 მეორე ადგილზე გავიდა, 4 მესამეზე და მხოლოდ ერთხელ მოხდა ისე, რომ შემოდგომის ჩემპიონმა მეხუთე ადგილი დაიკავა. ამაზე უარესი შედეგი პირველი წრის გამარჯვებულს არასდროს ჰქონია.

3. მას მერე, რაც ბუნდესლიგიდან 3 გუნდი პირდაპირ მეორე ლიგაში ვარდება, იმ 45 გუნდიდან, რომლებიც პირველი წრის შემდეგ გასავარდნ ზონაში იმყოფებოდნენ, 17 არ დაქვეითდა, 28-მ კი მეორე წრეშიც ვერაფერი გააწყო და ელიტიდან გავარდა.

4. თუკი **ოლივერ კანი** მეორე წრეში სტაბილურად ითამაშებს და 9 თამაშზე მეტს ჩაატარებს, რეკორდსმენი ვერ გახდება, მაგრამ გერმანიის პირველობაზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით მესამე ადგილზე აინაცვლებს – ის **ფიხტელსა** (552) და **ფოტავას** (546) გაასწრებს. კანს ახლა გერმანიის პირველობაზე 543 მატჩი აქვს ჩატარებული. **კრისტიან ვიორნსს** (დორტმუნდი) 459 თამაში აქვს და თეორიულად, სეზონის ბოლოს ლეგენდარული **ზეპ მაიერის** (473) უკან მოტოვება შეუძლია, რომელიც ახლა მე-16 ადგილზეა.

5. 1986 წლის შემდეგ საშუალოდ 21 გოლი საკმარისია იმისათვის, რომ ფეხბურთელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. პირველი წრის შემდეგ ბომბარდირთა დავას სათავეში ოთხი ფეხბურთელი უდგას – **დიეგოს, ვან დერ ვაარს, ტონის** და **კლოზეს** 9-9 გოლი აქვთ გატანილი.

6. „დუისბურგის" ნახევარმცველ **ტობიას ვილის** ბუნდესლიგაში 140 თამაში აქვს ჩატარებული და გოლი ჯერაც არ გაუტანია. არმინიელ **მარკუს შულერსა** და ბოხუმელ **ფილიპ ბიონიგს** კი 139-139 თამაში აქვთ და პირველ გოლს ისინიც მოუთმენლად ელიან.

7. ბუნდესლიგაში სულ 507 ფეხბურთელია რეგისტრირებული. ყველაზე დიდი შემადგენლობა „ვოლფსბურგს" ჰყავს – ფელიქს მაგათი 36 ფეხბურთელს წვრთნის.

8. ყველაზე ახალგაზრდა გუნდი „ჰამბურგს" ჰყავს, სადაც საშუალო ასაკი 24.58 წელია. ყველაზე ხანდაზმული გუნდი კი „ჰანოვერს" ჰყავს – 28.12 წელი.

9. 19/20 აპრილს, უქმეებზე გერმანიის თასის მატჩები შედგება, რისთვისაც, 29-ე ტური 15-16 აპრილისთვის გადაიდო.

10. სეზონის დასრულების შემდეგ, „ჰერტას" კარის დარაჯ **კრისტიან ფიდლერს** 18 წელი შეუსრულდება მას მერე, რაც ბერლინულ კლუბში ჩაირიცხა. თავიანთი გუნდების ერთგულები არიან **ოკა ნიკოლოვი** (17 წელი, აინტრახტი) და **ანდრეას შმიდტი** (17 წელი, ჰერტა).

11. პირველ ორ ადგილზე გასული გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება, მესამეადგილოსანი კი, ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება, სადაც წაგების შემთხვევაში, უეფას თასზე გადაინაცვლებს. მე-4 და მე-5 ადგილოსნები, ასევე გერმანიის თასის გამარჯვებული, უეფას თასზე ხვდება. მე-6 ადგილზე გასული გუნდი კი ინტერტოტოს თასზე იასპარეზებს.

12. 2001 წელს „ბაიერნს" ჩემპიონობისთვის 63 ქულა ეყო, 1999 წელს კი, რეკორდმაისტერმა დღემდე მოქმედი რეკორდი დაამყარა, როცა სეზონი 78 ქულით დაასრულა. საინტერესოა ისიც, რომ 2000 წელს „ლევერკუზენმა" 73 ქულა დააგროვა, მაგრამ მხოლოდ მეორე ადგილზე გავიდა.

13. მიმდინარე სეზონის ბოლოს კარიერას შემდეგი ფეხბურთელები დაასრულებენ: **ფრანკ იურიჩი, დარიუშ ჟურავი** (ორივე ჰანოვერი), **კრისტიან ვიორნსი** (დორტმუნდი), **კარსტენ რამელოვი** (ლევერკუზენი), **ოლივერ კანი** (ბაიერნი), **პაბლო ტიამი** (ვოლფსბურგი), **შტეფან ბაინლიხი** (ჰანზა). ამ უკანასკნელს ჯერ 100 პროცენტით არა აქვს გადაწყვეტილი, წავიდეს თუ არა ფეხბურთიდან.

14. ბოლო და ბოლოსწინა ტურებში ყველა მატჩი ერთ დღეს გაიმართება და ერთ დროს დაიწყება.

15. 1963 წლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც ბუნდესლიგა დაარსდა, მხოლოდ ერთხელ მოხდა ისე, რომ მეორე წრეში ყველა მწვრთნელმა შეინარჩუნა თანამდებობა (1976/77 წლებში). მაგალითად, შარშანდელ სეზონში მეორე წრემ 7 სპეციალისტი შეიწირა.

16. გუნდები, რომელთა ფეხბურთელებსაც პირველ წრეში წითელი ბარათი არ დაუმსახურებიათ: „არმინია", „ჰანზა", „ჰერტა", „აინტრახტი", „კოტბუსი", „ლევერკუზენი".

17. მეორე წრეშიც იმოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც, გერმანულმა კლუბმა ბუნდესლიგაში მინიმუმ 4 ისეთი ფეხბურთელი უნდა ათამაშოს, რომელიც გერმანული საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. მომავალი სეზონიდან ეს ციფრი 6-მდე გაიზრდება. 4-დან 2 (მომავალი სეზონიდან 3) უშუალოდ იმ კლუბის მიერ უნდა იყოს აღზრდილი.

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ რუუდ გულიტთან

# მთავარია, ჩემზე ფიქრისას ადამიანებს ელიმებოდეთ

## ჰოლანდიელი მწვრთნელი აზრით, ყველა ტალანტი ტალანტი არ არის...

**რუუდ გულიტმა** "ლოს ანჯელეს გალაქსი" ორიოდე თვის წინათ ჩაიბარა. მისი მუშაობის შეფასება ჯერჯერობით ძალიან ადრეა. ჰოლანდიელს აქამდე მხოლოდ იმის დრო ჰქონდა, რომ გასცნობოდა იქაურ ფეხბურთს, გამოეტანა დასკვნები და სამომავლო გეგმები მოეხაზა. სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, ის სწორედ იმ პრინციპებზე საუბრობს, რითიც გუნდის მშენებლობას აპირებს. გარდა ამისა, გაიგებთ, თუ რატომ თანაუგრძნობს მეგობარ მარკო ვან ბასტენს, მიუხედავად იმისა, რომ "ნარინჯისფერების" ევროპულ ტრიუმფს არ გამორიცხავს. ასევე წაიკითხავთ, თუ რას ელის ის მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე აფრიკული გუნდებისგან.



რუუდ გულიტი

**- რატომ მაინც და მაინც "გალაქსი"?**

- იმიტომ, რომ ვიგრძენი, აქ ამერიკაში რაღაც გრანდიოზული გეგმები აქვთ. 300-მილიონიან ქვეყანაში სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს. ის, რომ MLS-ში წინსვლა სურთ, ისიც მოწმობს, რომ სათამაშოდ დევიდ ბექჰემი ჩამოიყვანეს. როცა ამაში დავრწმუნდი, ვიფიქრე, რა იქნება ამ დიდ გეგმებში მეც ჩემი წილი შევიტანო-თქო.

**- და თქვენ კონკრეტულად რა სარგებლის მოტანა შეგიძლიათ?**

- მთავარია, საკუთარ თავსა და საკუთარ პრინციპებს არ ვუღალატო, თორემ გამოცდილების გაზიარებას ყოველთვის შევძლებ. მე როგორც ფეხბურთელსა და როგორც მწვრთნელს, უამრავ გადამწყვეტ ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა. ასე რომ, აქ ჰაერიდან არ ჩამოვვარდნილვარ.

**- ბექჰემის გადასვლის მიუხედავად ან შეიძლება მისი "დამსახურებითაც" გასულ სეზონში "გალაქსი" ძალიან წარუმატებლად გამოვიდა.**

- ვფიქრობ, ამას ორი მიზეზი აქვს: ბექჰემისგან ელოდნენ, რომ ის შეძლებდა კვირაში ორჯერ მოედანზე გასვლას. მასაც ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, ამხელა ნდობისთვის მადლობა გადაეხადა, მაგრამ ვერ შეძლო, იცით, რომ დევიდი დიდი ხანი ტრავმირებული იყო. ბოლოს კი ის, რომ ჩვენი ფეხბურთელების დიდ ნაწილს ამხელა ვარსკვლავის გვერდით თამაშის გამოცდილება არ აღმოაჩნდა. როდესაც ჩვენ სიდნეიში ვითამაშეთ, თამაშზე 80 ათასი მაყურებელი მოვიდა. ბევრმა ფეხბურთელმა ტრიბუნებისგან წამოსულ ამხელა ზეწოლას ვერ გაუძლო.

**- თქვენ გუნდის აწყობას ბექჰემის გარშემო აპირებთ?**

- არა, იმ მიზეზის გამო, რომ ჩვენ მეორე ძლიერი ფეხბურთელიც გვყავს - ლენდონ დონოვანი. ვცდილობ, გუნდი ისე ავაწყო, რომ მისი სიძლიერე სწორედ გუნდურობაში იყოს და არა ინდივიდუალისტებში. დევიდი გუნდის ნაწილია, ლენდონიც და კარგი იქნება, თუკი ისინი საკუთარ დადებით მხარეებს სწორედ გუნდთან ერთად წარმოაჩენენ, ხოლო სხვები მათ მიბაძავენ.

**- MLS-ში ძალიან განსხვავებულ სტილში თამაშობენ. ძალიან სწრაფად, მხოლოდ თითო შეხებით. გეგმავთ, რომ ეს სტილი შეინარჩუნოთ, თუ უფრო ევროპულ სტილს დანერგავთ?**

- რა თქმა უნდა, იმ სტილს მივანიჭებ უპირატესობას, რაც ჩემთვის უფრო ნაცნობია. ყველაფერი გასათვალისწინებელია. ზაფხულობით, ხანდახან 30 და მეტ გრადუს სიცხეში თამაში მოგვიწევს. ამ დროს ძნელია ძალიან სწრაფი ფეხბურთის თამაში.

**- თქვენი ყოფილი თანაგუნდელის მარკო ვან ბასტენის მუშაობას როგორ შეაფასებდით "ნარინჯისფერთა" მესაჭის პოსტზე?**

- ის მოვალეობებს ძალიან კარგად უძლვება. თუმცა გულშემატკივარი ჰოლანდიაში ძალიან მომთხოვნია, შედეგთან ერთად მისთვის მნიშვნელოვანია, მან სანახაობრივი თამაში იხილოს, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება. ხოლო თუკი სანახაობა არ არის, კრიტიკას ვერსად გაექცევი, მაგრამ მხოლოდ შედეგზე თამაშიც ძალიან ცუდია. მოდით, საკითხი ასე დავსვათ: განა ყველა ის ფეხბურთელი, ვისაც გულშემატკივარი ტალანტად მიიჩნევს, მართლა ასეთია? კარგია, რომ მარკოს პრესის პოზიცია არ ანაღვლებს. ის შედეგებსაც გვაჩვენებს და არც ლამაზ თამაშზე ამბობს უარს. იმედი მაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატი ჩვენი გამარჯვებით დასრულდება.

**- ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელის დაბადება ალბათ ღმერთის ნება იყო...**

- ალბათ (იცინის). ის საუკეთესო იყო იმ ფეხბურთელებს შორის, ვის გვერდითაც მე მითამაშია. ყველაზე სახალისო იყო ის, რომ თავის დროზე მე ამას ვერ ვხვდებოდი. მეჩვენებოდა, რომ ის ყველაფერი რასაც ის აკეთებდა, ასეც უნდა ყოფილიყო. მხოლოდ კარიერის დასრულების შემდეგ მივხვდი, თუ რამხელა ფეხბურთელთან ერთად მითამაშია. ის იდეალური ფორვარდი იყო, ამიტომაც ითვლებოდა ის სამაგალითოდ. ის ძალიან ტექნიკური და ძალიან სწრაფი იყო, თავით ძლიერად თამაშობდა, შეეძლო საკუთარი თავისთვის მომენტი თავად შეექმნა. ყველა ეს თვისება ერთად შეუფასებელ განძს წარმოადგენს.

**- არც თუ ისე დიდი ხანი დარჩა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატამდე.**

- აფრიკისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მანამდე ხომ ჩემპიონატები მხოლოდ სხვა კონტინენტებზე ტარდებოდა. ერთადერთი რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ მე ამ ჩემპიონატის პრომოუტერად უნდა მემუშავა, მაგრამ "გალაქსის" გამო ამ გეგმაზე უარი ვთქვი. იმედი მაქვს, რომ ორგანიზატორები დათქმულ ვადებში ჩაეტევიან და თავად ჩემპიონატიც მაღალ დონეზე ჩაივლის. მას აუცილებლად დავესწრები, თუკი საკლუბო საქმეები ამის საშუალებას მომცემს.

**- როგორ ფიქრობთ, რომელიმე აფრიკულ გუნდს ამ ტურნირის მოგება შეეძლება?**

- რატომაც არა? ყველამ ვიცით, რომ საშინაო კედლები დიდი სტიმულია. თავად მასპინძელი სამხრეთაფრიკელები რამდენად შეძლებენ ამას არ ვიცი, მაგრამ იმედია, რომელიმე სხვა ნაკრები ისე გაისვრის, როგორც აქამდე ეს არავის გაუკეთებია.

**- როგორი გსურთ დაამახსოვრდეთ შემდგომ თაობებს? ახლა ძირითადად "სექსუალური ფეხბურთთან" ასოცირდებით.**

- მთავარია, ჩემზე ფიქრისას ადამიანებს ელიმებოდეთ.

ტრანსფერი

# დეფო პორტსმუთში ჩაირიცხა



ჯერმეინ დეფო

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი **ჯერმეინ დეფო** "პორტსმუთში" გადავიდა. "ტოტენჰემმა" მის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა მიითვალა. ინფორმაცია დეფოს მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე გავრცელდა. "პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** კლუბის მაღალჩინოსნებთან ერთად ლონდონში იმყოფებოდა და პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებას. ლოდონელებმა გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს. "ტოტენჰემის" თავკაცი **ხუანდე რამოსი** დეფოს დიდ იმედებს არ უკავშირებდა. ის სხვა თავდამსხმელებზე აკეთებდა აქცენტს. მიმდინარე სეზონში ჯერმეინმა "მამლების" ძირითადში მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა.

უთამაშებლობის გამო დეფო ინგლისის ნაკრებშიც ვერ მოხვდა. ფეხბურთელს **ფაბიო კაპელოს** გადაწყვეტილება ოდნავადაც არ გაკვირვებია. ის ამბობს, რომ ერთი სული აქვს, მინდორზე გავიდეს და გოლები გაიტანოს. "ტოტენჰემთან" გარიგებამ **ჰარი რედნაპიც** ძალიან გაახარა. ერთი დღით ადრე მან "მანჩესტერ სიტიში" გაყიდა ზიმბაბველი თავდამსხმელი **ბენჯამინ მვარუვარი**. მის შემცვლელად კი ლონდონელი ვარსკვლავი შეიძინა. აი, რედნაპის კომენტარი: *"ჯერმეინმა უნდა იცოდეს, რომ ის ძირითადში ითამაშებს, რომ მას ენდობიან და აფასებენ. "პორტსმუთში" სწორედ ასეთი ატმოსფერო დახვდება. დარწმუნებული ვარ, ის ბევრ გოლს გაიტანს და პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იქნება. მე მასთან ვესტ ჰემში ყოფნისას ვმუშაობდი. მაშინ ის ძალიან ახალგაზრდა იყო და ყოველ მატჩში გაქონდა გოლი."*

## ლივერპულმა მასკერანო დაიბევა

არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი **ხავიერ მასკერანო** თითქმის ერთი წელიწადია, "ლივერპულის" შემადგენლობაში ირიცხება, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ის მხოლოდ საიჯარო ხელშეკრულების წყალობით იყო "ენფილდის" ბინადარი. ახლა ის უკვე სრულფასოვანი მერსისაიდელია. მის სავარაუდო სატრანსფერო თანხად სხვადასხვა წყარო სხვადასხვა თანხას ასახელებდნენ - გაჟღერდა როგორც 18.6 მილიონი, ასევე 17.1 მილიონი გირვანქა. ამბობდნენ, რომ ამ თახის გადახდაზე კლუბის ამერიკელი მესაკუთრეები **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** უარს აცხადებდნენ. დაზუსტებით ჯერ ვერ მოგახსენებთ, თუ რა დაჯდა სამხრეთამერიკელისთვის სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ხავიერი "ლივერპულში" 2012 წლამდე დარჩება.

## ჰოლანდია გაცხადდა

**მარკო ვან ბასტენმა** ხორვატებთან ამხანაგურ მატჩისთვის მოსამზადებლად 21 ფეხბურთელს უხმო. შეხვედრა 6 თებერვალს სპლიტში გაიმართება:

**მეკარეები** - ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერი), მარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი)

**მცველები** - ვილფრედ ბოუმა (ასტონ ვილა), ტიმ დე კლერი (ფეიენოორდი), ჯონ ჰეიტინგა (აიაქსი), იორის მატიისენი (ჰამბურგი), მარიო მელხიოტი (ვიგანი), ანდრე ოოიერი (ბლექბერნი)

**ნახევარმცველები** - იბრაჰიმ აფელაი (პსვ), დენი ლანდზაატი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ორივე ფეიენოორდი), ორლანდო ენგელარი (ტვენტე), რაფაელ ვან დერ ვაარტი, ნაიჯელ დე იონგი (ორივე ჰამბურგი), კლარენს ზეედორფი (მილანი), ვესლი სნეიდერი (რეალი), დემი დე ზეუვი (ალკმაარი)

**თავდამსხმელები** - რაიან ბაბელი (ლივერპული), კლაას იან ჰუნტელაარი (აიაქსი), რუუდ ვან ნისტელროი (რეალი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი)

## რუსების კალენდარი

როგორც რუსეთის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური საიტი იტყობინება, ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ნაკრების კალენდარი უკვე საბოლოოდ დადგინდა. **გუუს ჰიდინკის** სამწყსო 26 მარტს, ბუქარესტში რუმინეთს შეეპაექრება, 23 მაისს კი - ყაზახეთს მოსკოვში. სწორედ ამ უკანასკნელი თამაშის შემდეგ გადავა გუნდი გერმანულ შეკრებაზე, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს: 28 მაისს სერბეთთან, 3 ივნისს - ლიტვასთან. ამ შეხვედრების გამართვის ადგილი ჯერ არ დაზუსტებულა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები უკვე დღეიდან იწყებენ თურქეთში შეკრებას. მოსამზადებელი ეტაპი ხანმოკლეა. ის სულ 5 დღეს გასტანს - 7 თებერვლამდე. ჰოლანდიელ სპეციალისტს გუნდისთვის ამხანაგური შეხვედრები ამ ჯერზე არ დაუგეგმავს.

## სელტიკმა ჰატჩინსონი იყიდა

ბრიტანული სააგენტოების ცნობით, გლაზგოს "სელტიკმა" "მიდლსბროს" ახალგაზრდა ფორვარდი **ბენჯამინ** (ბენ) **ჰატჩინსონი** შეიძინა. ინგლისელი აქამდეც "კელტებში" თამაშობდა, მაგრამ მხოლოდ არენდით. სულ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გლაზგოელებმა მას წინასწარი კონტრაქტი გაუფორმეს და აი, უკვე სრულფასოვანი კონტრაქტიც გამოცხვა. აქვე გეტყვით, რომ ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე სასაცილოა, სულ 250 ათასი გირვანქა. პროფესიულ დონეზე ბენს "მიდლსბროს" გარდა არსად უთამაშია, "სელტიკში" კი 8 თამაშში ჯერჯერობით 1 გოლი გაიტანა.

## ეკვადორელი სიტიში

უკანასკნელ სატრანსფერო დღეს "მანჩესტერ სიტიმ" შვეიცარიული ბაზელისა და ეკვადორის ნაკრების ფორვარდი **ფელიპე კაისადო** შეიძინა. მისი შეძენა მანჩესტერელებს 5.2 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. 19 წლის ფეხბურთელთან გაფორმებული კონტრაქტის ხანგრძლივობა 4.5 წელიწადია. როგორც ამას "სიტის" საიტი იუწყება, ეკვადორელით "ვალენსია", "სევილია", "ატლეტიკო", "მილანი" და "იუვენტუსი" იყვნენ დაინტერესებულნი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფეხბურთელს დიდი პოტენციალი გააჩნია.

## სემი ლი ლიდსში

"ბოლტონის" ექსდამრიგებელი **სემი ლი** ამიერიდან **გარი მაკალისტერის** თანაშემწე იქნება "ლიდს იუნაიტედში". ამჟამად "ლიდსი" ინგლისის მეორე დივიზიონში მე-6 ადგილზე იმყოფება. ლი, დიდი ხანია, სამწვრთნელო საქმიანობას ეწევა. მან კარიერის დიდი ნაწილი სწორედ მეორე მწვრთნელად გაატარა, ასე რომ ჩვეულ ამპლუას უბრუნდება. თავდაპირველად სემი "ლივერპულში" მორეულ 1993 წელს **გრემ საუნესმა** საკუთარ სამწვრთნელო შტაბში მიიწვია. შოტლანდიელის წასვლის შემდეგ ის ჯერ **როი ევანსისთან**, შემდეგ კი **ჟერარ ულიესთან** ერთად მუშაობდა. ფრანგის დროს ის სარეზერვო გუნდის მთავარი მწვრთნელი გახლდათ. 2001 წელს ის **სვენ გორან ერიკსონის** თანამშემწედ დაინიშნა ინგლისის ეროვნულ გუნდში, საიდანაც საკლუბო ფეხბურთს 2005 წლის ივნისში "ბოლტონში", ელერდაისის დამხმარედ დაუბრუნდა. უმაღლეს დონეზე მუშაობის შანსი მას ამ უკანასკნელის "ნიუკასლში" წასვლის შემდეგ მიეცა, თუმცა უშედეგოდ - გასული წლის ოქტომბრის შემდეგ ის უმუშევარი დარჩა უარყოფითი შედეგების გამო (14 თამაშში 7 წაგება, 4 ფრე და მხოლოდ 3 მოგება).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხავიერ აგირესა და ატლეტიკოს პრობლემები დაუგროვდათ

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXII ტური

# ატლეტიკომ მოჯადოებული წრე უნდა გაარღვიოს

**დღეს**

ალმერია-რეალი
ბეტისი-დეპორტივო

**ხვალ**

ატლეტიკო-მურსია
ლევანტე-რასინგი
ვალიადოლიდი-ვალენსია
სარაგოსა-ბილბაო
რეკრეატივო-სევილია
ვილიარეალი-მალიორკა
ბარსელონა-ოსასუნა
ხეტაფე-ესპანიოლი

"ალმერიასთან" მატჩის წინ **ბერნდ შუსტერს მაჰამადუ დიარა და რუუდ ვან ნისტელროი** დაუბრუნდნენ. დიარა მალის ნაკრებთან ერთად აფრიკის თასზე ასპარეზობდა, მაგრამ მისი გუნდი შავი კონტინენტის პირველობას ნაადრევად გამოემშვიდობა და ნახევარმცველი მადრიდში ჩაფრინდა. ვან ნისტელროის რაც შეეხება, ჰოლანდიელ ფორვარდს მწვავე ფალარათი აწუხებდა. ის იმდენად იტანჯებოდა, რომ ორი დღის განმავლობაში არათუ ვარჯიშს, არამედ სახლიდან გასვლასაც კი ვერ ახერხებდა. შუსტერისთვის საბედნიეროდ რუუდს კუჭი შეეკრა და ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. გერმანელმა სპეციალისტმა "ალმერიასთან" საბრძოლველად 19 ფეხბურთელი წაიყვანა. აი, მათი ჩამონათვალიც: *კასილიასი, დუდეკი, სალგადო, სერხიო რამოსი, კანავარო, მარსელო, ტორესი, დიარა, გუტი, ბაპტიშტა, დრენტე, შნაიდერი, რობენი, რობინიო, ბალბოა, იგუაინი, რაული, სოლდადო, ვან ნისტელროი.*

"ვილიარეალთან" სათასო შეხვედრის შემდეგ **ფრანკ რაიკაარდმა** შეგირდები პარასკევის ვარჯიშიდან გაათავისუფლა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. შეუძლებელია, ადამიანმა 12 საათში მომქანცველი მეოთხედფინალური ორთაბრძოლაც ჩაატაროს და ვარჯიშზეც ენერგიულად იმუშაოს. რაიკაარდი "ოსასუნასთან" სათამაშოდ შეგირდებს დღეს მოამზადებს. გადატვირთული კალენდრის გამო, შესაძლოა, "ბარსელონამ" სტრატეგიის დალაგება და დახვეწა ვერ მოასწროს. გარდა ამისა, კატალონიელებს სერიოზული საკადრო პრობლემაც შეექმნათ. იმავე "ვილიარეალთან" მატჩში **კარლეს პუიოლმა** ტრავმა მიიღო. მას ბარძაყის კუნთი გაუწყდა და სულ მცირე ერთი თვე ვერ გავა მოედანზე. მიკრო ტრავმა აწუხებს **რაფა მარკესს.** "ბარსას" ექიმები ჯერჯერობით არ ამბობენ მოახერხებს თუ არა მექსიკელი მცველი პამპლონელების წინაალმდეგ ასპარეზობას.

პრიმერა დივიზიონის 22-ე ტურში "ატლეტიკო" მოჯადოვებული წრის გარღვევას შეეცდება. მოგეხსენებათ, "როხიბლანკო" მადრიდულ დერბიში "რეალთან" წაგების შემდეგ წელში ვეღარ გაიმართა. პრიმერა დივიზიონში ზედიზედ წაგებული მატჩების შემდეგ **ხავიერ აგირეს** შეგირდები ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებასაც გამოეთიშნენ. ორი მატჩის ჯამში მათ დაჩაჩანაკებულ "ვალენსიას" ვერ აჯობეს. "მურსია" ალბათ ის გუნდია, რომელთანაც "ატლეტიკომ" ქულები აღარ უნდა დაკარგოს. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქელებს ტრავმის გამო შესაძლოა, **სიმაო საბროსა** დააკლდეთ, სპეციალისტები მაინც მათ გამარჯვებას წინასწარმეტყველებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 21 | 17 | 2 | 2 | 46-16 | 53 |
| 2. ბარსელონა | 21 | 13 | 5 | 3 | 40-14 | 44 |
| 3. ვილიარეალი | 21 | 12 | 2 | 7 | 39-33 | 38 |
| 4. ატლეტიკო | 21 | 11 | 4 | 6 | 35-22 | 37 |
| 5. ესპანიოლი | 21 | 10 | 6 | 5 | 31-24 | 36 |
| 6. რასინგი | 21 | 9 | 6 | 6 | 22-22 | 33 |
| 7. სევილია | 21 | 9 | 2 | 10 | 39-29 | 29 |
| 8. ალმერია | 21 | 8 | 5 | 8 | 18-21 | 29 |
| 9. ვალიადოლიდი | 21 | 7 | 6 | 8 | 30-32 | 27 |
| 10. ხეტაფე | 21 | 8 | 3 | 10 | 27-30 | 27 |
| 11. ვალენსია | 21 | 8 | 3 | 10 | 22-33 | 27 |
| 12. სარაგოსა | 21 | 6 | 8 | 7 | 34-35 | 26 |
| 13. მალიორკა | 21 | 6 | 8 | 7 | 31-33 | 26 |
| 14. ბეტისი | 21 | 6 | 7 | 8 | 23-30 | 25 |
| 15. ბილბაო | 21 | 5 | 8 | 8 | 19-22 | 23 |
| 16. ოსასუნა | 21 | 6 | 5 | 10 | 23-27 | 23 |
| 17. მურსია | 21 | 5 | 7 | 9 | 19-30 | 22 |
| 18. რეკრეატივო | 21 | 5 | 7 | 9 | 17-28 | 22 |
| 19. დეპორტივო | 21 | 5 | 5 | 11 | 22-33 | 20 |
| 20. ლევანტე | 21 | 3 | 3 | 15 | 15-38 | 12 |

ესპანეთის სამეფო თასი. მეოთხედფინალი. ხუთშაბათის განმეორებითი მატჩები

# ბარსელონა თასის ფინალისკენ მიიწევს

**ბარსელონა-ვილიარეალი 1:0 (0:0)**

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი (46. ტურამი ), მილიტო, აბიდალი, ინიესტა, მარკესი (68. ჩავი), დეკუ, კრკიჩი (75. რონალდინიო), ანრი, მესი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ვენტა, სიგანი, გოდინი, კაპდევილა, სენა (48. ბრუნო), ხოსიკო, კანი, პირესი (46. ხოსემი), ჩროსი (46. კასორლა), ტომასონი.

**გოლი:** 1:0. ანრი (41).

**გაძევება:** სიგანი (42).

**ბილბაო-რასინგი 3:3 (0:2)**

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოსიტო (75. გარმენდია), ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი, სუსაეტა, მუნიოსი, იესტე, გაბილონდო (75. დავიდ ლოპესი), რამოსი (61.ადურისი), ლორენტე.

**რასინგი:** კორტორტი, პინილიოსი, ორიოლი, სესარ ნავასი, ლუის ფერნანდესი (46. აიოსე), ხორხე ლოპესი (37. ალვარესი), კოლსა, დუშერი, ოსკარ სერანო, ბოლადო (61.სმოლარეკი), ჩიტე.

**გოლები:**1:0. ამორებიეტა (18), 2:0. მუნიოსი (25. პენ), 2:1. დუშერი (53), 3:1. სუსაეტა (55), 3:2. ჩიტე (77), 3:3. ოსკარ სერანო (90).

ბილბაოში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ "ბარსელონას" რეაბილიტაციისთვის ახალი შანსი მიეცა. პრიმერა დივიზიონში დაკარგული პოზიციების გამო კატალონიურ გრანდს ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეუმცირდა. ალბათ, ამის ბრალია, რომ **ფრენკ რაიკაარდი** ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებას უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება. ჰოლანდიელი სპეციალისტი ყოველ შეხვედრაში ფაქტობრივად, უძლიერეს შემადგენლობას აყენებს. აშკარაა, "ბარსელონა" ესპანეთის სამეფო თასს უმიზნებს.

"ვილიარეალთან" "ელ მადრიგალზე" გამართული პირველი შეხვედრა ნულოვანი ყაიმით დასრულდა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მთავარმა მწვრთნელებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ ყველაფერი "კამპ ნოუზე" გაირკვეოდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ დაპირისპირების წინ კატალონიელებმა "სან მამესზე" წაიფორხილეს. უკეთესი ხვედრი "ვილიარეალსაც"არ ქონდა. გახსოვთ, კვირას მათ "სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდის "რეალთან" წააგეს. ასე რომ, სათასო მეოთხედფინალში გამარჯვება ორივე გუნდისთვის ღირსების საქმე გახლდათ. **რონალდინიო** კატალონიური კარიერის განმავლობაში "კამპ ნოუზე" სათადარიგოთა სკამზე პირველად დასვეს (აქამდე ის ყოველთვის ძირითადში ხვდებოდა). მოგეხსენებათ, ბრაზილიელს ტრავმა ქონდა. იმასაც ამბობდნენ, რომ გაუჩოცუდ ფორმაში იყო და რაიკაარდი ამიტომაც არ ათამაშებდა. ასე იყო, თუ ისე, სამხრეთამერიკელმა სათადარიგოთა სკამზე 75 წუთი გაატარა, მანამდე კი "ბარსას" რიგებში **ლეო მესი** ბრწყინავდა. არგენტინელი პირველ ტაიმში შეუდარებელი იყო. მისი დრიბლინგების წინაალმდეგ "ვილიარეალის" მცველები უძლურნი გახლდნენ. არგენტინელის შეჩერება ყველაზე მეტად **პასკალ სიგანმა** მოინდომა, მაგრამ ამას წესების დარღვევის გარეშე ვერ ახერხებდა. შედეგად, სიგანმა **მეხუტო გონსალესისგან** ყვითელი ბარათი ორჯერ დაიმსახურა და მოედანი ნაადრევად დატოვა. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა გამარჯვების ბურთი შეაგდეს. **დეკუმ** საჯარიმო გაათამაშა, **ანრიმ** თავური დარტყმით შორეული კუთხე დალაშქრა. გაჩნდა ეჭვი, რომ ფრანგმა ფორვარდმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა, თუმცა ამის გამო მას დიდად არ უდარდია.

შესვენების შემდეგ 10 კაცით დარჩენილი სტუმრები საკუთარ საჯარიმოს მიეჯაჭვნენ. ვერ გეტყვით, რომ"ბარსა" სახიფათო იერიშებს ერთი მეორის მიყოლებით აწყობდა, მაგრამ ისიც ფაქტია, **ვიქტორ ვალდესს** სამუშაო თითქმის არ ქონდა. 74-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილ **ბოიან კრკიჩს დავიდ ლოპესმა** ბურთი წესების სრული დაცვით აართვა, მაგრამ მეხუტო გონსალესმა ეპიზოდი ბრიყვულად განსაჯა და პენალტი დანიშნა. მესის 11-მეტრიანი ლოპესმა აუღო და ამით სამართლიანობა აღსდგა. შეცვლაზე შესული რონალდინოიო უაღრესად მოტივირებული გჰხლდათ, მაგრამ შესაძლებლობების დასამტკიცებლად დრო არ ეყო. ..

რაიკაარდს ცალკეული ფეხბურთელების ლვაწლის გამოყოფა არ ახასიათებს, მაგრამ იმ სალამოს ჰოლანდიელი მესიმ იმდენად მოხიბლა, რომ მან თავი ველარ შეიკავა და განაცხადა:"*ლეოს თამაშის შემხედვარეს ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ასეთი ფეხბურთელი სხვაგან არსად მეგულება. ბედნიერები ვართ, რომ ის ჩვენი გუნდის ღირსებას იცავს. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გამოირჩეოდა. ყველამ იხილა არგენტინელის გასაოცარი დრიბლინგები. ოდნავ მეტად რომ გამართლებოდა, დაუვიწყარ გოლებს გაიტანდა. ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ და ნახევარფინალში გავალწიეთ. ამით განწყობა გავიუმჯობესეთ. იმედია, პრიმერა დივიზიონში უკეთ ვითამაშებთ და სატურნირო მდგომარეობას გავაუმჯობესებთ...*"

მარსელინიოს "რასინგმა" ისტორიულ წარმატებას მიაღწია. სანტანდერელებმა არსებობის განმავლობაში პირველად ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში გაალწიეს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ "რასინგი" შესანიშნავ ფორმაშია. შეგახსენებთ, კანტაბრიელები პრიმერა დივიზიონშიც ფანტასტიკურად ასპარეზობენ და უეფას თასის საგზურის მოპოვების რეალურ შანსს ფლობენ. ბასკებმა სასწაული ვერ მოახდინეს. პირველ შეხვედრაში ორბურთიანი სხვაობით წაგების შემდეგ სპეციალისტების დიდი ნაწილი აცხადებდა, რომ **ხიოაკინ კაპაროსის** ბიჭები გათამაშებას გამოეთიშებოდნენ. ასეც მოხდა... ბილბაოელმა გულშემატკივრებმა თასიდან გამოვარდნა მეტისმეტად განიცადეს და შეხვედრის დასრულების შემდეგ "სან მამესის" სიახლოვეს ნამდვილი ობსტრუქციები მოაწყვეს. არეულობისას რამდენიმე მანქანა დაიწვა. იქვე მდებარე მაღაზიებს ვიტრინები ჩაუმსხვრიეს. პოლიცია იძულებული გახდა რადიკალური ნაბიჯები გადედგა. სამართალდამცველებმა ბრბო დაშალეს. ყველაზე აგრესიულად განწყობილი ოთხი გულშემატკივარი კი წინასწარი დაკავების საკანში გააქანეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ტიერი ანრის ვილიარეალის კარში გატანილ გოლს ულოცავენ



კარლეს პუიოლმა შევებულება გამოიწერა

ბარსელონა

# რაიკაარდმა პუიოლი დიდი ხნით დაკარგა

## ექიმები ვარაუდობენ, რომ კაპიტნის რეაბილიტაციას შესაძლოა, ორი თვეც კი დასჭირდეს...

"ბარსელონას" ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში გასვლა საკმაოდ ძვირად დაუჯდა. "ვილიარელათან" მატჩში კატალონიური გრანდის კაპიტანმა ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძლება ვერ შეძლო. ბუნებრივია, გუშინ მას საგულდაგულო სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ **პუიოლს** მარჯვენა ბარძაყის კუნთი აქვს გაწყვეტილი. ერთი შეხედვით, ფეხბურთელებისთვის ჩვეულებრივი ტრავმა შესაძლოა, კარლესისთვის ძალიან პრობლემატური გახდეს. საქმე ის არის, რომ ბარსელონელს კუნთი 2 სანტიმეტრზე გაუწყდა. ექიმები უკიდურესად შეწუხებულები არიან. მათი პროგნოზით, გამოცდილი მცველი საუკეთესო შემთხვევაში ერთ თვეში დაუბრუნდება მოედანს, თუმცა, გამორიცხული არ არის, რეაბილიტაციას 2 თვეც დასჭირდეს. ალბათ, ხვდებით, ეს რამდენად სახიფათოა "ბარსელონისთვის". მართალია, პრიმერა დივიზიონში კატალონიელებს ცუდად აქვთ საქმე, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ისინი კვლავაც ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტებად ითვლებიან. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფრენკ რაიკაარდს პუიოლი "სელტიკთან" პირველ საფლეიოფო დაპირისპირებაში ვერ დაეხმარება. შესაძლოა, ის განმეორებით მატჩშიც ვერ ვიხილოთ.

რაიკაარდი მომხდარი ფაქტით სასტიკად შეშფოთდა: "*ძალიან ცუდია, რომ პუიოლმა ტრავმა მიიღო. სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შედის. წინ პრიმერა დივიზიონის პრინციპული მატჩები, ასევე ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები და სამეფო თასის ნახევარფინალები გველის. როგორც ექიმები მატყობინებენ, არ არის გამორიცხული, კარლესმა ვარჯიში 2 თვე ვერ განაახლოს. ჩვენი მცველებისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, თავს უფლებას მივცემ, განვაცხადო, რომ პუიოლი "ბარსელონისთვის" შეუცვლელი ფიგურაა. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ რთული სიტუაციიდან ღირსეულად გამოვალთ.*"

მიმდინარე სეზონი პუიოლისთვის ძალიან უიღბლო გამოდგა. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს, რა თქმა უნდა, გახსოვთ, რომ 2007 წლის 20 ივნისს სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ შეხვედრაში კარლესს მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და რამდენიმეთვიან იძულებით შვებულებაში გავიდა. პრინციპში, "ბარსას" წარუმატებლობების ერთ-ერთ მიზეზად ხშირი ტრავმები შეიძლება მივიჩნიოთ. პუიოლის გარდა, წელს ლაზარეთში **სამუელ ეტოო, მესი, ძამბროტა, მილიტო, რონალდინიო, ანრი, ჩავი და ედმილსონიც** იმყოფებოდნენ.

## კრივი



მარჯვნივ დავით ნიკლაური

### საერთაშორისო ტურნირი

# მედალი პირველსავე დღეს

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დაიწყო მოკრივეთა ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი „სტრანჯას თასი". აღნიშნულ შეჯიბრებას 1950 წელს ჩაუყარა საფუძველი და წლეულს 59-ედ ტარდება. როგორც ყოველთვის, ბულგარეთში ამჯერადაც ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. პლოვდივურ რინგზე 19 ქვეყნის 110 მოკრივე შეიკრიბა.

სამწუხაროდ, რვაკაციანმა საქართველოს ნაკრებმა პირველსავე წრეში სამი მოკრივე მოისაკლისა. 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში, **ნიკოლოზ იზორია** ბრიტანელ ტომას სტალკერთან მესამე რაუნდში დამარცხდა მეტოქის აშკარა უპირატესობის გამო. 60 კილოგრამში, **კონსტანტინე კუპატაძემ** ქულებით წააგო ყაზახ მირეი აქმალოვთან - 17:23. მოულოდნელი იყო **გიორგი ნაკანის** (75 კგ) პირველსავე რაუნდში დამარცხება თურქ სავაშ კაიასთან...

სამაგიეროდ პირველ წრეში წარმატებით გამოვიდა 2 ქართველი. მასპინძელ ემილ კრასტევს 21:14 მოუგო **დავით ნიკლაურმა** (81 კგ). ახლა დათო ნახევარფინალის საგზურისთვის რუს დმიტრი ჩუდინოვს შეებრძოლება.

მძიმე წონაში კი სულ ექვსმა მოკრივემ მოიყარა თავი და ისე გამოვიდა, რომ **ბექა ლობჟანიძემ** ერთი ბრძოლის მოგებით გაინაღდა მედალი. მან რუმინელ რომან კაპიტონენკოს 17:12 მოუგო, ნახევარფინალში გავიდა და მინიმუმ, ბრინჯაოს მედალი დაიბევა. ახლა ბექას შეუძლია, მედლის ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ფინალში გასასვლელ ორთაბრძოლაში იგი კუბელ რობერტ ალფონსოს ეჩხუბება.

ჯერ არ გამოსულან რინგზე **კობა ფხაკაძე** (57 კგ), **ლევან ღვამიჩავა** (64 კგ) და **კახა ცქვანია** (69 კგ). პირველ წრეში ფხაკაძე ბულგარელ ოგნიან კოლევს შეხვდება, ღვამიჩავა ყაზახ ბულატ ბორნანფულიევს დაუპირისპირდება, ხოლო ცქვანია კიდევ ერთ მასპინძელ ევგენი ბორისოვს გადაეყრება.

**კობა ხატისაშვილი**

## ფარიკაობა

### ინტერვიუ მორის სახვაძესთან

# აპრილი, სტამბოლი. მომცელიძე ლიცენზიისთვის

**ოლიმპიური სეზონი დაიწყო საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამაც. თუკი წინა ოლიმპიადებზე სათანადო პირობების არქონის გამო, ფარიკაობაში ლიცენზიის მოპოვების შანსი ნაკლებად გვქონდა, ახლა ეს შანსი გაჩნდა. გვესაუბრება საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი მორის სახვაძე.**

- როგორციცით, საქართველოს მოქალაქეობა მივეცით ამერიკაში მცხოვრებ ხმლით მოფარიკავე ჩვენს თანამემამულე **მიხეილ მომცელიძეს**. იგი კოლამბუსში სწავლობს და თან ვარჯიშობს. მისი მწვრთნელია ლეგენდარული ვეტერანი მოფარიკავე ვლადიმერ ნაზლიმოვი. პეკინის ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების იმედს ამ ახალგაზრდას ვუკავშირებთ.

**- რამდენად რეალურია იმის შანსი, რომ მომცელიძე პეკინში მოხვდეს?**

- საკმაოდ პერსპექტიული მოფარიკავეა და იმედი ნამდვილად გვაქვს. ახლახან, იგი სტამბოლის მსოფლიო თასზე იყო, სადაც სალიცენზიო ქულების გარკვეული მარაგი დააგროვა. მთავარ იმედს კი იმავე სტამბოლში აპრილში გასამართ ტურნირს ვუკავშირებთ, სადაც ევროპისათვის დარჩენილი ოლიმპიური საგზურები გათამაშდება. იქ მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლები გამოვლენ, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ლიცენზიები. ეს ამოცანას საგრძნობლად გაგვიადვილებს. სტამბოლში მომცელიძეს მინიმუმ, მეორე ადგილის დაკავება დასჭირდება პეკინის საგზურის მოსაპოვებლად. ტურნირზე დაახლოებით 10-12 მოფარიკავე იბრძოლებს. მოკლედ, ისრა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ აპრილს...

**- აპრილამდე სად მოემზადება მომცელიძე?**

- ხვალ საბერძნეთში საერთაშორისო ტურნირი იწყება, სადაც იასპარეზებენ კახა მაღრაძე, ზურაბ ბახსოლიანი და დავით მთვარელიძე. გვინდოდა, რომ იქ მომცელიძეც ჩამოსულიყო, მაგრამ მან და მისმა მწვრთნელმა გვთხოვეს, რომ უმჯობესი იქნება, თუ ამერიკაში გააგრძელებენ სამზადისს - აქაც ბევრი სერიოზული ტურნირი იმართება და ევროპაში ჩამოსვლა საჭირო აღარ არისო. ასე, რომ მიხეილ მომცელიძე ისევ ამერიკაში მოემზადება.

**კობა ხატისაშვილი**

## ჩოგბურთი



# დღეს, პოლონეთთან!

საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია და დღეს ზონაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მოუწევს. გუშინ პირველად კორტზე 16 წლის **ეკა გორგოძე** და 17 წლის **პოლონა ჰერცოგი** გავიდნენ. მართალია, ჰერცოგი მსოფლიოს 390-ე ჩოგანია, გორგოძე კი მეცხრე ასეულშია, მაგრამ ვივარაუდეთ, რომ ეკას მოგების შანსი ექნებოდა და არც შევმცდარვართ. პირველი სეტი ქართველმა გოგონამ ტაი-ბრეიკში 7:3 მოიგო. ბრძოლა ასეთივე სტილში გაგრძელდა, მეორე სეტის გამარჯვებულიც ტაი-ბრეიკმა გამოავლინა, სამწუხაროდ, ამჯერად ჰერცოგმა იმარჯვა - 7:5. მესამე გადამწყვეტ სეტში, თავისი მოწოდება გორგოძემ მატჩში ერთადერთხელ დათმო და ისიც სულ ბოლოს, გადამწყვეტ გეიმში - 7:6, 6:7, 5:7. სლოვენიის ნაკრები 1:0 დაწინაურდა.

ლიდერთა მატჩი ჩვენთვის ყველაზე უარესი სცენარით დაიწყო 21 წლის **ანდრეა კლეპაჩმა** (146) ერთი ამოსუნთქვით მოუგო პირველი სეტი 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** (643) - 6:1. მეორე სეტი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა კლეპაჩს მაინც ჰქონდა მცირე უპირატესობა, 4:5-ზე ოქსანამ კლეპაჩის ოთხი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და შემდეგ სეტიც მოიგო - 7:5. მესამე სეტი ქართველის სრული უპირატესობით დაიწყო და კალაშნიკოვა 3:0 დაწინაურდა. აი, აქ მოხდა გარდატეხა მატჩში, სამწუხაროდ, კლეპაჩმა უშეცდომო თამაშით გატეხა ჩვენებური და 6:1, 5:7, 6:3 მოიგო. სლოვენია 2:0 დაწინაურდა და მატჩის ბედიც გადაწყდა - საქართველო დასარჩენ მატჩში ითამაშებს. არადა, შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებს შეეძლო სლოვენიის დამარცხება. ზედიზედ მესამედ ბუდაპეშტში წყვილთა თანრიგის მატჩს ფორმალური ხასიათისლა დარჩა ჩვენთვის. სწორედ ამიტომ, მეტოქეები შეთანხმდნენ, რომ მატჩი აღარ გამართულიყო.

ჯგუფის მეორე მატჩში ფლეი-ოფის საგზურის მფლობელი უნდა გარკვეულიყო. მოულოდნელად, ბელარუსის ნაკრებმა ერთეულთა ორივე მატჩი წააგო შვედეთთან და 1:2 მარცხის შემდეგ საგზური სკანდინაველებს გადაულოცა. განსაკუთრებით, საკვირველია, როგორ იოლად მოუგო **სოფია არვიდსონმა ოლგა გოვორცოვას** - 6:2, 6:2. მოკლედ C ჯგუფიდან შვედეთის ნაკრები გავიდა, გაისადაც I ზონაში ითამაშებენ ბელარუსი და სლოვენია. აი, საქართველომაც რომ ანალოგიურს მიაღწიოს, დღეს უნდა გაიმარჯვოს

D ჯგუფში გადამწყვეტი მატჩი სერბეთის ნაკრებმა რუმინეთისას მოუგო. პირველ შეხვედრაში **ანა ივანოვიჩმა** დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა **მონიკა ნიკულესკუ**. მეორე მატჩში **სორანა კირსტეამ** სამ სეტში მოუგო **ელენა იანკოვიჩს**. მატჩის ბედი წყვილების შეხვედრაში გადაწყდა, სადაც იანკოვიჩსა და ივანოვიჩს ზედიზედ ორი ტაი-ბრეიკის მოგება დასჭირდათ ფლეი-ოფის საგზურის მოსაპოვებლად. ყველასთვის მოულოდნელად პოლონეთის ნაკრები ზონაში დარჩენისთვის იბრძოლებს.

A ჯგუფში **მიხაელა კრაიჩეკის** გარეშე დარჩენილმა ჰოლანდიის ნაკრებმა შეძლო პირველი ადგილის დაკავება. ბოლო ადგილზე კი პორტუგალიის ნაკრები გავიდა. დღის სენსაცია კი შვეიცარიის ნაკრებმა მოახდინა, როცა B ჯგუფში მასპინძელთა ნაკრები დაამარცხა და პირველ ადგილზე გავიდა.

სანამ ტურნირის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი გაიმართებოდა ორგანიზატორებმა ფლეი-ოფის და ფლეი-დაუნის წილისყრა ჩაატარეს. საქართველოს ნაკრებს აშკარად არ გაუმართლდა, ორი ვარიანტიდან (პოლონეთი ან დანია–ბრიტანეთის მატჩში დამარცხებული) აშკარად უფრო ძლიერი პოლონეთის ნაკრები შეხვდა. რომელთანაც ჩვენმა გუნდმა შარშან წააგო მავრიკის კუნძულებზე თუმცა პოლონელებთან ერთად I ზონის საგზური მოიპოვა. როგორც აღმოჩნდა, აღზევებულთაგან ერთ-ერთს უკან დაბრუნება მოუწევს. ეს კი დღეს ჩვენი დროით ნაშუადღევს პირველი საათიდან ნომერ მეორე კორტზე გაირკვევა. თუმცა ერთი ინფორმაცია იმედს გვიტოვებს. როგორც ტურნირის დაწყების წინ პოლონეთის ნაკრების კაპიტანმა **რადვანსკიმ** განაცხადა, მისი შვილები **აგნიეშკა** და **ურსულა** ფლეი-ოფში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, რადგან სხვამხრივ ვერაფრით ჩაუსწრებენ პატაიას (ტაილანდი) WTA-ს ტურნირს. მსოფლიო ჯგუფის ფლეი-ოფის საგზურისთვის სერბეთის ნაკრები ჰოლანდიას დაუპირისპირდება, ხოლო შვედეთი - შვეიცარიას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ფედერაციის თასი, ევროპა-აფრიკის I ზონა**
30 იანვარი-2 თებერვალი, ბუდაპეშტი (უნგრეთი)

**C ჯგუფი**

**საქართველო–სლოვენია 0:2**
ეკა გორგოძე - პოლონა ჰერცოგი 7:6, 6:7, 5:7
ოქსანა კალაშნიკოვა - ანდრეა კლეპაჩი 1:6, 7:5, 3:6
ქვაცაბაია, მიქაძე - ჰერცოგი, კლეპაჩი

**შვედეთი–ბელარუსი 2:1**
იოჰანა ლარსონი - დარია კუსტოვა 6:3, 6:1
სოფია არვიდსონი - ოლგა გოვორცოვა 6:2, 6:2
არვიდსონი, ლარსონი - გოვუში, პუჩეკი 4:6, 2:6

*1. შვედეთი (3 მოგება), 2. ბელარუსი (2), 3. სლოვენია (1), საქართველო (0)*

**A ჯგუფი**

**ჰოლანდია–ბულგარეთი 2:0**
რენე რეინჰარდტი - დია ევტიმოვა 6:0, 6:3
არანტა რუსი - ცვეტანა პირონკოვა 6:4, 6:4
ტისენი, ვონგი - ევტიმოვა, პირონკოვა (არ ითამაშეს)

**ლუქსემბურგი–პორტუგალია 2:0**
კლოდინ შოული - ანა ნოგუეირა 1:6, 6:1, 6:2
ანე კრემერი - მეგალი დე ლატრე 6:2, 6:1
მინელა, შოული - კოელერი, ნოგუეირა (არ ითამაშეს)

*1. ჰოლანდია (3 მოგება), 2. ბულგარეთი (2), 3. ლუქსემბურგი (1), 4. პორტუგალია (0).*

**B ჯგუფი**

**უნგრეთი–შვეიცარია 1:2**
გრეტა არნი - სტეფანი ფოგელი 7:5, 7:5
აგნეშ სავაი - პატი შნაიდერი 4:6, 6:3, 1:6
არნი, სავაი - გალიარდი, შნაიდერი 3:6, 6:1, 3:6

**დიდი ბრიტანეთი–დანია 1:0**
ანე კეტავონგი - პანე იანსენი 6:4, 4:6, 6:2
კეტი ო'ბრაიენი - კაროლინა ვოზნიაკი (გვიან დასრულდა)
ბალტაჩა, კეტავონგი - დირბერგი, ვოზნიაკი

*1. შვეიცარია (3 მოგება), 2. უნგრეთი (2), 3-4. დიდი ბრიტანეთი (0), დანია (0).*

**D ჯგუფი**

**სერბეთი–რუმინეთი 2:1**
ანა ივანოვიჩი - მონიკა ნიკულესკუ 5:7, 6:4, 7:5
ელენა იანკოვიჩი - მიხაელა ცირსტეა 3:6, 6:3, 4:6
ივანოვიჩი, იანკოვიჩი - ცირსტეა, ნიკულესკუ 2:6, 7:6, 7:6

*1. სერბეთი (2 მოგება), 2. რუმინეთი (1), 3. პოლონეთი (0)*

**2 თებერვალი**

ფლეი-ოფი

**სერბეთი–ჰოლანდია**
**შვეიცარია–შვედეთი**

ფლეი-დაუნი

**საქართველო–პოლონეთი**
**პორტუგალია–დანია (ან ბრიტანეთი)**

## ჭადრაკი

# არახამიამ პირველი ტიტული მოიპოვა

2008 წლის დასაწყისი წარმატებული გამოდგა შოტლანდიაში გათხოვილი ქართველი დიდოსტატი ქალისთვის - **ქეთევან არახამია-გრანტმა** დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში გაიმარჯვა, რომელიც გიბრალტარში მიმდინარეობდა. მთავარი ტურნირი 10 ტურად ჩატარდა. გადამწყვეტი შეხვედრის წინ არახამია 6.5 ქულით მეთექვსმეტე ადგილზე იყო და მხოლოდ კოეფიციენტით ჩამორჩებოდა მეთხუთმეტეზე მყოფ ლიტველ **ვიქტორია ჩმილიტეს**. ვინაიდან ძირითად ტურნირში გამარჯვების გარდა ქალთა შორისაც იყო სამი ფულადი პრიზი დაწესებული, მანდილოსნები ამ ფრონტზე უფრო იბრძოდნენ.

მეათე ტურში არახამიაც და ჩმილიტეც შავებით ხვდებოდნენ ძლერ დიდოსტატებს: ქართველის მეტოქე უკრაინელი **ალექსანდრ არეშჩენკო** იყო, ლიტველის კი - თურქი **მიხაილ გურევიჩი**. სამწუხაროდ, ქეთინომ წააგო, მაგრამ იგივე ბედი ეწია ჩმილიტესაც, რამაც ჩვენებურის წისქვილზე დაასხა წყალი: კოეფიციენტი უკეთესი გაუხდა და პირველ ადგილზე გავიდა. ჩმილიტეს მეორე ადგილი ერგო, მესამეზ კი ინდოელი **ჰარიკა დრონავალია**, ასევე 6.5 ქულით.

საერთო ცხრილში არახამია 21-ე ადგილზე გავიდა, რაც ასეთ კომპანიაში ფრიად ღირსეული შედეგია. 24-ეა ჩმილიტე, დრონავალს 26-ე ადგილი ერგო. 6.5 ქულა მოაგროვა ბულგარელმა **ანტუანეტა სტეფანოვამაც**, მაგრამ კოეფიციენტი მხოლოდ 33-ე ადგილისთვის ეყო.

ბოლო ტურში კი გაიმარჯვა ნანა ძაგნიძემ - გერმანელ რალფ დანიელმეიერს მოუგო თეთრებით, მაგრამ ნიშვნელოვანი წარმატებისთვის 5 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა: 91-ე ადგილზე გავიდა, ხოლო ქალთა შორის მეთექვსმეტე იყო. შევნიშნავთ, რომ სულ მთავარ ტურნირში 31 ქალბატონი მონაწილეობდა.

არახამიამ ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო; მეორეადგილოსანმა - 2500; მესამეზე გასულს კი 1500 ერგო.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო პრიზთა რაოდენობა კაცთა შორის: გამარჯვებულს 12 ათასი გირვანქა ერგო, მეორეს - 8 000, მესამეადგილოსანმა ხუთიათასით გაიმდიდრა ბიუჯეტი. სხვათა შორის, არახამიას რომც მოეგო არეშჩენკოსთვის, მესამეზე მაღლა ვერ ავიდოდა - უკრაინელმა სწორედ რომ მესამე ადგილი დაიკავა. გამოვიდა, რომ ქართველმა ქალბატონმა ნაგებით ისევე იხეირა, როგორც არეშჩენკომ - მოგებით...

ტურნირი კი ამერიკელმა **ჰიკარუ ნაკამურამ** მოიგო. იგი ბოლო ტურის წინ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ჩინელ **ბუ სიანკჭის** და უკრაინელ **ზაჰარ ეფიმენკოს**; კოეფიციენტით კი მეხუთე საფეხურზე იდგა. მეათე ტურში ბუ სიანკჭიმ თეთრებით თანამემამულე **ნი ჰუასთან** ყაიმით ითამაშა; ერთმანეთში დაზავრდნენ ინდოელი **გოპალი** და ბოლოგანი, ხოლო ნაკამურამ თეთრებით **ზაჰარ ეფიმენკოს** დამარცხება შეძლო. ამერიკელსაც და ჩინელ სინკჭსაც 8 ქულა გაუხდათ და პირველ-მეორე ადგილი გაიყვეს. დებულების თანახმად გამარჯვებული დამატებით, მოკლე პარტიებში უნდა გარკვეულიყო. ამ დაპირისპირებაში ნაკამურამ 2:0 იმარჯვა.

საბოლოო ცხრილი ასეთია: 1. ჰიკარუ ნაკამურა (აშშ. 2670)-8; 2. ბუ სიანკჭი (ჩინ. 2691); 3. ალექსანდრ არეშჩენკო (უკრ. 2645)-7.5; 4. ვიქტორ ბოლოგანი (მოლ. 2663)-7.5; 5. ზაჰარ ეფიმენკო (უკრ. 2638)-7.5; 6. გ. ნ. გოპალი (ინდ. 2528)-7.5; 7. მიხაილ გურევიჩი (თურ. 2607)-7.5; 8. ნი ჰუა (ჩინ. 2680)-7.5; 9. ვანკ ჰაო (ჩინ. 2665)-7.5; 10. ვარუჟან აკობიანი (აშშ. 2599)-7. 21. ქეთევან არახამია-გრანტი (საქ. 2457)-6.5; 91. ნანა ძაგნიძე (საქ. 2429)-5.

**ზვიად შათირიშვილი**

ინტერვიუ იორდანის არანსიბიასთან

# კედელაშვილთან რევანში ძალიან მსურდა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ წლევანდელ მსოფლიო თასზე მაყურებელმა იმდენი ტიტულოვანი ფალავანი იხილა, იქნებ, მათთან შედარებით, კუბელი იორდანის არენსიბია (66) არც ისე კაშკაშა ვარსკვლავია. გეთანხმებით, რომ იგი არც მსოფლიო ჩემპიონია და არც - ოლიმპიური, მაგრამ მაინც თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ მოჭიდავედ მიმაჩნია. ვფიქრობ, ამაში თქვენც დამეთანხმებით, მის შედეგებს თვალს თუ გადავავლებთ - სამი ბრინჯაო და ერთი ვერცხლი მსოფლიო პირველობებზე და ერთიც ბრინჯაო ოლიმპიადაზე. დაგვეთანხმებით, ამ რანგის ტურნირებში ხუთი მედალი გმირობა თუ არა, გამორჩეული ამბავი ნამდვილადაა. 1999-2003 წლებში მან სამივე მსოფლიოზე ბრინჯაო მოიპოვა, რასაც 2004-ში, ათენის ოლიმპიადაზე იგივე სინჯის მედალი მოიპოვა. 2005-ის მსოფლიოზე ხელი მოეცარა და უმედლოდ დარჩა. შარშან, შემოდგომაზე, რიო დე ჟანეიროში, მსოფლიოზე ეს დანავსული ბრინჯაოს ბარიერი კი გადალახა და ფინალში გავიდა, მაგრამ მასპინძელ ჟოაო ჟუნიორთან დამარცხდა და ოქროს მაინც ვერ შეწვდა. მოდი და ნუ იტყვი, რომ იგი უილბლო მოჭიდავე არაა!

სამწუხაროდ, მისი ჭიდაობა ქართველმა მაყურებელმა წლეულს ვერ იხილა, თუმცა გვახსოვს ორი წლის წინანდელი ტურნირიდან, როცა ზაზა კედელაშვილთან შეხვედრაში მსაჯებმა უხეშობისთვის გაფრთხილებებით მოხსნეს. როგორც აღმოჩნდა, ის წაგება არენსიბიას დღემდე მწარედ ახსოვს, ხოლო რატომ არ იჭიდავა წლეულს, წინამდებარე ინტერვიუში ამას თვითონ აგვიხსნის.

**-ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მაყურებელი წლეულსაც ელოდა თქვენს გამოსვლას. განაცხადშიც იყავით, მაგრამ ტატამზე მაინც ვერ გიხილეთ. რატომ?**

- სამწუხაროდ, ამის მიზეზი თბილისში დაგვიანებით ჩამოსვლაა, თორემ ამ ტურნირზე მართლაც უნდა მეჭიდავა. ჩვენი მოგზაურობა დღენახევარი გაგრძელდა, რაც ძალზე დამღლელიც იყო და თბილისშიც დაგეგმილზე გვიან ჩამოვედით. ძალიან დაღლილი ვიყავი, დასვენებას ვერ ვასწრებდი და ამიტომ არ ვიჭიდავე.

**- თქვენი კარიერის განმავლობაში, რამდენიმე ქართველთან მოგიწიათ პაექრობა. მათგან რომელს გამოარჩევდით?**

- თქვენმა ნაკრებმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი სიძლიერე მსოფლიო ჩემპიონატსა თუ სხვა მნიშვნელოვან ტურნირებზე. თქვენი მოჭიდავეები მებრძოლი სულით გამოირჩევიან, რაშიც ქართველები და კუბელები ერთმანეთს ვგავართ. 60 კილოგრამი წონითი კატეგორიიდან მოყოლებული, ქართველებთან მართლაც ბევრჯერ მომიწია დაპირისპირება. ყველა მათგანი ძალიან ძლიერია, მაგრამ ზაზა კედელაშვილს მაინც გამოვარჩევ, რომელიც 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია.

**- ალბათ, გახსოვთ მასთან შეხვედრა ორი წლის წინ ამავე ტურნირზე, რამაც ძალიან გაგანაწყენათ... ახლა რევანშიც სურვილი გამოძრავებდათ და თუ ისევ ეს ვარიანტი გერჩივნათ, როცა მასთან შეხვედრა აგცდათ?**

- მაშინ მსაჯის გადაწყვეტილება მართლაც საკამათო იყო, რადგან მან მიიჩნია, რომ კედელაშვილს შეგნებულად ვურტყამდი ფეხებში და ამისთვის დისკვალიფიკაცია მომცა. ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო და რევანში მართლაც ძალიან მსურდა. მე მზად ვიყავი მასთან საჭიდაოდ და ვფიქრობ, ძალიან დაძაბული ბრძოლაც გვექნებოდა.

**- აღნიშნეთ, რომ ქართველი და კუბელი მოჭიდავეები ჰგავხართ ერთმანეთს, თუმცა გარკვეული საერთო მთლიანად ხალხს შორის შეიძლება აღმოვაჩინოთ. მაგალითად, ტემპერამენტი. საქართველოში მეორედ იმყოფებით და რამდენად გაიცანით იგი, რას იტყვით ჩვენს ქვეყანაზე?**

- სამწუხაროდ, საქართველოზე ჩემი წარმოდგენა ძირითადად ძიუდოთი შემოიფარგლება და მხოლოდ ამ კუთხით თუ ვიმსჯელებ. მიხარია, რომ საქართველოში ძიუდოს ამდენი ქომაგი ჰყავს და ამხელა დარბაზი შეიძლება, ასე პირთამდე გაივსოს.

**- სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის უილბლო სპორტსმენად რჩებით - მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადაზე 5 მედალი მოიპოვეთ. აქედან 4 ბრინჯაოა და 1 - ვერცხლი, ჩემპიონობა კი დღემდე აუხდენელ ოცნებად გრჩებათ. ამის მიზეზად უილბლობას მიიჩნევთ თუ სხვა რამითაც ხსნით?**

- ძირითადი მიზეზი მეც უილბლობა მგონია - ბოლო მომენტში ბედი ყოველთვის მღალატობდა. განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატებზე მწყდება გული... იმ ტურნირებისთვის მუდამ განსაკუთრებულად ვემზადებოდი, მთელი მონდომებით და ყველაფერს ვდებდი ვარჯიშებში, მაგრამ ოქრომდე ყოველთვის ცოტა მაკლდებოდა.

ახლა მთელ იმედებს პეკინის ოლიმპიადაზე ვამყარებ. ამ შეჯიბრებისთვის მთელი ჩემი შესაძლებლობები გავაერთიანე, რათა ტურნირს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდე და ოცნება ავისრულო. ჩემი უმთავრესი ოცნება ახლა იქ გამარჯვებაა.

**- ოლიმპიადის შემდეგ ისევ დარჩებით სპორტში, თუ მიდიხართ?**

- ოლიმპიადის მერე, მინიმუმ, ორი წელიწადი ისევ დავრჩები. ვერ გეტყვით, გამოვალ თუ არა 2010-ში ლონდონის ოლიმპიადაზე, მაგრამ ორი სეზონი ნამდვილად დავრჩები. დანარჩენი დროის საქმეა.

**- რამდენადაც ვიცი, ძალიან დატვირთული გრაფიკით ვარჯიშობთ - თითქმის მთელ წელიწადს შეკრებებზე ატარებთ, ძირითადად - ევროპაში, რის გამოც მოწყვეტილი ხართ ოჯახს. ცოტა ხომ არ დაგღალათ ასეთმა ცხოვრებამ? რამდენად გრჩებათ თავისუფალი დრო და როგორ ატარებთ მას?**

- მართალია - ლამის მთელ სეზონს მართლაც შეკრებებზე ვატარებთ და ძირითადად - ევროპაში. თავისუფალი დრო ჩემთვის დეფიციტია და თუ გამომიჩნდება, ვცდილობ, კუბაში, მშობლიურ ოჯახში, ოჯახის მონატრებულ წევრებთან გავატარო.




**- და გართობა? კუბა იმდენად ეგზოტიკური ადგილია, ევროპიდანაც ჩადიან გასართობად...**

- ძალიან მიყვარს პლაჟი და მუსიკა, სალამოობით კუბის პლაჟებზე გასეირნება და იქაური მუსიკის ფონზე ცეკვა. თუ დრო მაქვს, გართობის ამ შანსს ხელიდან არ ვუშვებ. კუბელებს ეს სისხლში გვაქვს.

**- კუბელი მოჭიდავეები და არა მხოლოდ ფალავნები, საოცარი ფიზიკური მომზადებით და სისხარტით გამოირჩევით. ესეც სისხლში გაქვთ თუ ამისთვის სპეციალურად ემზადებით?**

- ორივე მომენტია. კუბელები ნიჭიერი ხალხი ვართ და მონაცემებიც მოგვდგამს, მაგრამ ჩვენთან ბავშვთა მოსამზადებელი სპეციალური პროგრამებიც არსებობს. სპორტსკოლებში მომავალ სპორტსმენებს ამითი ამზადებენ და ეს პროცესი ეროვნულ ნაკრებში მისვლამდე უწყვეტად გრძელდება.

**- დაბოლოს, ცოტა რამ საკუთარ თავზეც უამბეთ ძიუდოს ქართველ ქომაგებს...**

- ვსწავლობ ჰავანის ფიზკულტურის ინსტიტუტში. მყავს ლამაზი ოჯახი და 6 წლის ბიჭი. ძიუდო მასაც ძალიან აინტერესებს და, ვფიქრობ, მომავალში ჩემს გზას გაჰყვება. სადაც უნდა იყოს - სკოლაში თუ სახლში, ყველგან ძიუდოს ჭიდაობა უნდა.

**ირაკლი ᲗᲐᲕᲐᲫᲔ**




ლაშა გოგიტიძე

ინტერვიუ ლაშა გოგიტაძესთან

# გამარჯვება მეგობართან

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ანტიკურ ჭიდაობაში, სადაც 55 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში ახალგაზრდა ქუთაისელმა ფალავანმა ლაშა გოგიტაძემ გამოცდილი ირაკლი ჭოჭუა დაამარცხა და პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. ლაშა აქამდე ახალგაზრდებში ასპარეზობდა და ქვეყნის ჩემპიონობასთან ერთად ახალგაზრდებს შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ორგზის პრიზიორიცაა. პერსპექტიული მოჭიდავე ახლა პეკინის ოლიმპიადას უმიზნებს. ჩვენ მას კარიერის განვლილ პერიოდსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.

**- ლაშა, გილოცავ საქარველოს ჩემპიონობას. რამდენად მნიშვნელოვანი იყო შენთვის ეს გამარჯვება?**

- კადეტებსა და ახალგაზრდებს შორის ქვეყნის ჩემპიონი რამდენჯერმე გავხდი. მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორიც ვარ, მაგრამ ეს წარმატება ჩემთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც საშუალება მეძლევა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ვიბრძოლო. საქართველოს ჩემპიონატისთვის თავდადებით ვემზადებოდი. იმედი მქონდა რომ გავიმარჯვებდი, ჩემი მოლოდინი გამართლდა და ჩემპიონი გავხდი. მიხარია, ასეთ წარმატებას რომ მივაღწიე. ახლა საერთაშორისო ტურნირებზეც უნდა გამოვიჩინო თავი.

**- 55 კილოში ფავორიტად ირაკლი ჭოჭუა ითვლებოდა და ბევრმა შენი გამარჯვება სენსაციად მონათლა. რთული იყო მისი დამარცხება?**

- სენსაცია არ ყოფილა, თუმცა ჩემი გამარჯვება მოულოდნელი იყო იმ მხრივ, რომ ჭოჭუა მრავალგზის საქართველოს ჩემპიონია. მე კი 20 წლის ვარ და ახლახან გადავედი დიდებში. მიუხედავად ამისა, ჩემს ძალებში დარწმუნებული ვიყავი და ალბათ, გამარჯვებაში ესეც დამეხმარა. ჩემპიონობის მოპოვება ძალიან რთული იყო, რადგანაც ერთმანეთზე უკეთესი მეტოქეები მყავდა, თუმცა ამჯერად მე გამიმართლა.

**- შარშან პირველად იასპარეზე საქარველოს ჩემპიონატში და ფინალში სწორედ ირაკლი ჭოჭუასან წააგე. ალბათ, მას შედეგ რევანშის აღების სურვილი გქონდა...**

- მოგებაზე ვფიქრობდი, თუგინდ ამას რევანში დაარქვით...სხვა მხრივ, მე და ირაკლი ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, ვმეგობრობთ და ხალიჩის მიღმა გასაყოფი არაფერი გვაქვს.

**- ლაშა, ვის მიუძღვის წვილი შენი მოჭიდავედ ჩამოყალიბებაში?**

- ჭიდაობა ქუთაისში, სპორტულ ლიცეუმში დავიწყე. პირველი მწვრთნელი მამაჩემი, ხვიჩა გოგიტაძე იყო. მასთან ერთად ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით მერაბ დარჩიას და ზაზა ლოლაძეს. წარმატებები პატარაობიდანვე მქონდა. ჩემს ასაკში და წონაში ყოველთვის ფავორიტი ვიყავი. შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზეც შევძელი წარმატების მოპოვება. 2006 წელს გვატემალაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრინჯაო მოვიპოვე. იმავე წელს უნგრეთში ახალგაზრდებს შორის ევროპის მესამე პრიზიორი გავხდი, შარშან სერბეთის ევროპის ჩემპიონატზეც მესამე ადგილი მოვიპოვე.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?**

- წინ სალიცენზიო ტურნირები მელოდება და ვეცდები, წარმატებას მივაღწიო. ახლა ჩემი საფიქრალი მხოლოდ ეს არის და იმედია, მიზანს მივაღწევ.

**დავით ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ**
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

## თარიღი



ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲚᲔᲙᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ. დაიბადა 02.02.1954, თბილისი. ცურვა. ევროპის ჩემპიონი (1970, კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ) და მესამე (1970, გულაღმა, 200 მ), პრიზიორი, ევროპის თასის მფლობელი (1969), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1968-71, გულაღმა 100 მ; 1970-72, გულაღმა 200 მ) და სამგზის მეორე პრიზიორი (1968-69, გულაღმა 200 მ; 1972, გულაღმა 100 მ). 1968 წლის მეხიკოს (კომბინირებული ესტაფეტა 4X100 - IV ადგილი, გულაღმა 100 მ - XV, გულაღმა 200 მ. XXV) და 1972 წლის მიუნხენის კომბინირებული ესტაფეტა 4X100 - IV, გულაღმა 100 მ - X; გულაღმა 200 მ - XX) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. პირადი საუკეთესო შედეგები: გულაღმა 100 მ - 2.26.50 წთ, საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1970). საერთაშორისო კასის სპორტის ოსტატი.

ᲕᲐᲜᲝ ᲔᲚᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ. დაიბადა 02.02.1922, თბილისი. ჩოგბურთი. სსრკ თასის ფინალისტი (1952). შედიოდა სსრკ ჩოგბურთელთა ათეულში (1945-46). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. საკავშირო კატეგორიის მსაჯი. ჩოგბურთელები იყვნენ მისი შვილები - მარინე და ძმა არჩილი და ძმისშვილი ნიკო.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი სამძიმარს უცხადებს ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარეს, იროდი ბეჟაშვილს დეიდის გარდაცვალების გამო.

ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი.
წინასამატჩო პრესკონფერენცია

# მესამე წრე ვერაზე გვიმასპინძლებს

**გუშინ კლუბ „12 მაგიდაში" გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც სუპერლიგის ექვსივე გუნდის მთავარი მწვრთნელი დაესწრო.**

**თსუ, ნუგზარ ჭეიშვილი:** „გვაქვს ერთი სიახლე. გუშინ გაფორმდა ორმხრივი მემორანდუმი თსუ-სა და „სახალხო ბანკს" შორის. ბანკის ხელმძღვანელი გიორგი გოგუაძე ყოფილი სპორტსმენია და კარგად მოეხსენება როგორ უნდა აეწყოს სპორტული ინფრასტრუქტურა. წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ თსუ საქართველოს ჩემპიონატის ყველობაზე კარგად უზრუნველყოფილი გუნდი იქნება, საუბარი იყო გუნდის ევროთასებზე გასვლაზეცა და საკალათბურთო სკოლის ჩამოყალიბებაზეც. ასე რომ, მესამე წრიდან ცოტა ამოვისუნთქებთ."

**ვითა, ზურაბ ტომარაძე:** „ავადმყოფობისა და ტრავმების შემდეგ გუნდი ნელ-ნელა იკრიბება. ამჟამად ჩვენთან ერთად ვარჯიშობს ლუკა ნოზაძეც, დავით ბერძენიშვილიც, ბექა ნივნივაძეცა და ფილტვების ანთებაგადატანილი მიხეილ ბერიშვილი. მესამე წრისთვის ინტენსიურად ვემზადებოდით და შეიძლება ითქვას, რომ საბრძოლველად მზად ვართ."

**მაკაბი, ჯამლეტ ხუხაშვილი:** „საქართველოს ჩემპიონატი ხელწამოსაკრავი რომ არ გახლავთ, ამას ისიც მოწმობს, რომ NBA-ს დრაფტზე ნელს გიორგი შერმადინი დადგება. მისი თამაში არაერთ ამერიკელ სკაუტს აქვს ნანახი და ყველა აღიარებს - ნორმალური ჩემპიონატი გქონიათო. ერთადერთი, პრობლემა გულშემატკივართა სიმცირეა. ქომაგების მოყვანაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. მაგალითად, თითოეულმა ჩვენგანმა დარბაზში 100-100 გულშემატკივარი რომ მოიყვანოს..."

**ამდენი მხარდამჭერი რომ მყოლოდა, არჩევნებში მივიღებდი მონაწილეობასო, - იხუმრა ნუგზარ ჭეიშვილმა.**

**დინამო, ზაზა ცაგარეიშვილი:** „გუნდში ცვლილებები არ არის, სტრატეგიაც იგივეა - ყოველი მატჩისთვის სათანადოდ ვემზადებით და ბოლომდე ვაპირებთ დახარჯვას. სწორედ მესამე წრე გვიჩვენებს, შეგვწევს თუ არა ფლეი ოფში თამაშის შესაძლებლობა."

**ენერჯი, დავით უსტიაშვილი:** „გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე ტრავმირებულ ფეხს ახლაც მკურნალობს. მის დაჩქარებას არ ვაპირებთ, გვინდა ბოლომდე მომჯობინდეს და მას შემდეგ გამოვიყვანთ მოედანზე. ლაშას არყოფნაში საქართველოს თასსა და ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ახალგაზრდა კალათბურთელებს მიეცათ თავის გამოჩენის შესაძლებლობა. მათ დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვეს. მესამე წრისთვის მზად ვართ."

**ავიამშენი, ლევან მოსეშვილი:** „ტრავმირებულები ჩვენც გვყავს. წრის ბოლომდე ვერ დაგვეხმარება პლასიდე როდუმტა. შედარებით მსუბუქი ტრავმები აქვთ ირაკლი ხოშტარიასა და ლუკა შანიძეს. თუმცა, მათ შეიძლება ხვალინდელ მატჩში მიიღონ მონაწილეობა. იანვარში ორი თასი მოვიგეთ, განწყობა კარგია და საქართველოს ჩემპიონატში დაკარგული პოზიციების აღდგენას მესამე-მეოთხე წრეებში ვაპირებთ.

**ბოლოს დავძენთ, რომ მესამე წრე სპორტის სასახლის ნაცვლად ვერის ბაღის დარბაზში გაიმართება.**

ვაჟა სიმონიშვილი

| III წრე | |
|---|---|
| **2 თებერვალი** | |
| 13.15 | დინამო თსუ |
| 15.15 | ვითა-ენერჯი/ინვესტი |
| 17.15 | მაკაბი ავიამშენი |
| **3 თებერვალი** | |
| 13.30 | ავიამშენი დინამო |
| 15.30 | ენერჯი/ინვესტი-თსუ |
| 17.30 | ვითა მაკაბი |
| **4 თებერვალი** | |
| 13.30 | დინამო ვითა |
| 15.30 | ენერჯი/ინვესტი-მაკაბი |
| 17.30 | თსუ ავიამშენი |
| **6 თებერვალი** | |
| 13.30 | ენერჯი/ინვესტი/დინამო |
| 15.30 | ავიამშენი ვითა |
| 17.30 | თსუ მაკაბი |
| **7 თებერვალი** | |
| 13.30 | დინამო მაკაბი |
| 15.30 | ავიამშენი-ენერჯი/ინვესტი |
| 17.30 | ვითა თსუ |



ვლადიმერ ბორისა

ევროლიგა

# არისმა ჯგუფური ეტაპი ფრით დაასრულა

ვლადიმერ ბორისას „არისმა" ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი „მაკაბისთან" ფრით დაასრულა. მატჩის ძირითადი დრო ანგარიშით 86:86 დასრულდა, დამატებით დროში მაკაბელებმა 15:8 იმარჯვეს და საბოლოოდ 100 ქულასაც ასცდნენ - 101:94.

ვლადიმერ ბორისამ ერთი სამქულიანი ოვერტაიმში ჩააგდო, ჯამში კი 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ეს ყველაფერი 22 წუთში მოასწრო.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე 16 გუნდი 4-4 გუნდიან 4 ჯგუფად გაიყოფა, რომელთა გამარჯვებულები ფინალურ ოთხეულს ითამაშებენ.

| | თ | მ | წ |
|---|---|---|---|
| 1. რიტასი(ლიტვა) | 14 | 11 | 3 |
| 2. მაკაბი (ისრაელი) | 14 | 11 | 3 |
| 3. უნიკახა (ესპანეთი) | 14 | 10 | 4 |
| 4. ეფესი (თურქეთი) | 14 | 8 | 6 |
| 5. არისი (საბერძნეთი) | 14 | 7 | 7 |
| 6. ციბონა (ხორვატია) | 14 | 4 | 10 |
| 7. მილანი (იტალია) | 14 | 3 | 10 |
| 8. ლე მანი (საფრანგეთი) | 14 | 2 | 12 |

პირველი გვერდიდან

# ლუის ფერნანდესი: ცინცაძე NBA-ს დრაფტის მეორე რაუნდში უნდა აირჩიონ



„გასული კვირა ქართველი გამთამაშებლისთვის გიორგი ცინცაძესთვის კარიერაში საუკეთესო იყო (ავტორს მხედველობაში აქვს არა მიმდინარე შვიდდღეული, არამედ ამის წინა კვირა). მან ერთმანეთის მიყოლებით ორი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. ჯერ ევროთასზე თანაგუნდელებს ბერძნული პაოკ-ი დაამარცხებინა (21 ქულა ჩააგდო და 6 შედეგიანი გადაცემა მიითვალა), შემდეგ ბალტიის ლიგაში ლიტვის „ჟალგირისთან" იყოჩაღა და მხოლოდ 10 ქულის სხვაობით დამარცხდა. ლიტველებთან მატჩში ცინცაძემ 28 ქულა, 3 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან „ჟალგირისთან" სეზონის საუკეთესო მეორე ტაიმი ჩაატარა და, როგორც აღვნიშნე გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა.

რა დადებითი თვისებებით ხასიათდება ქართველი გამთამაშებელი? მას ერთდროულად შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები, თანაგუნდელთა მოედანზე პოვნის უნარი და სროლის ნიჭი აქვს. გამტამაშებლისტვის საკმარისზე მეტი სიმაღლე აქვს - 193 სმ. მართალია, გიორგი NBA-ს გამთამაშებლებივით დაკუნთული არ გახლავთ, მაგრამ სამაგიეროდ სწრაფია, მოქნილი და მოძრაობას კარგად აკონტროლებს. როცა მას თამასი კარგად მისდის და მოედანზე თავს კომფორტულად გრძნობს, მეტისმეტად აქტიურია შეტევისას, შეუძლია ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით მეტოქის დაცვის დეზორგანიზება. ასევე, გუნდური მოთამაშეცაა და კარგად ახერხებს თანაგუნდელთათვის თავისუბალი ზონების გამონახვას.

ცინცაძეს კიდევ ერთი პლუსი ბურთის ფლობაა. შეუძლია თანაბაი წარმატებით მარცხნიდან და მარჯვნიდან შეტევა, თუმცა გაცილებით კომფორტულად მარჯვენა ხელით თამაშისას გრძნობს თავს. ცინცაძე დამცველებს ჯანითა და ძალით არ აწვება, მათ გავლას ფეხებისა და ტანის მოქნილი მოძრაობით ცდილობს.

ქართველი უკანახაზელის მოქმედებას ეფექტურობა ფართან მიახლოვებისას მატულობს, ხშირად ლამაზი ტყორცნებით აგვირგვინებს შეტევებს. დამაგვირგვინებელ ფაზაში გიორგი, როგორც წესი მეტოქე მეურვეებზე მაღლა ხტება (193 სმ. სიმაღლისაა), რაც დამატებითი პლუსი გახლავთ. იგი კარგად ისვრის საშუალო დისტანციიდან, ხოლო შეუდარებელია დრიბლინგის დაგვირგვინების პროცესში. აშკარაა, რომ ორქულიანი ტყორცნის გაუმჯობესება შეუძლია, ისევე როგორც სამქულიანისა. სხვათა შორის ცინცაძე პერიმეტრიდან სროლისას სტაბილური არ გახლავთ. ერთ მატჩში შეიძლება ასპროცენტიანი სიზუსტით სტყორცნოს, მეორეში - ერთიც ვერ ჩააგდოს.

ორი სიტყვა ცინცაძის სროლის მანერაზეც უნდა ვთქვათ, რომელიც მომგებიანი ნამდვილად არ გახლავთ: ტყორცნისას ბურთი სახის წინ, მოშორებით აქვს, რითაც მეტოქეებს რეაგირების კარგ შანსს აძლევს. ასეთი სროლისას შედარებით მეტი სივრცეა საჭირო, რაც ყოველთვის არ არის... ქართველი კალათბურთელი ახალგაზრდაა და შესაბამისად არასტაბილურიც. არის ეპიზოდები, როცა ცინცაძე მარტივ სიტუაციაში შეცდომას უშვებს. ასევე იმის თქმაც შეიძლება, რომ NBA-ში შედარებით კარგ დამცველ და ფიზიკურად ძლიერ გამთამაშებლებს ანიჭებენ უპირატესობას. თუმცა, ყველა მონაცემი აქვს იმისთვის რომ სოლიდურ გამთამაშებლად ჩამოყალიბდეს. NBA-ში თანაგუნდელებს ქულებითაც დაეხმარებოდა და კარგი პასებითაც. ჩემი აზრით, თუ გიორგი ცინცაძე ევროპაში სეზონის ბოლომდე ასე წარმატებით ითამაშებს, NBA-ში დრაფტის მეორე რაუნდიდან უნდა მოხვდეს."

როგორც ხედავთ, ბატონ ფერნანდესს დეტალურად ჰყავს შესწავლილი ქართველი ბუ და ძნელია რომელიმე საკითხში არ დაეთანხმო. თუმცალა, შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ გიორგისთვის მეორე რაუნდიდან ნაციონალურ ასოციაციაში მოხვედრას, შეიძლება ევროპაში დარჩენა და თამაშის ევროლიგის დონეზე გაგრძელება სჯობდეს. ცინცაძემ ხომ ევროგრანდებს, „რიტასსა" და „ჟალგირისს" უკვე დაუმტკიცა შესაძლებლობები...

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ქართველ გამთამაშებელს დღეს ბალტიის ლიგის „ოლ სტარი" ელის, რომელშიც ლეგიონერთა ნაკრების სასტარტო გამთამაშებელი იქნება.

მოამზადა

ვაჟა სიმონიშვილმა




NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კობიმ შაკი გაიხსენა

ოთხივე შეხვედრა ისეთი იყო, სათითაოდ რომ განვიხილოთ, სამართლიანი იქნება, ამათგან ერთი განსაკუთრებით გამორჩეული იყო. ბოსტონში ლიგის აბსოლუტური ლიდერი "სელტიქსი" "დალას მავერიქსს" მასპინძლობდა, ხოლო არიზონაში კი "სანზი" მოქმედ ჩემპიონს, "სპურს" დაუხვდა.

"სელტიქსს" ამჯერადაც არ ჰყოლია ტრავმირებული **კევინ გარნეტი**, რომლის გარეშეც გუნდმა უკვე სამი შეხვედრა ჩაატარა, მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** კი მის ადგილზე სასტარტოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე **ბრაიან სკალაბრინი** დააყენა. სამაგიეროდ, მასპინძლებს წინა მატჩში წნევიანი **რეი ალენი** შეუერთდატ და წინასწარ ვთქვათ, რომ სწორედ ეს უკანასკნელი, **პოლ პირსთან და რაჯონ რონდოსთან** ერთად, თავისიანთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა.

შეხვედრის კულმინაცია ძირითადის დასრულებამდე 42 წამით ადრე, სტუმართა ფარქვეშეთში ბრძოლა გახდა. ანგარიში 90:90 იყო, როდესაც "ბოსტონის" კაპიტანმა პოლ პირსმა საშუალო სროლა გააფუჭა და ფარიდან ასხლეტილი ბურთი **დირკ ნოვიცკიმ** მოხსნა. გერმანელი წუთშესვენების ალებას აპირებდა, მაგრამ წამით შეყოვნდა და სწორედ ამ დროს, მას უკნიდან რონდო წამოეპარა, რომელმაც დირკს ბურთი აწაპნა და ურთულესი მდგომარეობიდან, ნახევარკაუჭით, "სელტიქსი" ორი ქულით დააწინაურა.

*"ერთმა წამმა შეხვედრა წაგვაგებინა. Gუნდი დავალალატე მატჩში, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვეგო"*, - ამბობდა ნამატჩევს ნოვიცკი, რომლის გამოსვლა მისთვის შესაფერისი, ძალიან მაღალი დონისა იყო. შეტევაში ხომ იყოჩაღა, დირკმა დაცვაშიც მაგრად იმუშავა და ჩვეული სისხარტით, ზღვა პრობლემა შეუქმნა თავის ყველა მეურვეს.

რონდო კი ამ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენაა. გამთამაშებელი, რომელსაც არასოდეს მიიჩნევდნენ რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად, კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს.

ძალიან კარგად დაიწყო მატჩი "დალასის" მეორე მექულემ, მსუბუქმა ფორვარდმა **ჯოშ ჰოვარდმა**, რომლის ანგარიშზეც პირველ მეოთხედში 13 ქულა იყო, თუმცა მერე და მერე, რივერსმა მასზე დაცვის სპეციალისტი **ჯეიმს პოუსი** "დაგეშა" და დარჩენილ დროში ჯოშმა პირადი მონაგარი მხოლოდ 6 ქულით გაზარდა.

"სელტიქსი" კი პირველ ადგილთან ერთად, კიდევ ერთ სანიმუშო სერიას ინარჩუნებს. გუნდს მიმდინარე რეგულარულში ზემძლავრ დასავლელებთან ყველა (!) მატჩი თავის სასარგებლოს აქვს დასრულებული.

■ ■ ■

"სპურსი" კრიზისშია, მაგრამ მაინც მოქმედი ჩემპიონია და აქედან გამომდინარე, ყველასთვის და ყველგან ანგარიშგასაწევი ძალაა. მიუხედავად იმისა, რომ ტეხასელებს 9-მატჩიანი გასვლითი სერიის ყველაზე პრინციპულ ჯახში ერთ-ერთი ლიდერი, ფრანგი **ტონი პარკერი** და სნაიპერი **ბრენტ ბერი** არ ჰყოლიათ, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდმა მაინც მოიგო და ეს პირველ რიგში თავისი საფირმო დაცვითა და **ტიმ დანკანი-მანუ ჯინობილის** ტანდემის გვიანი გამოღვიძებით გააკეთა.

წელს, "სპურსი" "სანზთან" საკუთარ მოედანზე (მაშინაც ტონი პარკერის გარეშე) დამარცხდა, ამჯერად კი პირველი მეოთხედის პირწმინდად წაგებისა და მეორეში 14 ქულით (18:32) ჩამორჩენის მერე, ძალები მოიკრიბა და ბოლოს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა მეტოქეს.

Dანკანს პირველ ტაიმში ტამაშიდან 7-ში 5 სროლა გაეფუჭებინა, არგენტინელ ვარსკვლავს კი ერთი ქულაც არ გაუკეთებია, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ერთმაც და მეორემაც იყოჩაღა.

თიმმა ძირითადის დასრულებამდე 30 წამით ადრე საფირმო საშუალოთი 1 ქულით დააწინაურა (80:79) სტუმარი, რასაც ნეშის შეცდომა და მანუს ორი ზუსტი საჯარიმო მოჰყვა. შაპასუხო შეტევაში ამარე სტაუდმაიერმა ფარქვეშეთიდან ჩააგდო, მასზე დანკანი დაჯარიმდა, მაგრამ ამარემ საჯარიმო გააცუდა და ჯინობილიმ საბოლოო ანგარიში მორიგი ზუსტი საჯარიმოებით (სულ 12-ში 12 გამოიყენა) დააფიქსირა.

"ფინიქსმა" ამ სეზონის პირადი ანტირეკორდი (81 ქულა) დაამყარა და სამიანების მხოლოდ 23 პროცენტი (21-ში 5) გამოიყენა.

■ ■ ■

ლოს ანჯელესს წლევანდელ საფლეიოფო ციებ-ცხელებაში მინიმუმ ერთი გუნდი ნაღდად ეყოლება. თუნდაც გამოჯანმრთელებული **ელტონ ბრენდით**, "კლიპერსი" იმ ვეებერთელა ჰანდიკაპს ველარ ამოქაჩავს, რაც კალიფორნიელებს დანარჩენ დასავლელებთან აქვთ შექმნილი, "ლეიკერსი" კი ცალი ფეხით უკვე რვა საუკეთესოშია მოხვედრილი.

მიუხედავად საკმაოდ კარგი სატურნირო მდგომარეობისა, **კობი ბრაიანტსა** და მის თანაგუნდელებს რაღაც კრიზისის მაგვარი დაეტყოთ. **ფილ ჯექსონის** შეგირდებისთვის "პისტონზთან" მარცხი უკანაკნელ 5 შეხვედრაში მეოთხეა და მთავარი, რაშიც "ლეიკერსმა" უკან დაიწია, გუნდური თამაშია.

Yველამ მშვენივრად ვიცით, რომ კობის ერთ მატჩში იმდენი ქულის დაგროვება შეუძლია, რამდენიც მოესურვება, მაგრამ წლევანდელი "ლეიკერსის" კოზირიც ხომ თავიდანვე ის იყო, რომ გუნდმა ლიდერისთვის ბურთის პერმანენტულად შეჩეჩების ნაცვლად, ჭკვიანური, მრავალფეროვანი კალათბურთით შეუქმნა პრობლემები ოპონენტებს და საკმაოდ დიდი პროგრესიც განიცადა.

"დეტროიტმა" "ლეიკერსს" ზედიზედ მეცხრე საშინაო შეხვედრა მოუგო და შეგახსენებთ, რომ ამ წარუმატებელი სერიის ნაწილი 2004 წლის სუპერფინალში პირწმინდად წაგებული მატჩებიცაა.

მასპინძლები თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ იყვნენ, ბოლოს კი კინაღამ წააგეს. "დეტროიტი" **ტაიშონ პრინსმა** გადაარჩინა, რომელმაც ძირითადის დასრულებამდე 4.5 წამით ადრე სამიანი ჩასვა მარჯვენა კუთხიდან. იქამდე **რაშიდ უოლასმა** (29 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 4 დაფარება, 5 ფოლი) ასევე შორიდან, მაგრამ არაზუსტად ისროლა, მაგრამ მასპინძლებმა მოხსნაზე იძალეს და პრინსმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. "ლეიკერსის" უკანასკნელი შეტევისას ბურთი კობის არ მიაღებინეს, ხოლო **კვამე ბრაუნმა** კი საკმაოდ არაზუსტად დააგვირგვინა მატჩი.

■ ■ ■

"კლივლენდს" სიეტლში მიკროტრავმის გამო, **ლებრონ ჯეიმსი** არ ჰყოლია, გუნდმა პირწმინდად დათმო პირველი ნახევარი და თქვენ წარმოიდგინეთ, კინაღამ დაიძვრინა თავი წაგებისგან ბოლო მეოთხედში .

მიმდინარე სეზონში ტავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა "კავალიერსის" ძვირადღირებულმა ბალასტმა, მსროლელმა **ლარი ჰიუზმა**, რომელმაც ბოლო მეოთხედში 8 ქულა გააკეთა და სტუმარიც "სონიქსს" 3 ქულამდე (88:91) მიუახლოვდა, თუმცა მერე და მერე Kევინ დიურანმა ზედიზედ 4 ქულა გამოჭედა, ბებერმა კურტ ტომასმა სწრაფი შესვლისას იხეირა და მატჩიც იმ გუნდმა მოიგო, რომელის ამას მეტად იმსახურებდა. ცნობისათვის, "კავალიერსს" არც ბრაზილიელი ფორვარდი **ანდერსონ ვარეჟაო** ჰყოლია.

ზედიზედ 14 შეხვედრის წაგების შემდეგ, "ზებგერითებმა" ერთმანეთის მიყოლებით ჯერ მოქმედი ჩემპიონი "სან Aანტონიო", მერე კი ფინალისტი "კლივლენდიც" დაამარცხეს.

ზურაბ თალაკვაძე



ტაიშონ პრინსი

| დეტროიტი–ლეიკერსი | 90:89 |
|---|---|

29:22, 23:23, 15:27, 23:17

**დეტროიტი:** პრინსი (22 ქ. 4 მ. 3 პ), ბილაპსი (16 ქ. 7 პ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (14 ქ. 4 პ. 3 ჩ), სტაკი (10 ქ), აფლალო (10 ქ. 3 პ), მაკდაიესი (3 ქ. 12 მ. 3 ჩ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39 ქ. 10 მ. 5 პ), ფიშერი (15 ქ), ტურიაფი (12 ქ. 5 მ. 2 დ), ოდომი (6 ქ. 7 მ. 6 პ. 3 ჩ).

| სიეტლი–კლივლენდი | 101:95 |
|---|---|

40:24, 22:18, 23:26, 16:27

**სიეტლი:** დიურანი (24 ქ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), უილკოქსი (18 ქ. 13 მ), ჯ. გრინი (17 ქ. 3 მ. 3 პ), კურტ ტომასი (16 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), ე. უოტსონი (5 ქ. 12 პ).

**კლივლენდი:** ლ. ჰიუზი (28 ქ. 6 მ. 5 პ. 3 ჩ), ილგაუსკასი (17 ქ. 9 მ. 5 პ. 3 დ), დ. ჯოუნსი (15 ქ), გიბსონი (13 ქ. 6 პ), გუდენი (10 ქ).

| ბოსტონი–დალასი | 96:90 |
|---|---|

28:20, 16:24, 27:26, 25:20

**ბოსტონი:** პირსი (26 ქ. 6 მ), რ. ალენი (26 ქ. 4 მ), რონდო (14 ქ. 12 მ. 4 პ), პოუსი (13 ქ. 3 ჩ), ლო (10 ქ. 4 მ).

**დალასი:** ნოვიცკი (31 ქ. 11 მ. 6 პ. 3 დ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ. 6 მ. 2 პ), ტერი (13 ქ. 6 პ), ბასი (10 ქ. 4 მ. 2 დ).

| ფინიქსი–სან ანტონიო | 81:84 |
|---|---|

25:18, 15:16, 20:21, 21:29

**ფინიქსი:** მერიონი (21 ქ. 10 მ. 5 ჩ), ნეში (17 ქ. 8 პ), ა. სტაუდმაიერი (16 ქ. 9 მ. 2 დ), გ. ჰილი (10 ქ. 5 მ. 3 ჩ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (19 ქ. 7 მ. 3 ჩ), ვონი (17 ქ. 3 ჩ), დანკანი (16 ქ. 17 მ. 7 პ. 2 დ), ფინლი (13 ქ. 2 მ. 2 პ), უდოკა (10 ქ. 9 მ. 2 ჩ).

NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩის წინ

# სასტარტოებს რეზერვისტები დაემატნენ



კრის პოლი

მორჩა, დასახელდა ის 14 მოთამაშე, რომელიც ნიუ ორლეანში გასამართ "ყველა ვარსკვლავის" შეხვედრაში ფანების მიერ შერჩეულ 10 რჩეულს შეუამხანაგდება. თავიდან ვთქვათ, რომ აღმოსავლელ ვარსკვლავებს "სელტიქსის" დამრიგებელი **დოკ რივერსი** ჩაუდგება სათავეში, ხოლო საპირისპირო კონფერენციას კი "ნიუ ორლეანის" მთავარი მწვრთნელი **ბაირონ სკოტი** გაწვრთნის. როგორც იცით, კონფერენციის ვარსკვლავთა მწვრთნელები გუნდებში საუკეთესო შედეგების მიხედით ირჩევიან და წესით, დასავლეთი "დალასის" **ეივერი ჯონსონისთვის** უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ მისი გუნდი "ბოსტონთან" დამარცხდა და "ნიუ ორლეანს" პირველობა დაუთმო. Aამის გამო, დასავლეთს "ჰორნეტსის" თავკაცი გაუძღვება.

აღმოსავლეთში ფანებს სასტარტოში **დუაიტ ჰოვარდი** (Oორლანდო), **კევინ გარნეტი** (ბოსტონი), **ლებრონ ჯეიმსი** (კლივლენდი), **დუეინ უეიდი** (მაიამი) და "ნეთსის" გამთამაშბელი **ჯეისონ კიდი** დაეყენებინათ, რივერსმა კი არჩევანი შემდეგ ხალხზე შეაჩერა – **ჩონსი ბილაპსი** (დეტროიტი), **პოლ პირსი** (ბოსტონი), **ჯო ჯონსონი** (ატლანტა), **რიჩარდ ჰამილტონი** (დეტროიტი), **კრის ბოში** (ტორონტო), **ანტუან ჯეიმისონი** (ვაშინგტონი) და კიდევ ერთი დედაქალაქელი **კეირონ ბატლერი**.

დასავლეთში სასტარტოს **ტიმ დანკანს** (სან ანტონიო), **კარმელო ენტონის** (დენვერი), **ალენ აივერონს** (დენვერი), **იაო მინსა** (ჰიუსტონი) და "ლეიკერსის" მეგავარსკვლავ **კობი ბრაიანტს** კი, შემდეგი კალათბურთელები დაეხმარებიან: **დევიდ უესტი** (ნიუ ორლეანი), **ამარე სტაუდმაიერი** (ფინიქსი), **კარლოს ბუზერი** (იუტა), **სტივ ნეში** (ფინიქსი), **დირკ ნოვიცკი** (დალასი), **კრის პოლი** (ნიუ ორლეანი) და **ბრენდონ როი** (პორტლენდი).

როგორც ხედავთ, შემადგენლობები სოლიდურად გამოიყურება, თუმცა ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ვარსკვლავთა შორის მოხვედრას ნამდვილად იმსახურებდა **რეი ალენი** (ბოსტონი), რომლის გარეშეც "სელტიქსს" სრულიად ლიგაში საუკეთესო შედეგი ნამდვილად არ ექნებოდა. აღმოსავლეთის 12 კაცში ასევე ესპანელი **ხოსე კალდერონიც** უნდა აერჩიათ, რომელმაც ღირსეულად შეცვალა ტრავმირებული **ტი. ჯეი. ფორდი** და "რეპტორზის" ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა.

რაც შეეხება დასავლეთს, ამ გუნდში სამწუხაროდ არ გამოიძებნა ადგილი "გოლდენ სტეიტის" ვარსკვლავ **ბაირონ დევისისთვის**, ვის გარეშეც **დონ ნელსონის** შეგირდებს სტაბილურობის შენარჩუნება არათუ გაუჭირდებოდათ, ისინი ამას, უბრალოდ, ვერ გააკეთებდნენ. თავისთავად, ნიშნადობლივია **მანუ ჯინობილის** არყოფნაც, რადგან "სპურსის" არგენტინელი მცველი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს და წელს, იქნებ ტიმ დანკანზე მეტადაც სჭირდება თავის გუნდს ტიტულის დასაცავად.

ზურაბ თალაკვაძე

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტური

### A ჯგუფი

| ვირტუსი–ცსკა | 68:92 |
|---|---|

5:24, 19:27, 42:21, 20:20

**ვირტუსი:** ურიკი (20 ქ), ა. ანდერსონი (19 ქ. 3 ჩ), დი ბელა (10 ქ. 3 ჩ).

**ცსკა:** დ. ანდერსენი (15 ქ. 2 ჩ), გორე (12 ქ. 2 ჩ), ცისისი (12 ქ. 3 ჩ), ლენგდონი (10 ქ).

| პროკომი–ოლიმპია | 79:68 |
|---|---|

15:17, 23:15, 21:18, 20:18

**პროკომი:** გუროვიჩი (22 ქ. 7 მ. 2 ჩ), სლანინა (18 ქ. 2 ჩ), სოუ (16 ქ. 8 მ. 3 ჩ), სტანოიევიჩი (12 ქ).

**ოლიმპია:** ჰუკიჩი (16 ქ), გორენცი (10 ქ).

| ოლიმპიაკოსი–მონტეპასკი | 73:80 |
|---|---|

15:18, 16:23, 20:11, 22:28

**ოლიმპიაკოსი:** ჯექსონი (23 ქ. 9 მ. 5 პ), გრირი (14 ქ. 7 მ), ბურუსისი (10 ქ. 6 მ).

**მონტეპასკი:** მაკინტაირი (19 ქ), კ. ლავრინოვიჩი (16 ქ. 6 მ. 2 დ), ილიევსკი (13 ქ. 3 ჩ), სთუნრუქი (11 ქ. 2 ჩ).

| ტაუგრესი–ჟალგირისი | 84:66 |
|---|---|

16:24, 28:15, 21:18, 19:9

**ტაუგრესი:** სპლიტერი (23 ქ. 2 დ), რაკოჩევიჩი (20 ქ. 2 ჩ), ტელეტოვიჩი (9 ქ. 7 მ).

**ჟალგირისი:** მაციულისი (17 ქ), იანკუნასი (12 ქ).

| | მ-წ | სბ |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 12-2 | +181 |
| 2. მონტეპასკი* | 10-4 | +123 |
| 3. ტაუგრესი* | 9-5 | +119 |
| 4. ჟალგირისი* | 8-6 | -16 |
| 5. ოლიმპიაკოსი* | 7-7 | +86 |
| 6. ოლიმპია | 4-10 | -117 |
| 7. პროკომი | 4-10 | -170 |
| 8. ვირტუსი | 2-12 | -207 |

### B ჯგუფი

| უნიკახა–ეფესი | 87:77 |
|---|---|

22:24, 32:14, 13:15, 20:24

**უნიკახა:** ჰეისლიპი (23 ქ. 5 მ), კაბესასი (14 ქ. 2 ჩ), ნდონგი (11 ქ).

**ეფესი:** ჰასტონი (17 ქ), კუკო (13 ქ. 5 მ), გონლუმი (13 ქ. 3 ჩ), გრეგორი (10 ქ. 8 მ).

| მილანი–ლე მანი | 63:83 |
|---|---|

18:16, 10:27, 20:22, 15:18

**მილანი:** უოტსონი (18 ქ. 16 მ. 7 ჩ. 2 დ), ვუკჩევიჩი (12 ქ, ჯენტილე (12 ქ), სესეი (11 ქ. 5 მ).

**ლე მანი:** ბოგდანოვიჩი (21 ქ), რიჩი (21 ქ), ლიმონადი (20 ქ. 9 პ), კლენსი (13 ქ).

| ციბონა–ლეტუვოს რიტასი | 79:86 |
|---|---|

23:17, 23:20, 15:27, 18:22

**ციბონა:** კლეი (18 ქ. 4 პ. 3 ჩ), ჰოსკინი (15 ქ. 7 მ), კრასიჩი (13 ქ), როჟიჩი (12 ქ. 6 მ).

**ლ. რიტასი:** ბაირამოვიჩი (19 ქ. 7 მ. 2 ჩ), პრაისი (16 ქ. 4 პ), იომანტასი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), ეიდსონი (11 ქ. 8 მ), შლეჟასი (11 ქ), პეტრავიჩუსი (10 ქ. 9 მ)..

| არისი–მაკაბი | 94:101 (ო) |
|---|---|

27:24, 16:21, 17:20, 26:21, 8:15

**არისი:** მასეი (22 ქ. 11 მ. 2 ჩ), ცალდარისი (19 ქ. 5 პ), ბ. რაიტი (17 ქ), ვაშინგტონი (11 ქ. 6 მ. 7 პ), ბოისა (8 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ).

**მაკაბი:** ფიზერი (28 ქ. 11 მ), მორისი (13 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), ბატისტა (12 ქ), ჰალპერინი (11 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), შარპი (11 ქ), კამინგსი (10 ქ).

| | მ-წ | სბ |
|---|---|---|
| 1. ლ. რიტასი* | 11-3 | +128 |
| 2. მაკაბი* | 11-3 | +54 |
| 3. უნიკახა* | 10-4 | +117 |
| 4. ეფესი* | 8-6 | +26 |
| 5. არისი* | 7-7 | -18 |
| 6. ციბონა | 4-10 | -108 |
| 7. მილანი | 3-11 | -92 |
| 8. ლე მანი | 2-12 | -107 |

### C ჯგუფი

| ბამბერგი–ბარსელონა | 65:69 |
|---|---|

16:21, 15:13, 20:12, 14:23

**ბამბერგი:** შუპუტი (17 ქ. 8 მ), ფენი (10 ქ. 8 მ), ოკულაჯა (9 ქ. 5 პ).

**ბარსელონა:** ლეკოვიჩი (15 ქ), ვასკესი (12 ქ), ილიასოვა (12 ქ. 5 მ), ტრიასი (9 ქ. 20 მ. 6 პ. 2 დ).

| რეალი–პანათინაიკოსი | 95:87 (ო) |
|---|---|

22:24, 31:19, 18:21, 12:19, 12:4

**რეალი:** ბალოკი (22 ქ), რ. ლოპესი (14 ქ. 2 ჩ), პაპადოპულოსი (14 ქ. 6 მ), მუმბრუ (12 ქ. 5 მ. 5 პ), რეიესი (10 ქ. 5 მ), ჰერველი (9 ქ. 8 მ).

**პანათინაიკოსი:** სპანულისი (22 ქ. 5 მ), ბატისტე (16 ქ. 6 მ. 2 ჩ); იასიკიავიჩუსი (13 ქ. 6 პ), პაციურეტასი (10 ქ), ბეჩიროვიჩი (10 ქ).

| ფენერბაჩე–პარტიზანი | 86:91 |
|---|---|

27:18, 12:27, 26:22, 21:24

**ფენერბაჩე:** სოლომონი (22 ქ. 6 პ. 3 ჩ), ონანი (15 ქ), ასიქი (13 ქ. 9 მ. 2 დ), ბაშაქი (12 ქ).

**პარტიზანი:** პეკოვიჩი (20 ქ. 10 მ), ტეპიჩი (17 ქ. 4 პ), კეჩმანი (14 ქ), ტრიპკოვიჩი (11 ქ), პალასიო (10 ქ. 9 პ).

| რომა–რუანი | 67:74 |
|---|---|

15:15, 15:20, 16:19, 21:20

**რომა:** უკიჩი (19 ქ. 6 მ), ლორბეკი (10 მ), სტეფანსონი (10 ქ), ჰოუკინსი (8 ქ. 7 მ. 5 ჩ).

**რუანი:** ბადიანი (22 ქ. 10 მ), სალიერსი (13 ქ. 8 მ), ჰესი (13 ქ. 9 მ), რაში (10 ქ).

| | მ-წ | სბ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი* | 12-2 | +122 |
| 2. რეალი* | 11-3 | +122 |
| 3. ბარსელონა* | 9-5 | +91 |
| 4. ფენერბაჩე* | 6-8 | -26 |
| 5. პარტიზანი* | 6-8 | -3 |
| 6. რომა* | 6-8 | -25 |
| 7. რუანი | 4-10 | -120 |
| 8. ბამბერგი | 2-12 | -161 |

ქვემძიმე წონა

# კალძაგე ჰოპკინსს შეხვდება

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ზესაშუალო წონის ჯერაც დაუმარცხებელ ჩემპიონ **ჯო კალძაგეს** მენეჯერებმა პირველად სცადეს ბრძოლაში საშუალო წონის ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის, ამერიკელი **ბერნარდ ჰოპკინსის** გამოწვევა და აი, მიზანი მიღწეულია – ეს ორი მოკრივე ერთმანეთს 19 აპრილს, ლას ვეგასის "ტომას ენდ მეკ სენტერის" არენაზე, ქვემძიმე წონაში დაუპირისპირდება ერთმანეთს. სასწორზე არცერთს არ გამოაქვს ტიტულები.

კალძაგე (44-0) პირველად იბრძოლებს ქვემძიმე წონაში, სადაც ჰოპკინსიც ახალი გადასულია. უელსელმა დამძიმება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სამი თვის წინ დანიელი **მიკელ კესლერი** დაამარცხა და მას WBA-ის და WBC-ს ტიტულები (ზესაშუალო წონაში) ჩამოართვა. მანამდე მას WBO-ის ტიტული ეკუთვნოდა, რომელიც ზედიზედ 21-ჯერ დაიცვა.

საშუალო წონაში ამდენჯერვე შეძლო თავისი ტიტულების დაცვა ჰოპკინსმაც, ვინც ბოლოს ამერიკელ **ჯერმეინ ტეილორთან** (ორჯერ) დამარცხდა, შემდეგ კი დამძიმება გადაწყვიტა და ჯერ **ანტონიო ტარვერს**, შემდეგ კი **ვინკი რაიტს** მოუგო. ამ ბოლო ორ ბრძოლას შორის კი კრივიდან წასვლა და დაბრუნებაც მოასწრო.

ჰოპკინსი (48-4-1) 43 წლისაა და მას არაერთი ძლიერი მოკრივე, მათ შორის, **ოსკარ დე ლა ჰოიაც** ჰყავს დამარცხებული. მისგან განსხვავებით, 35 წლის კალძაგეს მხოლოდ ბრიტანეთში აფასებენ, ამერიკაში კი მისი ავტორიტეტი გაცილებით ფერმკრთალია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ის ყოველთვის ბრიტანეთში იბრძვის და ოკეანის გაღმა თითქმის არავის შეხვედრია. არადა, თავის წონაში თითქმის ყველა ძლიერი მოკრივე ჰყავს დამარცხებული.

კალძაგემ WBO-ის ტიტული 1997 წელს მოიპოვა მას შემდეგ, რაც **კრის ოიბანკი** დაამარცხა. მას შემდეგ კი ყველა პრეტენდენტს საკმაოდ უინტერესო ბრძოლებში გაუსწორდა. უელსელის სატიტულო ბრძოლებიდან ყველაზე საინტერესო **ჯეფ ლეისისთან** და კესლერთან შეხვედრები იყო. სხვათა შორის, ტიტულების დაცვის დროს, მას არაერთხელ მიუღია მარცხენა ხელის ტრავმა, რომელიც პირველად მოიტეხა, შემდეგ კი ეს ტრავმა რამდენჯერმე გაუმიზეზდა.

*"ახლა ახალი მიზნები მამოძრავებს. ზესაშუალო წონაში საქმეს კესლერთან მოპოვებული გამარჯვებით მოვრჩი. ახლა ზედა წონებში ბრძოლას ვაპირებ და თანაც, მათ ამერიკაში გავმართავ"*, - ამბობს კალძაგე და დასძენს, რომ ჰოპკინსთან შეხვედრის შემდეგ, მაქსიმუმ კიდევ ორი ბრძოლის გამართვას გეგმავს.

*"რინგზე დარჩენა ორმოც წლამდე შემიძლია, მაგრამ მინდა, სპორტიდან დაუმარცხებელი წავიდე. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი იქნება, მაგრამ იოლი ბრძოლები კრივში არ არსებობს"*, - ამბობს უელსელი, ვისაც 36 წელი ჰოპკინსთან შეხვედრამდე შეუსრულდება.

უელსელი ამბობს, რომ თავისი ბოლო ბრძოლის გამართვა ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" არენაზე სურს და ბედნიერი იქნება, თუ მის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში **როი ჯონს უმცროსი** დადგება.

ჰოკეი

## კოვალჩუკი ორ მატჩს გამოტოვებს

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, "ატლანტა ტრეშერზის" საუკეთესო ბომბარდირმა **ილია კოვალჩუკმა** "პიტსბურგთან" მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო და შეხვედრის დასრულება ვერ მოახერხა. რუსი ფორვარდის წინააღმდეგ **იარკო რუუტუმ** იუხეშა.

ექიმების პროგნოზით, კოვალჩუკს მინიმუმ ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს. დღეს, ჰოკეისტს კიდევ ერთ გამოკვლევას ჩაუტარებენ და "ატლანტას" ფორვარდის ყინულზე დაბრუნების ზუსტი თარიღი სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

## ტამპა ძლიერ მეკარეს ეძებს

ცნობილია, რომ "ტამპა ბეი ლაითნინგს" სამი წელია მეკარის პრობლემა აწუხებს. კლუბის ხელმძღვანელობამ მაღალი კლასის გოლკიპერის ძებნა განაახლა, რათა გუნდმა იმ დონეს მიაღწიოს, რომლის წყალობითაც 2003-04 წლების სეზონში სტენლის თასი მოიპოვა. "ტამპას" გენერალური მენეჯერის **ჯეი ფისტერის** ყურადღების ცენტრში მოექცნენ **ოლაფ კიოლციგი** ("ვაშინგტონი"), **ჟოზე ტეოდორი** ("კოლორადო") და **კრისტობალ იუე** ("მონრეალი"), რომლებიც ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტები გახდებიან.

გარდა ამისა, "ტამპა ბეის" შეფობა "ჩიკაგოდან" რუსი **ნიკოლაი ხაბიბულინის** დაბრუნებაზეც ფიქრობს. ეს მეკარე "ბლეკჰოქსში" სწორედ "ტამპადან" გადავიდა. რუსი გოლკიპერი თავის კლუბში პირველ ნომრად აღარ ითვლება, თუმცა მისი ტრეიდი მაინც ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ხაბიბულინი ფორმაში არ არის და ამას გარდა, დიდი ხელფასი აქვს - 6.5 მილიონი სეზონში.

## ლეფლერს ციხე ემუქრება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ლეგენდა, "მონრეალ კანადიენსის" ყოფილი ფორვარდი **გი ლეფლერი**, ცრუ ჩვენების მიცემისთვის შესაძლოა ციხეში აღმოჩნდეს. პოლიციამ უკვე გასცა ლეფლერის დაპატიმრების ორდერი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ყოფილი ჰოკეისტის ნათქვამი თავის შვილთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე, ტყუილი აღმოჩნდა.

გი ლეფლერის 23 წლის ვაჟს, **მარკ ლეფლერს** დაახლოებით 20 ბრალდება წაუყენეს. მათ შორის არასრულწლოვანებზე სექსუალური ძალადობა და შეირაღებული თავდამსხმა.

## ფორსბერგი ნამდვილად ბრუნდება

თითქმის აღარაფერი უდგას წინ ცნობილი შვედი ჰოკეისტის, **პიტერ ფორსბერგის** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაბრუნებას. ფორვარდმა უარი თქვა შვედურ მოდოსთან კონტრაქტის გაფორმებაზე და თავის საბოლოო გადაწყვეტილებას NHL-ში სატრანსფერო ფანჯრის დახურვიდან რამდენიმე საათით ადრე გამოაცხადებს.

*"ახლა მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებს - NHL-ში დაბრუნება"*, - განუცხადა ფორსბერგმა შვედურ გაზეთ Aftonbladet-ს.

ჰოკეისტმა განაცხადა, რომ მოდო-ში 26 თებერვლამდე ივარჯიშებს და შემდეგ ჰოკეის ეროვნული ლიგის რომელიმე კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს. ფორსბერგისადმი ინტერესს ყველაზე აქტიურად "ფილადელფია ფლაიერზი" და "დეტროიტ რედ უინგზი" გამოხატავენ.

## ნეშვილმა ფორვარდი დაიტოვა

"ნეშვილ პრედატორზმა" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **ჯორდინ ტუტუსთან**. მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში, თავდამსხმელი 1.95 მილიონ დოლარს მიიღებს.

ტუტუ NHL-ში მეოთხე სეზონს ატარებს. მიმდინარე ხელშეკრულების თანახმად, მისი წლიური ხელფასი 700 ათას დოლარია. წლევანდელ ჩემპიონატში დაცვითი სტილის ფორვარდს 13 ქულა (7 გოლი+6 შედეგიანი პასი) და 57 წუთი საჯარიმო დრო აქვს დაგროვებული.

TV სპორტი

### 2 თებერვალი. შაბათი

#### I არხი

23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი.
15:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სანდერლენდი (LIVE).
23:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-დეპორტივო (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

09:00 მინი-მოედანი.
09:27 ფეხბურთი. Barca TV.
09:33 გოლფი. მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
11:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
13:05 სპორტის სამყარო.
13:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლორადო.
15:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
20:58 სპორტკლუბი.
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სანდერლენდი (LIVE).
22:15 სპორტული ისტორია.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. პონტე პრეტა-სან პაულუ.
02:45 ფეხბურთი. Barca TV.
02:55 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
05:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლორადო.
07:00 მინი-მოედანი.
07:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

#### EUROSPORT

11:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. საპორო. იაპონია (LIVE).
13:45 მულტისპორტი.
14:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. სენტ მორიტცი. შვეიცარია (LIVE).
16:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. ქალები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
19:00 წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. I დღე. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. საპორო. იაპონია.
21:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. ქალები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
22:30 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
23:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ზაგრები. ხორვატია.
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე. მსოფლიო გრან-პრი. ფინალი. ტოკიო. იაპონია.
04:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. I ცდა. გერმანია (LIVE).
14:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
14:30 ახალი ამბები.
14:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. გერმანია (LIVE).
15:15 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. საფრანგეთი.
15:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. I ცდა. გერმანია (LIVE).
16:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. გერმანია.
17:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. გერმანია (LIVE).
17:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
21:45 ახალი ამბები.
22:15 სნოუბორდი. შვეიცარია.
22:45 სნოუბორდი. ავსტრია (LIVE).
00:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
01:00 პული. მალაგა. ესპანეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 სნოუბორდი. ავსტრია.
03:15 ახალი ამბები.

### 3 თებერვალი. კვირა

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
13:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:35 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი.
15:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი (LIVE).
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მიდლსბრო (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ასტონ ვილა (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ესპანიოლი (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 მინი-მოედანი.
08:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი.
10:10 ფეხბურთი. Barca TV.
10:18 მძლეოსნობა. IAAF ... შტუტგარტი. გერმანია.
13:08 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
15:43 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:12 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. პონტე პრეტა-სან პაულუ.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-რომა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ესპანიოლი (LIVE).
00:56 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ემპოლი.
03:44 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი.
05:32 მინი-მოედანი.
05:58 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. პონტე პრეტა-სან პაულუ.
07:45 სპორტული ისტორია.

#### EUROSPORT

11:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. ქალები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. საპორო. იაპონია (LIVE).
13:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია (სწრაფდაშვება). ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერგიგანტი. სენტ მორიტცი. შვეიცარია (LIVE).
16:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. საპორო. იაპონია.
17:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია (სლალომი). ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
18:00 წყალში ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
20:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
20:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. მიმოხილვა.
00:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა (LIVE).
02:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
03:30 პროფესიული კრივი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. ავსტრია.
14:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. I ცდა. გერმანია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. გერმანია (LIVE).
16:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
17:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
20:30 პული. მალაგა. ესპანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-მინესოტა.
23:30 სუპერკროსი. I დღე. ჟენევა. შვეიცარია.
01:00 სნოუბორდი. ავსტრია.
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ჰანზა-ბაიერნი | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-სტ. პაული | 1:1 |
| ბორუსია (მ)-კაიზერი | 1:1 |
| ვეენი-ჰოფენჰაიმი | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰავრი-კლერმონი | 1:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ბულონი-ტური | დ.დ. 1:2 |
| სტრასბური-მეცი | 0:3 |
| **ჰოლანდია** | |
| ბრედა-ტვენტე | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ცვოლე | 1:1 |
| ემენი-ჰოლენდამი | 2:2 |
| დორდრეხტი-ფორტუნა | 1:0 |
| ეინდჰოვენი II-როსენდალი | 1:2 |
| ომნივორლდი-ჰელმონდი | 3:1 |
| იგლზი-მაასტრიხტი | 2:1 |
| ვაალვიკი-ჰაარლემი | 2:0 |
| ტელსტარი-ვეენდამი | 2:1 |
| ტოპ ოსი-აპელდორნი | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| ამადორა-ბრაგა | 1:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ოფთასი-კაისერი | 0:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ორაუსი-სილკებორგი | 1:0 |
| სტიაუა-ლევსკი | 1:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| მოლე-სტრასბური | 69:71 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 1:2 |
| დუისბურგი-კიოლნი | 3:7 |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 1:4 |
| ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი | 6:4 |
| იზერლონი-ფრანკფურტი | 5:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-კეჟმაროკი | 4:2 |
| კოშიცე-პოპრადი | 2:1 |
| მარტინი-ტრენჩინი | 1:1 |
| სკალიცა-ნიტრა | 8:3 |
| **ფინეთი** | |
| ჰიფკ-იოკერიტი | 2:2 |
| იუვიასკიულა-კაიპა | 5:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 2:2 |
| ზლინი-პარდუბიცე | 5:3 |
| პლზენი-ტრშინეცი | 7:1 |
| სლოვანი-სპარტა | 0:3 |
| სლავია-ლიტვინოვი | 1:3 |
| ლიბერეცი-ზნოიმო | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-სერვეტი | 3:2 |
| კლოტენი-ცუგი | 0:3 |
| ლუგანო-დავოსი | 2:4 |
| რაპერსვილი-ბაზელი | 4:3 |
| ფრიბურგი-ამბრი | 4:3 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ვინია დელ მარი** | |
| მონაკო-ბრჟეჟიცკი | 6:2, 6:3 |
| **ATP. ვროცლავი** | |
| შუტლერი-ბეკი | 6:3, 4:6, 7:6 |
| ვლიეგენი-გარსია ლოპესი | 6:3, 6:4 |
| შტეპანეკი-მელცერი | 3:6, 4:6 |

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-ლოს ანჯელესი 1:3**

1:1, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 მოულსონი-5 (პანძუში-9, უილსი-7), 1:1 ბერარი-4, 1:2 რ. ბლეიკი-5 (დ. ბრაუნი-17, კოპიტარი-28), 1:3 ფროლოვი-12 (დ. არმსტრონგი-17).

**ფილადელფია-რეინჯერსი 0:4**

0:2, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 დევესი-7 (დრური-21), 0:2 პრუხა-7 (ჟირარდი-11, ტოუტინი-8), 0:3 დრური-13 (გომესი-38, ტოუტინი-9), 0:4 შენეჰანი-17 (ეიგერი-11, დუბინსკი-13).

**ვაშინგტონი-მონრეალი 5:4 (ო)**

1:0, 2:2, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 ოვეჩკინი-40 (ორჩინა-5), 2:0 ვიქ. კოზლოვი-10 (ოვეჩკინი-27, პოტი-13), 3:0 ოვეჩკინი-41 (ვიქ. კოზლოვი-24, ბექსტრომი-33), 3:1 ს. კოსტიცინი-5 (ლატენდრესი-6, ლაპიერი-5), 3:2 ა. კოსტიცინი-15 (მარკოვი-25, პლეკანეცი-29), 4:2 ოვეჩკინი-42 (ვიქ. კოზლოვი-25, მ. გრინი-17), 4:3 ლატენდრესი-13 (ს. კოსტიცინი-8, კომისარეკი-13), 4:4 ლატენდრესი-14 (პლეკანეცი-30, შტრაიტი-27), 5:4 ოვეჩკინი-43 (შულტცი-7, მ. გრინი-18).

**კაროლინა-ტორონტო 3:2 (ო)**

0:1, 1:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 ტლუსტი-4 (სუნდინი-34, გილი-17), 1:1 გლისონი-2 (ს. უოკერი-9, რეი უიტნი-28), 2:1 ს. უოკერი-6 (გლისონი-10, ჰედიკანი-10), 2:2 სუნდინი-22 (ტაკერი-8), 3:2 ბრინდამორი-19 (რეი უიტნი-29, სტილმანი-24).

**ოტავა-ბოსტონი 1:4**

0:3, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 კესელი-14 (სავარი-46), 0:2 ლუჩინჩი-6 (კობესოუ-11, მეტროპოლიტი-12), 0:3 სავარი-13, 1:3 ვერმეტი-12, 1:4 კობესოუ-18 (ლუჩინჩი-9).

**ტამპა ბეი-ვანკუვერი 4:3**

1:2, 2:0, 1:1

გოლები: 0:1 ბურდონი-2 (ბარიოუზი-11, პაიატი-15), 1:1 პროსპალი-21 (სენტ ლუისი-41, ბ. რიჩარდსი-28), 1:2 პაიატი-13 (კესლერი-10, ბარიოუზი-12), 2:2 გრეტონი-8 (პლავაჩი-10, კ. მაკდონალდი-5), 3:2 ლეკავალიე-31 (სენტ ლუისი-42, ბ. რიჩარდსი-29), 3:2 4:2 ბ. რიჩარდსი-16 (სენტ ლუისი-43, კუბა-15), 4:3 ედლერი-3 (რეიმონდი-8, დ. სედინი-29).

**ნეშვილი-კოლამბუსი 4:2**

2:0, 2:2, 0:0

გოლები: 1:0 რადულოვი-19 (დუმონი-26, ჰამჰუისი-16), 2:0 არნოტი-18 (დუმონი-27, ერატი-23), 2:1 ფერდიოვი-21 (ჰეკა-17), 3:1 ფიდლერი-77 (პორდიჩუკი-1, ჰამჰუისი-17), 3:2 ფრიტშე-8 (მალორტა-10, კლესლა-8), 4:2 ნიკოლი-6 (სმიტსონი-8).

კალათბურთი

## ბოიკინსი შარლოტში ჩაირიცხა

როგორც მოსალოდნელი იყო, NBA-ის ყველაზე ტანმორჩილმა მცველმა **ირლ ბოიკინსმა** "შარლოტ ბობკეტსთან" სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი. გასულ სეზონში ეს კალათბურთელი "მილუოკიში" თამაშობდა და საშუალოდ მატჩში 14.0 ქულასა და 4.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. მაგრამ წლევანდელი სეზონის დაწყებამდე, ბოიკინსმა "ბაქსთან" კონტრაქტის გახანგრძლივება არ მოისურვა და მას შემდეგ, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა.

NBA-ის ისტორიაში, სიმაღლის მიხედვით ბოიკინსი მეორეა ტანდაბალ მოთამაშეებს შორის. მისი სიმაღლეა 165 სანტიმეტრი, მასზე დაბალი კი, **მაგსი ბოგზი** იყო - 160 სანტიმეტრი.

## შვიდი მატჩი პარკერის გარეშე

"სან ანტონიო სპურსის" ფრანგმა გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში ტრავმა მიიღო და ამის გამო, შარშანდელი ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშე მინიმუმ 7 მატჩს გამოტოვებს. პარკერი მწყობრში "ყველა ვარსკვლავის" უიქენდის შემდეგ ჩადგება.

კალათბურთელს გუშინ ჩაუტარდა დეტალური სამედიცინო შემოწმება, რომელმაც მარჯვენა ფეხზე სერიოზული დაზიანება ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ფრანგ მცველს გარკვეული პაუზის აღება მაინც დასჭირდება.

## იუტელის რეკორდი D-ლიგაში

"იუტა ჯაზის" მიერ დრაფტზე არჩეულმა **მორის ელმონდმა** გუშინ, D-ლიგაში შედეგიანობის რეკორდი დაამყარა. ელმონდი "იუტა ფლეშის" შემადგენლობაში თამაშობს და ამ გუნდმა "ბეიკერსფილდი" 102:87 დაამარცხა.

ელმონდმა თავის გუნდს 53 ქულა შესძინა, რითაც გააუმჯობესა **დარიუს რაისის** წინა მიღწევა - 52 ქულა. რაისმა რეკორდი "დაკოტაში" თამაშისას დაამყარა.

## სპენსერი ბარსელონაში გადადის

ბოლონიის "ვირტუსის" ამერიკელმა მცველმა **დევარიკ სპენსერმა** შესაძლოა "ბარსელონაში" გააგრძელოს კარიერა და ევროლიგის მეორე ეტაპზე შეუერთდეს კატალონურ კლუბს. როგორც ესპანური პრესა წერს, "ბარსელონა" მზად არის გამოისყიდოს სპენსერის მიმდინარე კონტრაქტი, რომელიც წელიწადში 300 ათას ევროს ხელფასს ითვალისწინებს. გარდა ამისა, ესპანელები "ვირტუსს" 500 ათას ევროს გადაუხდიან.

წლევანდელ სეზონში, სპენსერი ევროლიგის თამაშებში 18.1 ქულას და 3.2 მოხსნას აგროვებდა.

## ლეტუვოს რიტასმა ამერიკელი ცენტრი დაიმატა

ევროლიგის მეორე ეტაპის წინ, შემადგენლობის გაძლიერება გადაწყვიტა "ლეტუვოს რიტასმა". ლიტვურმა კლუბმა კონტრაქტი გააფორმა ესპანეთის "ხირონას" ამერიკელ ცენტრთან **ჯექსონ ვრომენთან**. ხელშეკრულების დეტალები არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ "ლეტუვოს რიტასმა" გამოისყიდა ესპანურ კლუბთან ამერიკელის კონტრაქტი.

ვრომენი წელი ULEB-ის თასზე თამაშობდა და ამ ტურნირზე საშუალოდ მატჩში 16 ქულასა და 6 მოხსნას აგროვებდა.

## გადამწყვეტი ბრძოლა სამი საგზურისთვის

გუშინ, ათენში მამაკაცებს შორის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრა გაიმართა. ხუთივე კონტინენტის 12 გუნდი ოთხ ქვეჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

A **ჯგუფი:** ბრაზილია, საბერძნეთი, ლიბანი;
B **ჯგუფი:** კაბო-ვერდე, გერმანია, ახალი ზელანდია;
C **ჯგუფი:** კანადა, ს. კორეა, სლოვენია;
D **ჯგუფი:** კამერუნი, ხორვატია, პუერტო-რიკო.

ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა. შემდეგ იქნება ნახევარფინალი და ფინალი. პეკინის საგზურები ფინალისტებს და მე-3 ადგილისთვის მატჩის მოგებულს შეხვდება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადაზე თამაშის უფლება მოპოვებული აქვთ ანგოლას (აფრიკის ჩემპიონი), არგენტინას (ამერიკის მეორე გუნდი), ავსტრალიას (ოკეანეთის ჩემპიონი), ჩინეთს (ოლიმპიადის მასპინძელი), ირანს (აზიის ჩემპიონი), ლიტვას (ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი), რუსეთს (ევროპის ჩემპიონი), ესპანეთს (მსოფლიო ჩემპიონი) და აშშ-ს (ამერიკის ჩემპიონი).

ჩოგბურთი

## ესპანეთმა წყვილის მოთამაშე დაკარგა

დღეს და ხვალ, ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის - ფედერაციის თასის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება. ბოლო მომენტში, ესპანეთის ნაკრებმა სერიოზული დანაკლისი განიცადა - ოჯახური გარემოებების გამო იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს **ვირხინია რუანო-პასკუალი**, რომელიც წყვილთა თანრიგის სპეციალისტად ითვლება. ესპანელთა შემადგენლობაში რუანო-პასკუალს **კარლა სუარესი, მარტა მარერო** ან **მარია ხოსე მარტინესი** შეცვლიან.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ დასრულებულ ავსტრალიის ღია პირველობაზე, რუანო პასკუალისა და **ანაბელ მედინა-გარიგესის** დუეტმა ნახევარფინალამდე მიაღწია.

ფორმულა 1

## როსბერგის მიზნები

2008 წლის სეზონს **ნიკო როსბერგი** "უილიამსში" გაატარებს. ჯერჯერობით გერმანელი პილოტი გამოცდილებას აგროვებს, მაგრამ ორი წლის შემდეგ, როცა მის კონტრაქტს ვადა გაუვა, ნიკო რომელიმე წამყვანი გუნდის რიგებში აპირებს გადასვლას.

*"2009 წლის შემდეგ რომელიმე ტოპ-გუნდში გადავალ. იმედი მაქვს, ეს "უილიამსი" იქნება, მაგრამ თუ ბრიტანული საჯინიბო იმ დროისთვის ლიდერებს შორის არ იქნება, სხვა ვარიანტის მოძებნა მომიწევს"*, - ამბობს ნიკო როსბერგი.

გერმანელი პილოტი წლევანდელ მიზნებზე საუბრისას აცხადებს, რომ "უილიამსის" ამოცანა "BMW-ზაუბერისა" და "რენოს" გასწრებაა: *"უნდა შევუტიოთ და ეს ორი გუნდი უკან ჩამოვიტოვოთ".*

კრივი

## ტაისონი გაუპატიურების წინააღმდეგ

მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ **მაიკ ტაისონმა** სამხრეთ აფრიკაში იმოგზაურა და იქ საქველმოქმედო ბანკეტში მიიღო მონაწილეობა, რომელიც გაუპატიურებასთან ბრძოლას ეძღვნებოდა. ამ ღონისძიების დროს, აფრიკის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელმა **ჯეიკობ ზუმამ** განაცხადა, რომ ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს პრიორიტეტული მიზანი გახლავთ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წელს, ტაისონი პირველად ციხეში სწორედ გაუპატიურების გამო მოხვდა და საპყრობილეში სამი წელი გაატარა.





ალონსო (მარცხნივ) და პიკე R28-ს პრეზენტაციაზე

ფორმულა 1. გუნდები

# რენოს მიზანი ტიტულის დაბრუნებაა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ფრანგულმა გუნდმა "რენომ" თავისი ახალი ბოლიდის, R28-ს პრეზენტაცია თავის შტაბბინაში, ბულონ-ბილანკურში ჩაატარა და მას ფრანგული ავტომწარმოებლის მთავარი აღმასრულებელი **კარლოს გოსნიც** დაესწრო.

ახალ მანქანასთან ერთად, გუნდმა საზოგადოებას თავისი ახალი პილოტები – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** და ბრაზილიელი **ნელსონ პიკე უმცროსი** წარუდგინა. თუმცა, რეალურად ალონსო გუნდში შინაურად ითვლება – მათ ხომ თავიანთი ორი ტიტული ერთად, 2005 და 2006 წლებში მოიპოვეს.

პრეზენტაციაზე, გოსნმა გუნდის იტალიელ შეფ **ფლავიო ბრიატორეს** მითითება მისცა – ამ სეზონში ტიტული უნდა დავიბრუნოთო. თავად მენეჯერმა შარშანდელ სეზონს კრახი უწოდა. სწორედ ეს სიტყვები დაიხვია ხელზე გოსნმა თავის გამოსვლაში.

*"მინდა, გუნდის შეფის სიტყვები მოვიყვანო და ვთქვა, რომ შარშანდელი სეზონი ჩვენი გუნდისთვის კრახი იყო. ეს აღარ უნდა გამეორდეს. მან კრახი მესამე ადგილს უწოდა. ჰოდა, თუ ეს კრახია, მაშინ ორი არჩევანი დაგვრჩენია, რომელთაგან, პირადად მე მცირე უპირატესობას ერთს ვანიჭებ"*, - ამბობს გოსნი. თუმცა, იქვე არბილებს თავის ნათქვამს და დასძენს, რომ როგორც მინიმუმ, ახალ სეზონში შარშანდელზე უკეთეს შედეგებს ელის.

*"მჯერა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს შესანიშნავი პილოტებით და დიდი შესაძლებლობებით. ეს გამარჯვებულთა გუნდია. ჰოდა, მეც მსურს, რომ ის შედეგები გვქონდეს, რომლებსაც ჩვენგან ქომაგი ელის"*, - დასძენს გოსნი.

"რენომ" შარშანდელი სეზონი ალონსოს გარეშე ჩაატარა და ერთი რბოლაც არ მოუგია. გუნდის პილოტებმა, იტალიელმა **ჯანკარლო ფიზიკელამ** და ფინელმა **ჰეიკი კოვალაინენმა** მხოლოდ 51 ქულას მოუყარეს თავი. ეს მაშინ, როცა "ფერარი" ჩემპიონი 204 ქულით გახდა, მეორეზე გასულმა "ბეემვემ" კი 101 ქულა დააგროვა. "რენოს" მესამე ადგილიც არ ელირსებოდა, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ტექნიკურ კომისიას შპიონურ სკანდალში "მაკლარენი" დამნაშავედ რომ არ ეცნო და კონსტრუქტორთა პირველობიდან არ მოეხსნა. ეს იმ დროს, როდესაც წინა ორ სეზონში, "რენომ" ალონსოსთან ერთად, ზედიზედ ორჯერ, თვით **მიხაელ შუმახერი** და "ფერარი" დაამარცხა.

*"ჩვენი მიზანი კვარცხლბეკზე ხშირად ასვლა, რბოლებში გამარჯვება, სარბოლო შოუებში მთავარი როლის თამაშია და არა სტატისტობა. რა თქმა უნდა, გამარჯვება ძალიან ძნელია, რადგან მისთვის ყველა გუნდის პილოტები იბრძვიან. მაგრამ ჩვენ იმ გუნდებს შორის უნდა ვიყოთ, რომელთა რომლებიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან. სხვა თუ არაფერი, ჩვენ ხომ არცთუ დიდი ხნის წინ, მოწინავეთა შორის ვიყავით და გამარჯვების გემოც არ დაგვვიწყებია"*, - განაცხადა ბრიატორემ.

ალონსომ მხოლოდ ერთი სეზონი გაძლო "მაკლარენში", რომლის ხელმძღვანელობასთანაც უთანხმოება მოუვიდა და სწორედ ამის გამო დატოვა ინგლისური გუნდი, რომელსაც შარშან ერთი ნაბიჯი დააკლდა ჩემპიონობამდე. თავად ალონსო ერთადერთი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ახალ ჩემპიონს, ფინელ **კიმი რაიკონენს**.

პრეზენტაციაზე ალონსომ განაცხადა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გუნდი არასოდეს დამიტოვებიაო. *"ახლა ყველა "ფერარისა" და "მაკლარენზე" ლაპარაკობს, ეს კი ჩვენთვის ძალიან კარგია, რადგან ჩემპიონატს ზედმეტი ზეწოლის გარეშე დავიწყებთ. გუნდი ძალიან მონდომებულია, რომ მოწინავეთა რიგებს დაუბრუნდეს. ის ერთ მუშტადაა შეკრული და თავს არ ზოგავს, რაც მეც დამატებით სტიმულს მაძლევს"*, - ამბობს 26 წლის ესპანელი, ვინც გასულ სეზონში ოთხი ეტაპის მოგება შეძლო, ზუსტად იმდენივესი, რამდენისაც მისმა ახალბედა თანაგუნდელმა, ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა**.

რაც შეეხება მის თანაგუნდელს, პიკე ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და ფორმულა ერთში დებიუტისთვის ემზადება. რა თქმა უნდა, თავის პირველ სეზონში მოკრძალებული ამბიციები ექნება, თუმცა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ბრაზილიელი **ნელსონ პიკეს** შვილს ამბიციები, ადრე თუ გვიან, გაუჩნდება. და თუ გავითვალისწინებთ, რომ სპეციალისტთა შეფასებით, სახელოვან მამაზე არანაკლებ ნიჭიერი პილოტია, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მალე მისი სახით ალონსოს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ქართული ფოლკლორი
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოба ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა